ვისია, ვისი, სახლი ლამაზი? A2

„თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 2004 წელი. №261 (810)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## საქართველოში არჩევნები კვლავ გაყალბდება?



გუშინ სასტუმრო "ძველ თბილისში" მრგვალი მაგიდა მოეწყო, რომლის მონაწილენიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები იყვნენ. დისკუსია საქართველოში საარჩევნო პროცესებს შეეხო.

A3

### ეკონომიკა

## საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი "საფინანსო ამნისტიას" მწვანე შუქს უნთებს



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ სამი საათის განმავლობაში იმსჯელა, იხმაურა და... მხარი დაუჭირა "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტს.

A4

### სამართალი

## „თავისუფლების ინსტიტუტი" სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს



"თავისუფლების ინსტიტუტი" განაჩენს აპროტესტებს. მისი წარმომადგენლები "მრგვალი მაგიდის" დაკავებული წევრების - ირაკლი შონიას, თამაზ წიკლაურის და ლაშა ქაცანაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

### ამინდი

| | 3/11 | 4/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 11 |
| ქუთაისი | 19 | 17 |
| ბათუმი | 19 | 17 |
| სოხუმი | 16 | 16 |
| ფოთი | 19 | 17 |
| თელავი | 14 | 7 |
| ზუგდიდი | 19 | 17 |
| ახმეტა | 16 | 9 |
| ჭიათურა | 17 | 12 |
| გაგრა | 14 | 15 |
| სამტრედია | 19 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.3225 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3483 |
| რუბლი | 0.0635 |

# სუვერენიტეტი - რუსეთის მტერი

## უკრაინული და აფხაზური არჩევნების პარალელები



*იუშენკოს მხარდამჭერი მიტინგი კიევში - უკრაინა სუვერენიტეტს იცავს.*

პაატა ვეშაპიძე

*არჩევნები უკრაინასა და აფხაზეთში – რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ამ ორ მოვლენას? მით უმეტეს, რომ ერთი მხრივ საუბარია ევროპის უდიდეს სახელმწიფოზე, მეორე მხრივ კი – მინიატურულ არაღიარებულ სეპარატისტულ წარმონაქმნზე. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ ორ არჩევნებს შორის საერთო ნამდვილად არსებობს და პარალელები საკმაოდ ცხადად იკვეთება.*

უკრაინასა და აფხაზეთში საარჩევნო პროცესების მსგავსება (ზოგიერთ შემთხვევაში კი სრული იდენტურობა) რუსეთის ფაქტორმა განაპირობა. კრემლის გაუთლელი პოლიტტექნოლოგების ჩარევის შედეგად, აგერ უკვე ერთი თვეა, აფხაზეთს პრეზიდენტი არ ჰყავს; სამოქალაქო დაპირისპირების უკიდურეს ფორმებში გადაზრდას მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურები აკავებენ; სეპარატისტულ რეგიონში ორხელისუფლებიანობაა და მოვლენათა განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დანებდება თუ არა რუსეთი აფხაზეთის მოსახლეობას?

ნინო გომართელი

უკვე ორი დღეა, სერგეი ბაღაფში და რაულ ხაჯიმბა მოსკოვში იმყოფებიან და კონსულტაციებს მართავენ. არ ხმაურდება, თუ ვისთან მიმდინარეობს საუბრები, თუმცა სოხუმში მიმდინარე მოვლენები ამ ყველაფერს გარკვეულწილად მაინც ხდის ფარდას.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოსამართლეთა ერთობის უმაღლესმა ორგანომ, ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაღაფში პრეზიდენტად გამოაცხადა.

გუშინ გამართულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი, საარბიტრაჟო და რაიონული სასამართლოების ხელმძღვანელი პირები, მკაცრი შეფასება მისცეს პრეზიდენტობის კანდიდატის, ყოფილი პრემიერის რაულ ხაჯიმბას მომხრეების ქმედებებს, რაც 28 ოქტომბერს ღამით, უმაღლეს სასამართლოში მოხდა.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მონაწილეები სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებას ცნობენ, რომლის მიხედვითაც ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაღაფში აფხაზეთის პრეზიდენტად იქნა აღიარებული.

ამასთან, მოსახლეობისადმი მიმართვა გააკეთა აფხაზეთის პარლამენტის გაერთიანება "ერთობამ".

**„აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის პროცედურა დასრულებულია. სახელმწიფოს მეთაური თავისი მოვალეობის შესრულებას უახლოეს დღეებში უნდა შეუდგეს,"** – ნათქვამია აფხაზეთის მოსახლეობისადმი დეპუტატთა მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კიევში არჩევნების გაყალბებას აპროტესტებენ...

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოქმების 97 პროცენტის შეჯამების შემდეგ კონკურენტი კანდიდატების – იანუკოვიჩისა და იუშენკოს – მაჩვენებლები გათანაბრდა. როგორც ჩანს, იუშენკოს გუნდი ამ ეტაპზე მცირე უპირატესობით გამარჯვებასაც დათანხმდება და მთელ ყურადღებას მეორე ტურისთვის მომზადებისკენ გადაიტანს. ყოველ შემთხვევაში, იუშენკოს საარჩევნო შტაბის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირველ ტურში მცირე ანგარიშით დამარცხებას, შესაძლოა, იანუკოვიჩიც დათანხმდეს. ხელისუფლებისთვის ახლა მთავარი ქვეყანაში არეულობების თავიდან აცილებაა. ერთადერთი, ვინც ღიად აცხადებს, რომ არ შეეგუება არჩევნების ფალსიფიკაციას, უკრაინის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ახალგაზრდობაა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## დიალოგი მოსკოვთან განახლებულია: ამჯერად მხოლოდ ლოზუნგების დონეზე

რუსუდან ნიკურაძე

*საქ. კორ. მოსკოვში*

თბილის-მოსკოვს შორის დაწყებული დიალოგი უნდა გაგრძელდეს და უნდა შესრულდეს ორ პრეზიდენტს შორის ადრე მიღწეული შეთანხმებები - ასეთი განცხადებები კეთდება მოსკოვში საქართველოს პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძისა და მისი თანმხლები პირების ვიზიტის დღეებში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ არსებობს **"გაყინული ეთნოკონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე, არსებობს დარეგულირების პროცესში რუსეთის ძალისხმევით შექმნილი მექანიზმი, რასაც განვითარება, ხოლო დიალოგს გაგრძელება სჭირდება."** ლავროვი ხელსაყრელ მომენტს არც ახლა უშვებს და, ჟურნალისტების გასაგონად, ქართულ მხარესთან ერთად, ოსურ-აფხაზურსაც მსუბუქად აკრიტიკებს: **"არის საშიშროება, მხარეთა მხრიდან უმართავი პროცესების პროვოცირება მოხდეს."**

რუსეთს აფხაზეთში საკუთარი ხელით შექმნილი ქაოსიდან გამოსასვლელი საკუთარი ვარიანტები სჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ეტაპზე მოსკოვს თბილისი უფრო სჭირდება, ვიდრე პირიქით.

გაგრძელება A3 გვერდზე

## აშშ-ს არჩევნები - მოლოდინი და ვარაუდი

ხათუნა გაბიევი

აშშ-ს მოსახლეობამ რესპუბლიკელ და დემოკრატ კანდიდატებს შორის არჩევანი უკვე გააკეთა. ცვლილებები, როგორც შიდა პოლიტიკაში, ისე საგარეოპოლიტიკურ კურსში მთლიანად გამარჯვებულ კანდიდატსა და მის გუნდზე იქნება დამოკიდებული. თუ საქართველოსთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ, იგივეს ვერ ვიტყვით არჩევნების შედეგებთან მიმართებაში ევროპის დამოკიდებულებაზე. როგორც დიდი ბრიტანეთის გავლენიანი გაზეთი "ფაინენშლ თაიმს"-ი წერს, აშშ-სა და ევროპას უკვე აღარ გააჩნიათ საერთო გლობალური ინტერესები, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ერაყული კამპანიის დაწყებამ ითამაშა, და რამაც თავის მხრივ, ტრანსატლანტიკური ურთიერთობების რღვევა დააჩქარა.

გაგრძელება A5 გვერდზე




A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## რუსი სამხედროების ცემის ფაქტს ქართული მხარე არ ადასტურებს

"იტარ-ტასმა" რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს შეიარაღებულმა ქართველმა პოლიციელებმა ქართულ სოფელ თამარაშენში რუსული სამშვიდობო ბატალიონის სამი სამხედრო დააკავეს. აღნიშნული ინფორმაცია რუსულმა სააგენტომ შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის წარმომადგენლების ინფორმაციაზე დაყრდნობით გაავრცელა. წყაროს ვერსიით, ქართველმა პოლიციელებმა დაკავებისას რუსი სამშვიდობოები სცემეს და იარაღის გამოყენების მუქარით ქურთის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. "სამხედრო მოსამსახურეები საქმეში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. ინციდენტთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს გამოძიება", - აღნიშნავს "იტარ-ტასის" წყარო.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სამი რუსი სამხედრო მოსამსახურის დაკავებისა და ცემის ფაქტს არ ადასტურებს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ქართველმა სამართალდამცავებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსული სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები სცემეს. როგორც სუხიტაშვილი განმარტავს, რამდენიმე დღის წინათ სამართალდამცავებმა მართლაც გააჩერეს დიდი სისწრაფით მოძრავი უნომრო ავტომანქანა, რომელშიც რუსული სამშვიდობო ბატალიონის ოთხი წევრი იმყოფებოდა. ისინი ნასვამები იყვნენ და ქურთის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

"ისინი არავის უცემია. უბრალოდ, ჩვენებები ჩამოართვეს, ხოლო, მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ უნომრო ავტომანქანა ძებნაში არ იყო, რუსი სამხედროები გაათავისუფლეს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სუხიტაშვილმა.

*24 საათი*

## კეხვის ინციდენტი დასრულებულია

როკის გვირაბით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ქართველი მოქალაქეები და ავტობუსების მძღოლები სახლებში დაბრუნდნენ. შემთხვევა, რომელსაც პარლამენტარ ვასიკო მარლაფერიძეს, სახალხო დამცველ სოზარ სუბარსა და შიდა ქართლის გუბერნატორს შორის გარკვეული დაპირისპირებაც მოჰყვა, მშვიდობიანად დასრულდა.

შიდა ქართლის უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინათ სოფელ კეხვთან დაკავებული ავტობუსების მძღოლები გუშინ, დაკითხვის დასრულების შემდეგ, გაათავისუფლეს.

მოსკოვიდან თბილისში როკის გვირაბის გავლით მომავალი ხუთი ავტობუსი, რომლითაც დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეები მგზავრობდნენ, საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით, კეხვთან შეაჩერეს. ქართული მხარის განცხადებით, როკის გვირაბიდან მათი შემოსვლა უკანონო იყო და ამისათვის ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტით უნდა ესარგებლათ. სამდღიანი ლოდინის შემდეგ, ავტობუსებს საქართველოს ხელისუფლებამ გზის გაგრძელების უფლება მისცა, მაგრამ მძღოლები გორში დააკავეს. მგზავრთა ნაწილმა ღამე რეგიონული უშიშროების სამმართველოსთან გაათენა, ისინი მძღოლების გათავისუფლებას ითხოვდნენ. ამგვარმა ერთსულოვნებამ შედეგი გამოიღო, მით უმეტეს, რომ უშიშროების თანამშრომლებმა მძღოლების საქციელში კანონდარღვევა ვერ დააფიქსირეს.

*24 საათი*

## ლევან კენჭაძეს ქონების ნაწილი შეუნარჩუნეს

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის გუშინდელი გადაწყვეტილებით, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს ლევან კენჭაძეს, დაუსაბუთებლობის მოტივით სოფელ დიღომში და თბილისში, ბროსეს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლები ჩამოერთვა. რაც შეეხება ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ ბინას, უზენაესმა სასამართლომ მისი დასაბუთებულობის საკითხის ხელახალი განხილვა საოლქო სასამართლოს დაავალა.

ადვოკატ არჩილ კბილაშვილის შეფასებით, სასამართლოს გადაწყვეტილება "სამართლიანობის მცდელობა უფროა, ვიდრე სამართლებრივი გადაწყვეტილება". პროკურორები კი აცხადებენ, რომ საოლქო სასამართლოში ქონების დაუსაბუთებლობის შესახებ ყველა მტკიცებულება წარადგინეს და ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის საკითხის განხილვისას პროცესის მოგების იმედი აქვთ.

ლევან კენჭაძე გენერალურმა პროკურატურამ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა. როგორც ცნობილია, ყოფილ თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის შემთხვევაში, პროკურატურა მათი ქონების დასაბუთებულობის საკითხზეც მსჯელობს.

*ინტერ-პრესი*

## სამართალდამცველები და ბარე მოვაჭრეები ვერ თანხმდებიან

ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორია გუშინ დილით სამართალდამცველებმა დაიკავეს. დაახლოებით 7 საათზე ბაზრის შესასვლელთან ზუგდიდის პოლიციის მთავარი სამმართველოს, სამხარეო პოლიციის სპეცრაზმის, ქალაქისა და რაიონის გამგეობის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. ღონისძიების მიზანს აღნიშნული ტერიტორიის გარემოვაჭრეთაგან დაცლა და მათ მიერ დახლების დადგმის მცდელობის აღკვეთა წარმოადგენს.

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის გარემოვაჭრეთაგან დაცლა, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის ახალი რწმუნებულის გიგი უგულავას ზუგდიდში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში დაიგეგმა. გეგმის თანახმად, გარემოვაჭრეთაგან ტერიტორიის გათავისუფლება გართულების გარეშე უნდა განხორციელებულიყო.

როგორც რაიონის გამგებლის მოადგილემ რომან გაბისონიამ განაცხადა, მოვლენები გეგმის თანახმად განვითარდა და შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონია.

ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობა გარემოვაჭრეებს სხვა სავაჭრო ადგილებს სთავაზობს. თუმცა გარემოვაჭრეები, რომელთა უმრავლესობას აფხაზეთიდან დევნილები წარმოადგენენ, ალტერნატიულ ადგილებზე გადასვლაზე უარს აცხადებენ. მათი განცხადებით, შეთავაზებულ ადგილებზე არ არის ვაჭრობის შესაფერისი პირობები. უახლოეს დღეებში გარემოვაჭრეები საპროტესტო აქციის ჩატარებასაც აპირებენ. ზოგიერთი მათგანი კი ავტომაგისტრალის და რკინიგზის გადაკეტვით იმუქრება.

*ინტერ-პრესი*

## ახალგაზრდა პროფკავშირლები ძველებს ბრალს სდებენ

ახალგაზრდა პროფკავშირლები პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს ირაკლი ტუღუშს ამ ორგანიზაციის დისკრედიტაციაში სდებენ ბრალს და მის გადადგომას მოითხოვენ. პროფკავშირების უმოქმედობა, პროფწევრთა ინტერესების საზიანოდ დამსაქმებელთა გარიგება, სამოქალაქო საზოგადოებაში პროფკავშრის როლის დაკარგვა, მშრომელთა კუთვნილი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხის გაუმჭვირვალობა, პირადი ინტერესების ლობირება – ეს არის პრეტენზიების არასრული ჩამონათვალი.

პროფკავშირის ახალგაზრდული გუნდი პროფკავშირის ქონების უმეტესი ნაწილის ღიად გაყიდვის ინიციატივით გამოდის და ამ გზით მოპოვებული თანხით სოციალური პროგრამების დაფინანსებას ითხოვს.

*24 საათი*

## არჩევნების შედეგები საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე გავლენას არ იქონიებს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული არჩევნების შედეგები ვერ შეცვლის იმ კეთილგანწყობილ ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც საქართველოსა და ამერიკას შორის ზოგადად, კერძოდ კი, სამხედრო სფეროში არსებობს, - განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

მინისტრის თქმით, ახალი დახმარება, რომელსაც ამერიკა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გაუწევს, განპირობებულია იმ აქტიურობით, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენს და რაც ერაყში ქართველ სამშვიდობოთა კონტინგენტის გაზრდით გამოიხატება.

როგორც ბარამიძემ აღნიშნა, ერაყში ამჟამად მყოფ 159 ქართველ მშვიდობისმყოფელს უახლოეს ხანში გაზრდილი კონტინგენტი ჩაენაცვლება.

"საუბარია ანტიტერორისტულ კოალიციაში უფრო აქტიურ ჩართვაზე, რასაც ამერიკის მხრიდან სამხედრო დახმარების ახალი პროგრამის დაწყება მოჰყვება", - დასძინა თავდაცვის მინისტრმა. **მედია-ნიუსი**

# რა კეთდება პარლამენტის წინ?



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*პარლამენტის წინ სრული ტემპით მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები.*

*კარგა ხანია, პარლამენტის წინ გამვლელ-გამომვლელები შენობის ირგვლივ აკრული მესერის ჭუჭრუტანებში ცნობისმოყვარეობით იჭყიტებიან. ამ ადგილას რაც კეთდება, ყველამ იცის, მაგრამ ინტერესს სამშენებლო სამუშაოები იწვევს. პრეზიდენტის განკარგულებით დაწყებული 9 აპრილის მემორიალის მშენებლობა, როგორც "ზემოდან" იყო მითითებული, "ვარდების რევოლუციის" წლისთავისთვის მზად იქნება. მიწისზედა სამუშაოები მთლიანად დასრულდება; მხოლოდ ტექნიკური მხარე დარჩება დასახვეწი.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც მერიის კაპიტალური მშენებელობის სამსახური გვპირდება, რევოლუციის წლისთავს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია სრულიად სახეშეცვლილი შეხვდება. შენობის წინ, სავალი ნაწილი მთლიანად დაიფარება ფილებით, რომელთა ნაწილიც მიწისქვეშიდან განათდება (განათებული ფილების რაოდენობა 9 აპრილს დაღუპულ მსხვერპლთა რაოდენობას დაემთხვევა). ამასთან, განათებები ორი სახის იქნება: სტატიკური – ყოველდღიურად, და სხივური – დღესასწაულების დღეებში. შენობის ცალ მხარეს დაიდგმება 9 აპრილის მონუმენტი, ორივე კუთხეს კი მომღერალი შადრევნები დაამშვენებს. სხვათა შორის, მშენებლობის გაჭიანურება სწორედ ამ შადრევნებს ბრალდება - 9 აპრილის მემორიალის თავდაპირველი საკონკურსო პირობების მიხედვით, პარლამენტის შენობის წინ მონუმენტისა და განათებების გაკეთება იყო დაგეგმილი, თუმცა შემდგომ პირობები შეიცვალა. როგორც ამბობენ, პრეზიდენტს შადრევნების დამატება მოუთხოვია. ამის გამო, შადრევნების პროექტის დამატება და მემორიალის მთლიანი პროექტის სახელმწიფო ექსპერტიზაზე წარდგენა გახდა საჭირო. პროექტი ექსპერტიზის დეპარტამენტში რამდენიმე კვირის წინ შეიტანეს. დასკვნის მიღებას კი, სავარაუდოდ, ორი თვე მაინც დასჭირდება.

**"მართალია, არქიტექტურული გეგმარებითი დავალება - ანუ მშენებლობის პასპორტი არსებობს, მაგრამ სანამ პროქტი ექსპერტიზას არ გაივლის, მშენებლობის საბოლოო ნებართვას ვერ გავცემთ,"** – აცხადებს ქალაქის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ლომინაშვილი. ასე რომ, ფორმალური მხარეები მშენებლობის პროცესში რეგულირდება.

აღნიშნულს არქმშენინსპექცია გაგებით ეკიდება. ამასთან, არსებობს პრემიერის 14 ივლისის განკარგულება, რომელიც, მშენებლობის ტექნიკური პროცესებიდან გამომდინარე, მემორიალის სამშენებელო სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყებასა და საპროექტო სამუშაოების პარალელურ რეჟიმში განხორციელებას ითვალისწინებს.

# ვისია, ვისი, სახლი ლამაზი?

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*



თამაზ ხარაიშვილის ფოტო

*გურიის გუბერნატორის და საქართველოს მთავარი მეტყევის შემდეგ ამ ადგილებში, ალბათ, პროკურატურის მუშაკები გამოჩნდებიან.*

გურიის შავიზღვისპირა ზოლის განაშენიანების პრობლემა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება ბჭობა-განსჯის საგანი და - არა მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურებისა. ეს ზოლი თავისი ახალნაგებობების სიმშვენიერითა და მდიდრულობით აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენს სიღარიბის ყველა ნიშნით აღბეჭდილი დანარჩენი გურიის ფონზე. გუშინ აქაურ სანახებს საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი და გურიის გუბერნატორი ჟანი კალანდაძე სტუმრობდნენ.

ქვეყნის მთავარ მეტყევეს აინტერესებდა, რატომ და როგორ მოხდა სატყეო დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შეკვეთილის 98 ჰექტარის ფართობის გასხვისება. 1996-98 წლებში შავი ზღვის რივიერას დიდი ნაწილი უკანონოდ, ნახევარი ჭიქა მზესუმზირის ფასად ანუ 6 თეთრად გაიყიდა. ახლა ეს ადგილი ფეშენებელური ვილებითა და დასასვენებელი კოტეჯებით არის დაფარული. გავრცელებული არცთუ უსაფუძვლო ვერსიით, ეს ლამაზი სახლები ექს-პარლამენტარებს და სატყეო დეპარტამენტის ყოფილ ჩინოსნებს ეკუთვნით, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგა, არც ეკუთვნით, რადგან სხვებზე აქვთ გაფორმებული.

შავიზღვისპირა ხსენებული ზოლის ხილვის შემდეგ, როგორც ჩანს, დაპარტამენტის თავმჯდომარესა და გურიის გუბერნატორს ცალსახა შთაბეჭდილება დარჩათ.

ბიძინა გიორგობიანი: **"აქ მიწები ჩალის ფასად იქნა გაყიდული. არადა, მის ამჟამინდელ მფლობელებს რეალური საფასური რომ გადაეხადათ, რაიონის ბიუჯეტი სოლიდურ შევსებას მიიღებდა. სასაცილოა იმის მტკიცება, რომ რაიონულ გამგეობასა და სატყეო დეპარტამენტს აქ გათამაშებული ქმედება ხალხის და ბიუჯეტის სასიკეთოდ ჰქონოდა ჩაფიქრებული. ფაქტობრივად, მოხდა ამ ტერიტორიების მიტაცება. მე ვერ ვხედავ იმის არგუმენტებს, თუ რამ აიძულა დეპარტამენტი, ეს მიწები ბალანსიდან ამოერიცხა. კი, დიდებული სახლები აშენდა, მაგრამ სასურველი იყო, ეს ადგილი სხვანაირად განვითარებულიყო და ხალხისა და ბიუჯეტისათვის სარგებელი მოეტანა. საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერთოს პროკურატურა და კანონიერება აღდგეს."**

ჟანი კალანდაძე: **"მე მივესალმები შავიზღვისპირა ზოლის განაშენიანებას, მაგრამ არა ასე, როცა მილიონები დაიკარგა. ეს ნაკვეთები დატაცებულია. ფეშენებელური სახლები სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკებს ეკუთვნით, მაგრამ სხვებზე აქვთ გაფორმებული. არადა, ყველა პირობა იყო საიმისოდ, რომ აქაურობა ბიზნესისა და კომერციის ოაზისად ქცეულიყო და ბიუჯეტს ეხეირა... ეს არის 98 ჰექტარი საუკეთესო ადგილი, რომელსაც შეეძლო, მთელი თუ არა, ნახევარი გურია შეენახა. ფაქტობრივად კი, ხელთ ყოფილ ჩინოსანთა ლამაზლამაზ სახლები შეგვრჩა. მე, რა თქმა უნდა, შენების წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ საერთო სიმდიდრე ხალხს უნდა ხმარდებოდეს. პრინციპულად ვემხრობი გადაწყვეტილებას, რომ აქ კანონიერება პროკურატურამ აღადგინოს და, რაც მთავარია, საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მხარეს, რომელიც ასეთ დუხჭირ ვითარებაშია, შეკვეთილის უნიკალური ზოლის გასხვისებიდან ერთჯერადი მიზერული გადახდა ვერ არგებს. აქ ერთი კვადრატული მეტრი მიწა 6 თეთრი კი არა, 20-50 დოლარი ღირს. ახლა აქედან ბიუჯეტში 100-ლარიანი მატებაა, მაგრამ ძნელი გამოსათვლელი არ არის, რამდენი უნდა ყოფილიყო რეალურად. არაფერს ვამბობ იმ პერსპექტივაზე, რომელიც აქ ტურისტული ბიზნესის განვითარებით ისახებოდა."**

# რა ბედი ელის უფილტრო სიგარეტის წარმოებას

*"თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის" მოთხოვნით, 2007 წლიდან საქართველოში უფილტრო სიგარეტის წარმოება და რეალიზაცია უნდა აიკრძალოს. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 228 მილიონი კოლოფი უფილტრო სიგარეტი იყიდება. მისი პოტენციური მომხმარებელი კი სოციალურად დაუცველი ფენაა.*

თამარ დვალი

უფილტრო სიგარეტს, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები აწარმოებენ. როგორც "თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის" ხელმძღვანელმა გელა კობეშავიძემ გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოში უფილტრო სიგარეტის წარმოება ყოველგვარი კანონის დაცვის გარეშე ხდება. მისი თქმით, ბუნებაში არ არსებობს უფილტრო სიგარეტი, რომელშიც კუპრის შემადგენლობა 16 მილიგრამზე ნაკლები იქნება, საქართველოში კი მწარმოებლებს მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავთ.

2003 წლის მონაცემებით, საქართველოში 1400 ტონა თამბაქოა მოყვანილი. აქედან მხოლოდ 8 პროცენტი წავიდა ექსპორტზე. ყოველწლიურად 2 139 ტონა თამბაქოს იმპორტი ხორციელდება. ეს პროდუქცია, ძირითადად, ზიმბაბვედან, თურქეთიდან და აფრიკის სხვა რეგიონებიდან შემოდის. როგორც ამ ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებენ, საქართველოში გადასაყრელად გამზადებული პროდუქცია იგზავნება.

საქართველოში ამჟამად თამბაქოს დამზადება-მოყვანაში დაკავებულია 7190 ადამიანი. ლაგოდეხის სოფლებში: უშკუდიანსა და აფენში გამოვლენილია უამრავი დარღვევა, რაც იქ მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება. თვალის გლაუკომის შემთხვევებისა და სასუნთქი ორგანოების დაავადების მხრივ, ეს სოფლები პირველ ადგილზე დგას; ხშირია ორსულ ქალებში პათოლოგიები.

"თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნულ ცენტრში" აცხადებენ, რომ საქ-სტანდარტი ძალიან ცუდად მუშაობს. ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე კანონპროექტში ცვლილებების შეტანას ითხოვს, რომლის მიხედვითაც, 2007 წლიდან საქართველოში უფილტრო სიგარეტის, როგორც სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია აიკრძალება. კობეშავიძის თქმით, თამბაქოს ბიზნესიდან ბიუჯეტში ყოველწლიურად 15 მილიონი ლარი უნდა შედიოდეს, თუმცა გასულ წელს მხოლოდ 2 მილიონი ლარი შევიდა.

საქართველოში უფილტრო სიგარეტის მწარმოებელი 12 მსხვილი ქარხანაა. ესენია: შპს "თბილისი 2002", "კოლხეთი 2002", შპს "ივერია-2", "ალგეთ-თამბაქო", "ვერს-ინვესტი", "თბილისი", "ლაგო" და "სტარტი".

## მოკლედ

### ჟვანია-კოკოითის შეხვედრის დღის განრიგი უკვე არსებობს

ოფიციალურ თბილისს იმედი აქვს, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერის ედუარდ კოკოითის 5 ნოემბრის შეხვედრა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, - განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ.

მისი თქმით, უკვე არსებობს შეხვედრის დღის წესრიგი, თუმცა იგი მოგვიანებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ კონსულტაციებზე დაზუსტდება. "სამხრეთ ოსეთში არ მოსწონთ კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებასა და როკის გვირაბის გაკონტროლებაზე საუბარი. ამ საკითხების განხილვის გარეშე კი, ჟვანიასა და კოკოითის შეხვედრას აზრი არ ექნება", - აღნიშნა ხაინდრავამ.

სახელმწიფო მინისტრის აზრით, რუსეთისა და საქართველოს პოზიციები, საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შესახებ, ერთმანეთს ემთხვევა. მისი თქმით, 12-წლიანი პაუზის შემდეგ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოსაწესრიგებლად სიტუაცია მეტნაკლებად მომწიფებულია. და ეს უფრო მეტად ცხინვალის პრობლემას ეხება. პრესკონფერენციაზე გიორგი ხაინდრავამ კიდევ ერთხელ უარყო სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში შეჭრისთვის ემზადება. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მადლობის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც კმაყოფილებას გამოთქვამს ქართული მხარის მიერ ერაყში დამატებითი კონტინგენტის გაგზავნაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო. ჯორჯ ბუშის მიერ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში საუბარია, აგრეთვე, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზეც, მათ შორის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ქურთაში ოსური პოზიციებიდან ნასროლ ხელყუმბარაზე 23 წლის გიორგი კახნიაშვილი აფეთქდა.

ინცინდენტი სამშაბათს დაახლოებით 11.30 საათზე მოხდა. კახნიაშვილი ქურთის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთარ ბაღში იმყოფებოდა, როცა სოფელ ხიხინაანთის მთაზე გამაგრებული ოსური ე.წ. სამშვიდობო ძალების პოზიციიდან ხელყუმბარა ისროლეს.

კახნიაშვილმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო და იგი გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ოთხ ნოემბერს საქართველოში ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა ნატო-ს გენერალური მდივანი იააპ დე ჰოოპ სხეფერი. იგი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს გიორგი ბარამიძესა და სალომე ზურაბიშვილს, საქართველოში აკრედიტებულ ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს.

დაგეგმილია მისი და პრეზიდენტ სააკაშვილის ერთობლივი ბრიფინგი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "უკრაინა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მზად არის, აქტიურად ჩაერთოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში", - განაცხადა საქართველოში უკრაინის ელჩმა ნიკოლა პისიმ აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან თემურ მჟავიასთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შემდეგ. იგი გამოდის ინიციატივით, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ჩატარდეს კონფერენცია, რომელიც აფხაზეთის საკითხის მოწესრიგების გზებსა და მეთოდებს მიეძღვნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისში ჩასული "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერები კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური ოპერის თეატრის შენობაში პენსიონერებს შეხვდნენ. როგორც დავითაშვილმა და ძიძიგურმა განაცხადეს, ისინი "დაუნდობლები და უკომპრომისოები" იქნებიან იმ პირთა მიმართ, ვისაც "პენსიონერები დაავიწყდა და დანაპირებს არ ასრულებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი ავტოპარკის განახლებას და უახლოეს მომავალში 550 ათასი ლარით ახალი მანქანების შეძენას გეგმავს.

ავტომანქანების შესაძენად პარლამენტის ხელმძღვანელობამ "შესყიდვების შესახებ" კანონის თანახმად, ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც საავტომობილო ფირმები "რენო", "ოპელი" და "ფოლკსვაგენი" მონაწილეობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი პარლამენტში ოპოზიციის გაერთიანებას ამ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს. "ოპოზიციის ნაწილი მარჯვნივ იყურება, ნაწილი - მარცხნივ, ამიტომ მათი იდეური გაერთიანება ძნელად წარმოსადგენია" - აღნიშნა ბერძენიშვილმა. ამავდროულად, მისი თქმით, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიცია პარლამენტში რამდენჯერმე გაერთიანდა და "მომავალშიც წამოიჭრება პრობლემები, რომელთა გარშემო ოპოზიცია საერთოს გამონახავს".

კერძოდ, ბერძენიშვილის შეფასებით, თვითმმართველობის საკითხებში საპარლამენტო ოპოზიციას თითქმის ერთიანი პოზიცია აქვს და "ეს უმნიშვნელო საკითხი არ არის. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოში არჩევნები კვლავ გაყალბდება?

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ სასტუმრო "ძველ თბილისში" მრგვალი მაგიდა მოეწყო, რომლის მონაწილენიც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები იყვნენ. დისკუსია საქართველოში საარჩევნო პროცესებს შეეხო. წესით, დისკუსიის მონაწილეებს ამ პროცესების განვითარების პერსპექტივებზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა - დისკუსიის მონაწილენი ხელისუფლების კრიტიკით იყვნენ დაკავებულები. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ცალსახად უარყოფითად შეაფასეს 2003 წლის 2 ნოემბრიდან დღემდე საქართველოში გამართული ყველა არჩევნები და განაცხადეს, რომ ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა.*



*არასამთავრობოებმა და ოპოზიციამ საარჩევნო პროცესების განხილვაზე მეტი დრო ხელისუფლების კრიტიკას მოანდომეს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საგულისხმოა, რომ, სტუმრებს შორის არ ჩანდნენ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები. შესაბამისად, დისკუსია ცხარე დებატებში არ გადაზრდილა (მოგვიანებით "მრგვალ მაგიდას" მხოლოდ უმრავლესობის წევრი გიორგი გეგელაშვილი შეუერთდა, თუმცა მას აქტიურ მსჯელობაში მონაწილეობა არ მიუღია). გუშინვე, სრულიად მოულოდნელად, მრგვალ მაგიდაზე მიწვეულმა სტუმრებმა ისიც შეიტყვეს, რომ პარლამენტში უკვე შესულია კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხება. ამან ოპოზიციონერები უფრო მეტად აღაშფოთა.

მოკლედ, გუშინდელ მრგვალ მაგიდაზე ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ხელისუფლებას ყველა ძველი წყენა გაუხსენეს. ამავე დროს, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს არ გახსენებია პოლიტიკური გარიგების ერთი ფაქტი მაინც, რომელიც, ნებისმიერი არჩევნების დროს, მათსა და სახელისუფლებო გუნდს შორის ხდებოდა.

ხელისუფლების კრიტიკაში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს არც არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ჩამორჩნენ. **"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის ლადო სანიკიძის განცხადებით, "საარჩევნო ტექნოლოგიების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, დღეს ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი და ხელისუფლება აქტიურად ერევა საარჩევნო პროცესში".** მისივე თქმით, კვლავაც აქტუალურია საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების, ამომრჩეველთა მოსყიდვის თემა.

ხელისუფლების ღირსებას მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ნონიკაშვილი იცავდა, რომელმაც ცალსახად დადებითად შეაფასა ის ტენდენციები, რომელიც, საარჩევნო პროცესების ადმინისტრირების კუთხით, 2003 წლის ორი ნოემბრის არჩევნებიდან დღემდე გამოიკვეთა. მანვე მრგვალი მაგიდის მონაწილეებს საარჩევო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალი პრინციპი გააცნო, რომელიც, როგორც ნონიკაშვილი აცხადებს, გაცილებით პროგრესულია.

ახალი პროექტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია შვიდი წევრით დაკომპლექტდება. ცესკო-ს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს. კომისიის წევრობის დანარჩენ კანდიდატურებს კი პრეზიდენტს საინიციატივო თუ ამომრჩეველთა 50-კაციანი ჯგუფები წარუდგენენ. მათ დოსიეს თავად პრეზიდენტი შეისწავლის, ღირსეულთა შორის 12-ს შეარჩევს და მათ პარლამენტს წარუდგენს. დეპუტატები კი ამ კანდიდატურებიდან ექვსს დაამტკიცებენ.

ანალოგიური პრინციპით მოხდება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, თუმცა, საოლქოების შემთხვევაში, პრეზიდენტისა და პარლამენტის ფუნქციებს ცესკო-ს თავმჯდომარე და თავად ცენტრალური საარჩევნო კომისია შეასრულებს. ხოლო უბნების დონეზე წევრების შერჩევაში პარტიებიც ჩაერთვებიან.

გუშინ ზურაბ ნონიკაშვილი აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა - სტუმრებმა დიდი გულმოდგინებით გააკრიტიკეს ეს პროექტი და იგი ხელისუფლების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციების ხელში ჩაგდების სურვილის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნიეს.

მრგვალ მაგიდაზე მიწვეულმა ექსპერტმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, რომ პარლამენტში შესული კანონპროექტი სრულიად არღვევს კომისიების დაკომპლექტების პარიტეტულ პრინციპს, რომელიც აქამდე მეტ-ნაკლებად არსებობდა. მისთვის, ისევე როგორც ახალი მემარჯვენე მამუკა კაციტაძესა და ტრადიციონალისტ ირაკლი მელაშვილისთვის, კანონში ასეთი ცვლილებების შეტანა მიუღებელი აღმოჩნდა.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა თამარ ჟვანიამ პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს კონკრეტული წინადადებით მიმართა და მათ სამუშაო ჯგუფის შექმნა შესთავაზა, რომელიც, 2005 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე, საარჩევნო პრობლემატიკაზე აქტიურად იმუშავებს და ხელისუფლებას ალტერნატიულ წინადადებებს შესთავაზებს. მაგრამ გუშინ აშკარად დარჩა იმის შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციონერები ამ წინადადებით დიდად არ მოხიბლულან.

# სუვერენიტეტი - რუსეთის მტერი

პირველი გვერდიდან

კრემლის ღია და უხეში ჩარევით უპრეზიდენტოდ დარჩა უკრაინა; სამოქალაქო დაპირისპირება კრიტიკულისკენ მიექანება; კიევი სპეცრაზმებითა და სამხედრო ტექნიკით აივსო; დღეს გადაჭრით ვერავინ იტყვის, შენარჩუნდება თუ არა უკრაინაში სამოქალაქო სტაბილურობა 21 ნოემბრამდე - არჩევნების მეორე ტურამდე.

წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომმა პერიოდმა აფხაზეთში სავსებით ცხადად წარმოაჩინა, თუ რაოდენ ლატაკია კრემლის პოლიტიკური არსენალი. მოსკოვმა, ჯერ იყო და რუსეთის პასპორტებით აღჭურვა ლამის მთელი აფხაზეთის მოსახლეობა, შემდეგ კი პირდაპირ, თვით პუტინის დონეზე დაუჭირა მხარი რაულ ხაჯიმბას. როდესაც ესოდენ მაღალ ფსონს დებდა აფხაზეთის უკანონო არჩევნებზე, კრემლი, რასაკვირველია, ვარაუდობდა აბსოლუტურად კონტროლირებადი სეპარატისტული ანკლავის მიღებას დასავლური ღირებულებებისადმი მკვეთრად მიდრეკილ საქართველოში, რაც ჭირვეული და თავნება სამხრეთელი მეზობლისგან კომპრომისების მისაღებად მშვენიერ წინაპირობებს შექმნიდა (ასევე სახარბიელო პოზიცია შეექმნებოდა კრემლს კავკასიის საკითხებში აშშ-სთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის). 3 ოქტომბერს სოხუმში ამიტომაც გადაისროლა მოსკოვმა ესოდენ შთამბეჭდავი დესანტი, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, კრემლმა ეს არჩევნები წააგო.

რა თქმა უნდა, გაცილებით მასშტაბური იყო უკრაინის შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ზეწოლა, მაგრამ, ტექნოლოგიის თვალსაზრისით - თითქმის იგივე, რაც აფხაზეთში. შევადაროთ: აფხაზებს - რუსული პასპორტები, უკრაინელებს – კანონი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ და თავისუფალი მიმოსვლა რუსეთში; არჩევნების წინ პუტინის შეხვედრა ხაჯიმბასთან და უკრაინის ნაციონალური ტელევიზიის სამი არხით პუტინის პროპაგანდა იანუკოვიჩის სასარგებლოდ; რუსეთის დუმის წარმომადგენლობითი დესანტი სოხუმში და კრემლის საუკეთესო პოლიტტექნოლოგების ხანგრძლივი მივლინება კიევში (კრემლის მთავარი პოლიტტექნოლოგი მარკოვი, თავისი გუნდით, აგვისტოდან მუშაობს უკრაინის პრემიერ-მინისტრის ბანაკში და სწორედ თავის დამსახურებად მიიჩნევს, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვებში, შეფარდებიდან 30/70-ზე, იანუკოვიჩი, ოქტომბრის ბოლოსთვის, თითქმის გაუთანაბრდა იუშენკოს). და მაინც, კრემლმა ეს არჩევნებიც წააგო.

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხისას, პირველი, რაც სრულიად ცხადად იკვეთება, არის კრემლის უაღრესად პრიმიტიული და ჩამორჩენილი პოლიტიკური ინტელექტი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება რუსული პოლიტიკური ელიტის მიერ სუვერენიტეტის ცნების სრული იგნორირებით. ფხაზეთის უკანონო, სეპარატისტული, მაგრამ მაინც სუვერენიტეტი შეილახა უხეშად, დიქტატის ნიშნით. აფხაზეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ სუვერენიტეტს, თუნდაც ვირტუალურს, ეთაყვანებოდა, შეურაცხყოფილი აღმოჩნდა, თანაც იმისგან, ვისგანაც თითქმის დაიჯერა, რომ ამ სუვერენიტეტის ერთადერთი დამცველი ის იყო. ამიტომ კრემლმა საპირისპირო შედეგი მოიმკა – იმის ნაცვლად, რომ სრული კონტროლისთვის დაექვემდებარებინა სოხუმი და საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა, მიიღო უმართავი, არაპროგნოზირებადი სიტუაცია, რაც, თუ სწორად გამოიყენებს, თბილისს აძლევს კოზირებს მოსკოვთან პოლიტიკურ ვაჭრობაში. კერძოდ: როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე უშუალოდ რუსეთთან მოლაპარაკებებში ქართველ დიპლომატებს და პოლიტიკოსებს, 3 ოქტომბრის არჩევნების შედეგების საფუძველზე, სრულიად ცხადად შეუძლიათ დააფიქსირონ, რომ მოსკოვი აკონტროლებს მხოლოდ სოხუმში არსებულ მარიონეტულ რეჟიმს, მცირე კლანს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – საზოგადოებრივ პროცესებს. და რადგანაც სოხუმის რეჟიმი კრემლის მარიონეტია, რუსეთის მიერ მედიატორული ფუნქციების შესრულება აზრს მოკლებულია და კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგება წარუმატებლობისთვისაა განწირული. ეს სულაც არ გახლავთ სუსტი პოზიცია მაშინ, როცა აფხაზეთის პრობლემის ინტერნაციონალიზაცია საქართველოს აძლევს ხელს და ასუსტებს რუსეთის პოზიციებს.

გარდა ზემოთქმულისა, კრემლის პოლიტიკის პრიმიტივიზმმა საქართველოს კიდევ ერთი შანსი გაუჩინა: მართალია, სოხუმში ანტიქართული განწყობაა, მაგრამ ისიც ცხადად დაანახეს აფხაზებს, რომ საკუთარი ხელისუფლების შექმნის უფლებას მათ რუსეთი არ მისცემს. ამიტომ, ჩნდება შესაძლებლობა, თბილისმა გამონახოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფები, თუნდაც მცირერიცხოვანი, რომლებიც შუამავლების გარეშე ისურვებენ ქართველებთან ლაპარაკს. ეს კი, არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამომდინარე, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. თანაც, როგორც არ უნდა დასრულდეს პროცესები აფხაზეთში, ვინც უნდა გახდეს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი, ეს კოზირები საქართველოს მაინც ხელთ რჩება, რადგან მთავარია არა აფხაზური არჩევნების შედეგი, არამედ - პროცესის მიმდინარეობა. ამიტომ, ასეც და ისეც, ამ არჩევნებში რუსეთი დამარცხდა.

უკრაინა, რასაკვირველია, სულ სხვა შემთხვევაა, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, სცენარი განმეორდა. კრემლი აქაც პოლიტიკური კონტროლის სრულფასოვანი გარანტიების შექმნას ცდილობდა და, როგორც ზემოთ ითქვა, ბევრწილად აფხაზურის ანალოგიური ტექნოლოგიები გამოიყენა (ეს უკვე თავისთავად მიუთითებს რუსული პოლიტიკოს პრიმიტიულობაზე და შეზღუდულობაზე). შედეგიც აფხაზურის ანალოგიური მიიღო.

ახლა უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რომელმა კანდიდატმა გაიმარჯვა უკრაინის საპრეზიდენტო მარათონში, ან – იქნება თუ არა მეორე ტური. მთავარი ისაა, რომ არჩევნების გაყალბებამ გააჩინა შესაძლებლობა, გაპროტესტდეს არჩევნების შედეგები და საზოგადოება ამ პროტესტის გამოსახატად პროვოცირებულია რუსეთის მიერ, რადგან რუსეთმა, ისევ და ისევ, სრული იგნორირება გაუკეთა უკრაინის სუვერენიტეტს. გარდა ამისა, უკრაინის საზოგადოება საკმაოდ პოლარიზებულია. დასავლეთი და ცენტრალური რეგიონები ცალსახად უჭერენ მხარს იუშენკოს და პროდასავლურად არიან განწყობილნი; იანუკოვიჩის პოზიციები კი საკმაოდ მყარია უფრო პრორუსულ აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში. უკრაინის პრეზიდენტს, ვინც უნდა იყოს ის, თუ სურს, რომ ძლიერ მმართველად ჩამოყალიბდეს, პირველ რიგში ამ პოლარიზების დაძლევა მოუწევს. უკრაინულ აჩევნებში კრემლის მონაწილეობამ კი ეს კონფრონტაცია კიდევ უფრო გააღრმავა. ამიტომ, თუ არჩევნების შედეგებს პროტესტი მოჰყვა, სიტუაცია საერთოდ გამოვა კონტროლიდან, რადგან, კრემლმა თავად დააყენა უკრაინელთა წინაშე დილემა - ან რუსეთთან, ან რუსეთის წინააღმდეგ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ უკრაინელი ხალხის არჩევანი კრემლის სურვილს დაემთხვეს. ასე რომ, რუსეთმა აქაც წააგო.

მოსკოვს ძალიან სურს, გააფართოოს თავისი გავლენის არეალი, მაგრამ ამ გაფართოებას კრემლში განიხილავენ როგორც ექსპანსიას – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სამხედროს, და არავის ახსენდება, რომ ეძებოს პარტნიორები სუვერენული სახელმწიფოების სახით. კრემლში, როგორც ჩანს, "სუვერენიტეტი" ცუდი სიტყვაა და მას მხოლოდ იმ დეკლარაციებში წერენ, რომლითაც აბეზარ და მომაბეზრებელ ოპონენტებს იცილებენ თავიდან. თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ელიტის განცხადებებსა და ძირითად ტენდენციებს თუ მივაქცევთ ყურადღებას, შორს არ ვიქნებით ჭეშმარიტებისაგან, თუკი დავასკვნით, რომ რუსეთს ეზიზღება საკუთარი სუვერენიტეტიც, რადგან ის "ველიკაია დერჟავას" დამხობასთან ასოცირდება.

მაგრამ მათთვის, ვისი სატელიტად ნახვაც სურს რუსეთს, სწორედ სუვერენიტეტია ის ჯადოსნური ელექსირი, რომლითაც მკვდრეთით აღდგომას და მსოფლიოს ისტორიაში დაბრუნებას ცდილობენ. სუვერენიტეტია რუსეთის თავნებობის წინააღმდეგ მთავარი საბრძოლო იარაღიც.

# დიალოგი მოსკოვთან განახლებულია: ამჯერად მხოლოდ ლოზუნგების დონეზე

პირველი გვერდიდან

მეორე საინტერესო დეტალი: ქართული დელეგაციის ვიზიტის პირველ დღეს სამუშაო საუზმეზე რუსეთისა და საქართველოს პარლამენტების სპიკერები, დუმის კედლებიდან მოშორებით, ჟურნალისტებისა და თანმხლები პირების გარეშე განმარტოვდნენ. გრიზლოვი-ბურჯანაძის შეხვედრის შემდეგ კომენტარები ძუნწი და ზოგადი იყო. იგივე განმეორდა კრემლში უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან შეხვედრაზეც. მხარეებმა ოფიციალური ეტიკეტით გათვალისწინებული ფრაზები გაცვალეს, დაახლოებით ამის მსგავსი - კარგია, რომ ჩამოხვედით, კარგია, რომ ერთად ვართ. ამასთან, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ივანოვი იმასაც ამბობს, რომ ბევრ საკითხში წინსვლას ვერ მივაღწიეთო. ქართული დელეგაცია კი ისევ კატეგორიულად სთხოვს რუსეთს სიტყვებიდან და დეკლარაციებიდან საქმეზე გადასვლას.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, რადიო "ეხო მოსკვის" ეთერში გამოსვლის ბოლოს, ნინო ბურჯანაძე ჟურნალისტებთან გულახდილობს: **"რაღაც არ მჯერა რუსების, როცა მიმტკიცებენ, რომ მათ არ გააჩნიათ კოკოითზე ზემოქმედების საშუალება."** ამის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რა თემებზე იყო სინამდვილეში საუბარი კრემლში და საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღლივ შენობაში. ერთადერთი, რაშიც მოსკოვში ყოფნის დროს ქართული დელეგაცია რუს კოლეგებს დაეთანხმა, ისაა, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლაში დამატებითი ნაბიჯებია გადასადგმელი.

## "რუსეთი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს"

"ჩვენ გვაღელვებს ის, რომ რუსეთი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს", - აღნიშნა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ რუსეთის ინტერსებში ერთიანი და სტაბილური საქართველო უნდა შედიოდეს.

მისივე თქმით, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზები აუცილებლად უნდა გავიდეს და საჭიროა ვადებზე შეთანხმება. ამის სანაცვლოდ კი, როგორც ბურჯანაძე აცხადებს, საქართველო რუსეთს ბათუმში, თბილისსა და საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ანტიტერორისტული ცენტრების შექმნას სთავაზობს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემის საკითხზეც და აღნიშნა, რომ ამ პროცესს რუსეთი საქართველოს საქმეებში ჩარევისთვის იყენებს.

"რუსეთს მუდმივად აქვს სათქმელი, რომ იგი აფხაზეთსა და ცხინვალში თავისი მოქალაქეების ინტერესებს იცავს", - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

*მედია-ნიუსი*

# დანებდება თუ არა რუსეთი აფხაზეთის მოსახლეობას?

პირველი გვერდიდან

„ერთობა", რომელშიც ოცამდე პარლამენტის წევრია გაერთიანებული, (თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტში სულ 35 დეპუტატია), ყველას მოუწოდებს, კანონის უზენაესობის, წესრიგის დაცვას და შექმნილ ვითარებაში მოთმინებისა და გამძლეობის შენარჩუნებას.

„ერთობაში" გაწევრიანებული დეპუტატების აზრით, **„პოლიტიკური ბრძოლის, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოთა შორის დიალოგის წარმოების სირთულის მიუხედავად, 2004 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთში პირველი ალტერნატიული არჩევნები ჩატარდა და ის სრულად შეესაბამებოდა ადგილობრივი კონსტიტუციით გათვალისწინებულ ნორმებს."**

მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ **„მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, რომლებმაც ხმა მისცეს სერგეი ბაღაფშს, დამარცხებული კანდიდატის ზოგიერთი მომხრე პოლიტიკური ბრძოლის არადემოკრატიული ნორმებით მოქმედებს - მაგალითად, პარლამენტის შენობის ბლოკირებას ახდენს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში ხელს უშლის".**

ამის პარალელურად, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიის კოლექტივი, ოპოზიციის მხარდაჭერით, არ ასრულებს კრემლის მიერ პრემიერ-მინისტრად დასმული ნოდარ ხაჟბას განკარგულებას ტელემაუწყებლობის შეწყვეტის თაობაზე და მოქმედი პრეზიდენტის ხელისუფლებისთვის ტელეეთერზე კონტროლის დათმობას არ აპირებს.

ადგილობრივი ტელევიზიის მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა ხაჟბამ, გუშინწინ, მთავრობის სხდომაზე მოაწერა ხელი. ხაჟბას განკარგულების მიუხედავად, გენერალური დირექტორის მოადგილემ ქრისტიან ბჟანიამ განაცხადა, რომ კოლექტივი მუშაობის შეწყვეტას არ აპირებს.

სერგეი ბაღაფშის თანაგუნდელის და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ალექსანდრე ანქვაბის ინფორმაციით, სახელმწიფო ტელევიზიის შენობას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფის გარდა, ოპოზიციის მხარდამჭერთა ჯგუფი და თავად ტელევიზიის კოლექტივი იცავს, რაც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს, ჩვეულ რეჟიმში განაგრძონ მუშაობა.

**"ოპოზიციის აქტივისტთა ქმედებებს უნდა უმადლოდეს ხელისუფლება ტელევიზიის გამართულ მუშაობას და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ვინაიდან სწორედ ოპოზიციის აქტიურობის შედეგად გახდა შესაძლებელი ტელევიზიის ამოქმედება, მას შემდეგ, რაც 29 ოქტომბერს მოქმედი პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებმა ტელევიზიის შენობიდან ეთერში გასვლისათვის აუცილებელი აპარატურა გაიტანეს,"** - აღნიშნა ანქვაბმა.

# „საქართველოს ბანკისა" და USAID-ის ახალი პროექტი

გუშინ სასტუმრო "მარიოტ თბილისში" საზეიმო ვითარებაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ს.ს. "საქართველოს ბანკსა" და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის ერთიანი საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება მიზნად ისახავს საქართველოს საფინანსო ბაზარზე პირველი კორპორატიული (კერძო) ფასიანი ქაღალდის - ს.ს. "საქართველოს ბანკის" ობლიგაციის გამოშვებას. ობლიგაციების გაყიდვიდან მოზიდული შემოსავალი გამოყენებული იქნება მცირე და საშუალო საწარმოების ენერგეტიკული პროექტების დასაფინანსებლად.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ტექნიკური დახმარებისა და PA Consulting Group-ის, Winrock International-ის, ს.ს. Galt & Taggart Securities -ისა და "საქართველოს ბანკის" ერთობლივი მუშაობის შედეგად. პროექტი ხორციელდება USAID-ის "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის" პროექტის განვითარების საკრედიტო სისტემის (Development Credit Authority) კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნულ პროგრამას ადმინისტრიტებას უწევს PA Consulting Group.

პროექტის ფარგლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველი კერძო ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიზანია, გაიზარდოს იმ კომერციულად სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება, რომელთა მიზანსაც ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის პროექტების განხორციელება წარმოადგენს.

*24 საათი*

# საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი "საფინანსო ამნისტიას" მწვანე შუქს უნთებს

*პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გუშინ სამი საათის განმავლობაში იმსჯელა, იხმაურა და... მხარი დაუჭირა "არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტს. მართალია, კენჭისყრის შემდეგ "მემარჯვენე ოპოზიცია-მრეწველები, ახლების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, რომ კენჭისყრა ჩატარდა პროცედურების დარღვევით და ამასთან, არ იყო სათანადო კვორუმი, თუმცა ეს აზრი კომიტეტის ხელმძღვანელობას არ გაუზიარებია.*

თამარ ივანიძე

მანამ, სანამ კომიტეტი ავად თუ კარგად კანონპროექტს მხარს დაუჭერდა, დეპუტატებმა კანონპროექტთან დაკავშირებით, საკმაოდ ბევრი შენიშვნა გამოთქვეს, მათ შორის, ქონების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

მაგალითად, პარლამენტარ ბესო ჯუღელის განცხადებით, იმ პირებმა, რომლებიც წლების განმავლობაში იპარავდნენ ქონებას, ფინანსური ამნისტიის კანონპროექტის თანახმად, ქონების დეკლარირების შემთხვევაში უნდა გადაიხადონ არა 1 პროცენტი, არამედ 5 და მეტი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ბესო ჯუღელმა მოითხოვა, რომ აღნიშნული 1 პროცენტი ბიზნესმენებისთვის უნდა გაიზარდოს 5 პროცენტამდე, ხოლო იმ ჩინოვნიკებისათვის, რომლებმაც **"პრაქტიკულად წაიღეს სახელმწიფოსგან ფული"** - 10 პროცენტამდე, რათა ისინი მატერიალურად მაინც დაისაჯონ.

ამასთან, დეპუტატის თქმით, აღნიშნული 1 პროცენტი არ უნდა შეეხოს იმ პირებს, რომლებიც წლების წინ ქონებრივი გადასახადის დეკლარაციას პატიოსნად ავსებდნენ და ამ დეკლარაციაში მთელ ქონებას ასახავდნენ.

იყო პრინციპულად საპირისპირო პოზიციაც: ითქვა, რომ ფინანსური ამნისტიით ყველა თანაბარ პირობებში უნდა იყოს და ამნისტია უნდა შეეხოს მათაც, ვისზეც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

ამასთან, საპარლამენტო ოპოზიციის აზრით, საჭიროა კანონპროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ:

**"აუცილებელია, კანონპროექტში ჩაიდოს ლეგალიზებული ქონების რეინვესტირების პირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ექნება შესაძლებლობა, ე.წ. შავი ფული ქვეყანაში ჩამოიტანოს, ერთი პროცენტი გადასახადი გადაიხადოს და "საქართველოში გარეცხვის" შემდეგ აღნიშნული თანხა ისევ უკან წაიღოს"** - აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ, რომლის აზრით, რეინვესტირების პირობა იმის გარანტია იქნება, რომ არადეკლარირებული ქონების ლეგალიზაციის შემთხვევაში აღნიშნული ქონება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება.

**"საგულისხმოა ისიც, რომ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში სამართალდამცველი ორგანოები მეწარმეების დევნას ახორციელებენ და ცდილობენ, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა ფინანსური ამნისტიის დაკანონებამდე მოასწრონ. ასეთ შემთხვევაში, გადასახადების გადამხდელთა მიმართ ამნისტია აღარ გავრცელდება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მოსახლეობის რა ნაწილს ეხება ეს კანონპროექტი"** - განაცხადა ტყემალაძემ.

გარდა ამისა, მისი შეფასებით, უსამართლოა კანონპროექტში ჩადებული პირობა, რომლის თანახმად, ამნისტია მხოლოდ არადეკლარირებულ გადასახადს ეხება. **"გადასახადის გადამხდელები წარსულში ვალდებულებების დეკლარირებას ახდენდნენ, აღნიშნულ თანხას ვერ იხდიდნენ და მათზე საურავები ერიცხებოდათ. მათ ამნისტია არ ეხებათ. ეს უსამართლო პრინციპია"** - აღნიშნა მან.

რომან გოცირიძის თქმით, კომიტეტი რამდენიმე შენიშვნას გაითვალისწინებს, თუმცა მათზე, ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის დევნაა დაწყებული, სამართალწარმოება გაგრძელდება. გოცირიძემ აღნიშნა, რომ კომიტეტი დაინტერესდება მხოლოდ იმ საქმეებით, რომლებიც ბოლო 2 კვირის განმავლობაში აღიძრა.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, შეისწავლება საკითხი იმასთან დაკავშირებითაც, ხომ არ გააქტიურდა ბოლო 2 კვირის განმავლობაში სისხლის სამართლებრივი საქმეების აღძვრა.

საბოლოო ჯამში, კანონოპრექტის დედააზრი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს:

არც ერთი მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოს მიერ აღარ მოხდება 2004 წლის 1 იანვრამდე განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შემოწმება;

არავის ექნება უფლება მოახდინოს დეკლარირებული ქონების, მათ შორის ფინანსების წარმომავლობის შემოწმება;

მოქალაქეებს კანონის ამოქმედების დღიდან 2005 წლის ბოლომდე მიეცემათ ვადა ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციების წარდგენისათვის, რაც იქნება მთ მიერ დეკლარირებული ქონების ლეგალიზაციის საფუძველი;

2005 წლის განმავლობაში ქონების გადამოწმებაზე ცხადდება მორატორიუმი;

პირის მიერ წარდგენილი ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ იქნება კონფიდენციალური;

სახელმწიფო მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ანუ 2004 წლის 1 იანვრამდე არსებული საგადასახადო დოკუმენტების და/ან ლეგალიზებული ქონების წარმომავლობის დადასტურების მოთხოვნა გამოიწვევს მათ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კანონი არ შეეხება იმ პირებს, ვის მიმართაც კანონის ამოქმედებამდე აღძრული იყო სისხლის სამართლებრივი დევნა ან განხორციელდა საპროცესო შეთანხმება; ასევე, არ გავრცელდება მათზე, ვის მიმართაც ამ კანონის ძალაში შესვლის დღისათვის მიმდინარეობს ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება.

ასევე, ეს კანონი არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ეს შემოსავალი დააგროვეს ისეთი მძიმე დანაშაულებით, როგორიცაა ნარკობიზნესი, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, იარაღით ვაჭრობა და ა.შ.

## ჩაის ტენდერში გამარჯვებულები კვირის ბოლომდე 1,8 მილიონ ლარს მიიღებენ

1 ნოემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩაის ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ შესრულებულ სამუშაოებსა და ამ სამუშაოებთან დაკავშირებულ პრობლემებზე იმსჯელეს. სოფლის მეურნეობის მინისტრსა და სატენდერო კომისიას შესაბამისი წინადადებები წარუდგინა საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის - "ჩაი" - ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაის რეაბილიტაციისთვის 2004 წელს 3 მილიონი ლარი გამოიყო. ტენდერის პირობებით, სამუშაოები პირველ დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული კომპანიები თანხას სამუშაოების შესრულების შემდეგ მიიღებენ. ამ კვირის ბოლომდე ჩაის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 1,8 მილიონი ლარი გადაირიცხება, ჩაის მინი-საწარმოების შესაქმნელად კი - 203 ათასი ლარი. 15 ნოემბრისთვის 3 მილიონი ლარი სრულად გადაერიცხებათ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს.

**"ბიუჯეტიდან ამ თანხის ეფექტურად დახარჯვა ჩვენი ღირსების საქმეა. აქვე უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არ გვჭირდება ისეთი რაიონული სამმართველოები, რომლებიც შესაბამის შემთხვევაში განგაშს არ ატეხენ. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულები, მერე კი მოგვთხოვდნენ, სამუშაოების დასრულების ვადა 15 დეკემბრამდე გადაგვიწიეთო. სახელმწიფომ მოგვცა შანსი, რომ განადგურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მოხდეს,"** - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ. დავით შერვაშიძის დავალებით, ყოველ პარასკევს ჩაის ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია თავს მოიყრის მინისტრის მოადგილესთან და საგანგებოდ განიხილება. სირთულეების შექმნის შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით, შესაძლოა, ზოგიერთი თანამდებობის პირი გათავისუფლდეს.

*24 საათი*

## საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციით ყაზახი ბიზნესმენებიც ინტერესდებიან

*ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ყაზახეთი ერთ-ერთი პრიორიტეტული სახელმწიფო ხდება. ცენტრალური აზიის ამ სახელმწიფოსთან, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა შარშანდელთან შედარებით, წელს 10 მილიონი ამერიკული დოლარით გაიზარდა.*

ეთერ მამულაშვილი

თუკი გასული წლის პირველ ცხრა თვეში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა 9 მილიონ 800 ათას დოლარს აღწევდა, წელს იგივე მაჩვენებელმა 19 მილიონს გადააჭარბა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ბევრ ქვეყანასთან მიმართებაში, იმპორტირებული პროდუქცია ექსპორტირებულზე ბევრად მეტია. წელს იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ყაზახეთიდან შემოტანილი პროდუქციის ღირებულებამ, რომელთა შორის ნავთობპროდუქტები, ხორბალი და ბუნებრივი აირი ჭარბობს, 14 მილიონ დოლარს გადააჭარბა. საქართველოდან ყაზახეთში ცხრა თვეში გატანილი პროდუქციის ღირებულებამ კი 5 მილიონ დოლარს მიაღწია. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია და კვების პროდუქტები ლიდერობს ყაზახეთში გატანილი პროდუქციის ჩამონათვალში. ამ უკანასკნელში განსაკუთრებით ღვინო და ღვინო მასალები ჭარბობს. ადვილად შესაძლებელია, რომ მომავალ წელს ყაზახეთში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა ერთიორად გაიზარდოს. ამის თქმის საფუძველს ამ ცოტა ხნის წინ ყაზახეთის 17-კაციანი სამთავრობო დელეგაციის საქართველოში ვიზიტი გვაძლევს, როცა დელეგაციის წევრები ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციითა და მინერალური წყლებით განსაკუთრებულად დაინტერესდნენ. სახელმწიფო მინისტრის ჯამბულ ბაკურაძის თქმით, ამჯერად ყაზახეთის მხარე განიხილავს ქართული მხარის შეთავაზებას ქართული ნატურალური წვენების, მინერალური წყლების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ციტრუსების იმპორტის შესახებ. მისივე შეფასებით, სამიოდე დღის წინათ ორ ქვეყანას შორის სამთავრობო დონის შეხვედრა განსაკუთრებულად ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ყაზახეთის მთავრობის ვიზიტს წინ უძღოდა საქართველოსთვის საჩუქრად 1000 ტონა სასურსათო ხორბლის გადმოცემა. ამ ეტაპზე საქართველოსა და ყაზახეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის ორგანიზაციულ საკითხებზე დასრულებულია მოლაპარაკებები და ჰუმანიტარულ ტვირთს საქართველო უახლოეს დღეებში მიიღებს.

ამ ვიზიტის დროსვე გადაწყდა, რომ ყაზახური ხორბლის გადაზიდვები საერთაშორისო ბაზარზე ტრასეკას დერეფნის გავლით განხორციელდება. ყაზახეთი ხორბლის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანაა. **"შევთანხმდით, რომ საქართველოს მხარე ყაზახეთის კომერციულ სტრუქტურებს ხელს შეუწყობს ადგილობრივ მეწარმეებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაში. ამ თვალსაზრისით, ყაზახეთის წარმომადგენლები შევახვედრეთ მეწარმეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტით. საქართველო მზად არის, ყაზახეთის დაინტერესებულ კომერციულ სტრუქტურებს შეუქმნას პირობები და საქართველოში გამოუძებნოს თავისუფალი ელევატორები, სადაც მათ შეეძლებათ ხორბლის შენახვა, გადამუშავება და ფქვილის ევროპულ ბაზრებზე გატანა",** - განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსმა ომარ კაჭარავამ.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, ყაზახი ბიზნესმენები საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებასაც აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, გამოქვეყნებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან ყველაზე მეტად რითი არიან დაინტერესებულები ყაზახები.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ყაზახური საქმიანი წრეები ბათუმსა და ფოთში ნავთობტერმინალების მშენებლობითაც ყოფილან დაინტერესებულები.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ყაზახეთი საქართველოსთვის არა მხოლოდ ენერგომატარებლების მხრივაა საინტერესო პარტნიორი, არამედ სოფლის მეურნეობისა და კომუნიკაციების თვალსაზრისით. ბაკურაძის თქმით, უახლოეს ორ-სამ წელიწადში მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტი განხორციელდება რკინიგზაზე ყაზახეთი- აზერბაიჯანი-საქართველოს მარშრუტით.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 აპრილს ასტანაში ხელი მოეწერა ყაზახეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სარკინიგზო ადმინისტრაციის ხელმძღვანელების პროტოკოლს, რომლის თანახმადაც მხარეებმა გადაწყვიტეს საკონტეინერო ტვირთების გადაზიდვებისას კონკრეტულ ტვირთებზე შემცირებული კოეფიციენტისა და სპეციალური ტარიფების დადგენა.



## მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
- უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
- სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
- გააკონტროლებს, რომ მშენებლი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
- მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**მოთხოვნები:**

- ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირლმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება;
- ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა;
- MS Office-ის მყარი ცოდნა;
- საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია;
- მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი;
- კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი;
- კომუნიკაციის დადებითი უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N 38**

## სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**სერტიფიციკაციის ინჟინრის ასისტენტი** გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:

**სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** მოვალეა:

- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
- დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
- ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
- მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
- გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
- სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხისმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
- შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
- რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
- ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
- გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
- მრავალეროვან გარემოში მუშაობა
- სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
- ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# კიევში არჩევნების გაყალბებას აპროტესტებენ...

პირველი გვერდიდან

ცესკო-ს ქმედებებით აღშფოთებულმა საზოგადოებამ (რომელთა შორის სტუდენტური მოძრაობების წარმომადგენლები ჭარბობდნენ) გუშინ, რამდენიმეათასიანი მიტინგი გამართა უკრაინის უმაღლეს რადასთან. აქციის მონაწილეები არჩევნების გამყალბებელთა დასჯას, "არჩევნების შედეგების დაუყოვნებლივ გამოცხადებას", უკრაინის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრების გადადგომას ითხოვდნენ.

იუშენკოს გუნდში კი ეშინიათ, საპროტესტო აქციების გამართვამ მეორე ტურის ჩატარება საერთოდ ეჭვქვეშ არ დააყენოს. "ჯავშანმანქანები და სპეცრაზმელები ტყუილად არ არიან ცესკო-ს წინ შეკრებილი. ხელისუფლება იმ ქმედებებს ელოდება, რომელიც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საშუალებას მისცემს და საერთოდ არჩევნების ჩატარების ფაქტს გამორიცხავს," - ამბობს იუშენკოს ნდობით აღჭურვილი პირი ნიკოლაი ტომენკო. აშკარაა, ოპოზიცია ვერ რისკავს, "ჩვენ იმდენად ვართ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ მზად ვართ, ეს მეორე ტურში გავაკეთოთ," - დასძენს ტომენკო.

ამავდროულად, იუშენკოს მთავარი პარტნიორი - იულია ტიმოშენკო მეორე ტურისთვის შემონახულ რესურსებზე საუბრობს და სამოქალაქო მობილიზაციის დაწყების შესახებ აკეთებს განცხადებას. "ჩვენი გათვლით, რეალურად, იუშენკოს 16 მილიონზე მეტი ამომრჩეველი უჭერს მხარს. ჩვენი შტაბი უახლოეს დღეებში სამოქალაქო მობილიზაციის შტაბს შექმნის, მე მხედველობაში მაქვს არა ომი, არამედ ხალხის ძალისხმევის გაერთიანება... ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამ ხალხის გააქტიურება, მივცეთ მათ პირობითად პატრიოტული დავალებები, ისე ვქნათ, რომ ავამუშაოთ ეს არმია – ეს სწორედ ის კოლოსალური რესურსია, რომელიც იანუკოვიჩს აკლია," - ამბობს ტიმოშენკო "გაზეტა.რუ"-სთან ინტერვიუში.



*დღეისთვის იუშენკო არ ცდილობს ქუჩებში ბრძოლის გადატანას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი და მისი მომხრეები მეორე ტურში წაგებას შეეგუებიან.*

ნათელია, უკრაინის ოპოზიციამ გადაწყვიტა, რომ მარტო ქუჩის აქციებით შედეგს ვერ მიიღებდა და ახლა ინტენსიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან. შეგახსენებთ, იუშენკოსა და იანუკოვიჩის გარდა არჩევნებში მონაწილეთაგან ყველაზე კარგი შედეგები სოციალისტთა ლიდერმა ალექსანდრ მოროზმა და კომუნისტმა პეტრო სიმონენკომ უჩვენეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ კანდიდატებისათვის მიცემული ხმების გადანაწილებაზე იქნება დამოკიდებული არჩევნების საბოლოო შედეგი.

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ სოციალისტების ხმები მათი კანდიდატის სასარგებლოდ წავა. როგორც ჩანს, ამის თაობაზე მოროზთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. უფრო რთული სიტუაციაა კომუნისტებთან დაკავშირებით. კომუნისტური ელექტორატი ტრადიციულად უფრო პრორუსულია და ამიტომ მათი ხმების უმეტესი ნაწილის რუსეთის მიერ მხარდაჭერილი იანუკოვიჩის საწინააღმდეგოდ მიმართვა გაჭირდება. თუმცა, იუშენკოს გუნდი კომუნისტების ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე აკეთებს აქცენტს, ამასთანავე, ემუქრებიან კიდეც მათ, რომ თუ იანუკოვიჩს დაუჭერენ მხარს, მომავალ პარლამენტში საერთოდ ვერ მოხვდებიან.

ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინაა. არჩევნები გრძელდება და პოლიტიკური ძალების დღევანდელი განწყობით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებად სავარაუდოა, მეორე ტურამდე რევოლუციაში გადაიზარდოს. მეორე ტურის ოპოზიციისთვის არახელსაყრელად დასრულების შემდეგ განვითარებული მოვლენების პროგნოზირება კი არცთუ ძნელია. მართალია, დღეისთვის იუშენკო არ ცდილობს ქუჩებში ბრძოლის გადატანას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი და მისი მომხრეები მეორე ტურში წაგებას შეეგუებიან. "ჩვენ ქუჩაში დავიცავთ არჩევნების შედეგებს, სხვაგვარად არ გამოვა," - აცხადებს ოპოზიცია.

# აშშ-ს არჩევნები - მოლოდინი და ვარაუდი

პირველი გვერდიდან

აშშ-სა და ევროპის მრავალ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა მხოლოდ ბუშის ცალსახა ქმედებებით არ აიხსნება, მაგალითისთვის კიოტოს პროტოკოლიც საკმარისია, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ჯონ კერი რატიფიცირებას არ გაუკეთებს. აშშ და ევროპა ვერ თანხმდებიან, ასევე, გაერო-ს როლის მნიშვნელობაზე, ტერორიზმთან ბრძოლის საშუალებებზე, ახლო აღმოსავლეთის საკითხსა და სავაჭრო პოლიტიკაზე. თანაც, ვაჭრობა ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან სფეროთაგანია, რომელშიც, ბრიტანული გაზეთის აზრით, კერის გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ბუშს. თუკი კერი აშშ-ში სამუშაო ადგილების დაცვასთან დაკავშირებით თავისი მუქარის ნახევრის განხორციელებას მაინც შეძლებს, ევროპასა და აშშ-ს შორის სერიოზული უთანხმოება გარდაუვალი იქნება. თუმცა, აშშ-სა და ევროპის საგარეო პოლიტიკის ჰარმონიზაციაში ევროპის ახალი კონსტიტუცია, სავარაუდოდ, თავის მოკრძალებულ წვლილს მაინც შეიტანს. ამას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს, მაგრამ ადრე თუ გვიან ერთიანი საგარეო პოლიტიკა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა, ალბათ, შეძლებს ტრანსატლანტიკური ალიანსის ჩანაცვლებასა და ევროპის უსაფრთხოებაში წამყვან ადგილს დაიკავებს. თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ აშშ და ევროპა მრავალ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომას შეინარჩუნებს, იმის მიუხედავად, თუ ვინ გაიმარჯვებს.

გერმანული გაზეთის "იუნგე ველტ"-ის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ისეთი ინტერესი, როგორიც წელსაა, როგორც წესი, არ იყო ხოლმე, რადგან აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი მონაწილეობდა, რაც საზოგადოებრივი კრიზისის ნაცვლად, ზედა ეშელონებსა და რიგით მოსახლეობას შორის დემოკრატიულ კონსენსუსად მიიჩნეოდა. დღემდე, ზოგადად, ფართო სახალხო მასების პოლიტიკური აპათია ამერიკული ცხოვრების წესის დამახასიათებელი იყო. ამჯერად კი - ამერიკის მოსახლეობა მკვეთრად პოლარიზებულია, თითქოს მოსახლეობას სამომავლო პოლიტიკურ კურსთან მიმართებაში განსაკუთრებულად დრამატული გადაწყვეტილების მიღება უწევს. თითქოს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა ორი "აშშ": ერთი ღრმად რელიგიური, საკუთარ უცოდველობაში დარწმუნებული, ხოლო მეორე - ავადმყოფურად ეგოისტური და ლიბერალურ-ტოლერანტული. ბუშზე არანაკლებ ექსპანსიონისტურად აფასებს გერმანული გაზეთი კერის პროგრამასაც. საქმე ის არის, რომ მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიების ფორმულირება აშშ-ს იმ ჰეგემონური მიზიდულობის ძალად დაუჯდა, როგორიც მას კლინტონის ადმინისტრაციის დროს გააჩნდა. კერის კი სწორედ წარსული დიდების აღდგენა სურს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯორჯ ბუში ხელმეორედ შეძლებს გამარჯვების მოპოვებას, ის გაბედული გადაწყვეტილება, რასაც ღვთის სახელით მთელი სამყაროს წინააღმდეგ სვლა ჰქვია, მაინც მარცხისთვისაა განწირული. კერის გამარჯვების შემთხვევაში კი, იგი ხელახლა შეეცდება ამერიკის ჰეგემონური პოლიტიკის თავიდან მოდელირებას, თუმცა მხოლოდ დასავლური პროექტის ფარგლებში. დასკვნის სახით კი, "იუნგე ველტ"-ი წერს, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში აშშ-სთვის აუცილებელი იქნება დასავლეთ ევროპის მხარდაჭერა ერაყში წარმატების მისაღწევად. ამდენად, ამ არჩევნებისთვის ასეთი დრამატული ელფერის მინიჭებას ცოტა გადაჭარბებულად აფასებს.

რაც შეეხება საქართველოსთან მიმართებაში აშშ-ს არჩევნების შედეგების ავ-კარგიანობას, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი **ალექსანდრე რონდელი** აღნიშნავს, ამ ორი კანდიდატიდან ნებისმიერის გამარჯვების შემთხვევაში აშშ-ს საქართველოსთან დამოკიდებულება მაინც და მაინც რადიკალურად არ შეიცვლება. ერთადერთი, შესაძლოა, კერის გამარჯვების შემთხვევაში აშშ-ს პოზიცია რუსეთთან მიმართებაში უფრო გამკაცრდეს - ბუშისგან განსხვავებით, ჯონ კერის მოქმედების მეტი თავისუფლება ექნება, რადგან იგი პუტინთან ძველი ურთიერთობებით არ იქნება შებოჭილი. ურთიერთობებით, რომელსაც პუტინი ხშირად ძლიერ ოსტატურად იყენებს. კონკრეტულად პრეზიდენტებზე აქცენტის გაკეთებას ცნობილი ექსპერტი იმ პირებზე ყურადღების გამახვილებას ამჯობინებს, ვინც ახალ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან პოსტებს დაიკავებს. **"ვფიქრობ, რომ უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ ვის აირჩევს ახალი პრეზიდენტი პოსტსაბჭოთა რეგიონში საგარეო პოლიტიკურ მრჩევლებად. ბუშის დარჩენის შემთხვევაში, სავარაუდოდ, კოლინ პაუელის ადგილს კონდოლიზა რაისი დაიკავებს, დონალდ რამსფელდი კი ისედაც მიდის. კერის გამარჯვების შემთხვევაში კი საგარეო პოლიტიკურ სფეროში მრჩევლებად სენატორი ბაიდენი და რიჩარდ ჰოლბრუკი მოგვევლინებიან, ისინი კი საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან კარგია, რომ აშშ სერიოზულადაა დაინტერესებული, რუსეთმა ვერ შეძლოს სამხრეთ კავკასიაში სტატუს კვოს შეცვლა. იმაზე კი, რომ კავკასიის რეგიონი და, კერძოდ, საქართველო აშშ-ს საგარეო პოლიტიკურ პრეფერენციათა სიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას ბუშმა საქართველოსთვის ახალ სამხედრო პროგრამას მოაწერა ხელი და დაამტკიცა,"** - ამბობს რონდელი. ექსპერტის აზრით, აშშ ნებისმიერი არჩევნის შემთხვევაში არა მარტო გლობალურ მოთამაშედ დარჩება, არამედ კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს. თუმცა, ჩინეთისა და იგივე რუსეთის მაღალი კონკურენტუნარიანობა აშშ-ს აიძულებს, უფრო მეტი ძალისხმევა დახარჯოს საერთაშორისო ასპარეზზე წამყვანი პოზიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ის, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება, საბოლოო ჯამში, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს პოლიტიკა, რეგიონულ ჭრილში საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობას, სავარაუდოდ, არ დააკნინებს და აშშ დაინტერესებული იქნება ამ ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების გამყარებით.

# კანდიდატთა ფავორიტები

## თეთრი სახლის სავარაუდო საკადრო ცვლილებები

ლევან გელაშვილი

ანალიტიკოსებსა და პარტიების აქტივისტებს შორის მსჯელობა იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება დატოვონ ან ვინ შეიძლება მოიწვიონ თეთრ სახლში, საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში საკმაოდ პოპულარული თავშესაქცევი გახდა. როგორც წესი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის სავარაუდო კანდიდატების შესახებ ტელევიზიით არ საუბრობენ. მათი სახელები მხოლოდ საქმიანი სადილების დროს თუ გაიჟღერებს და ერთგვარი თამაშის სახეს იღებს: საინტერესოა არა მარტო არჩევნებში გამარჯვებულის გამოცნობა, არამედ მათიც, ვისაც გამარჯვებული კანდიდატი თავისთან სამუშაოდ მოიწვევს ან დატოვებს. გთავაზობთ პროგნოზებს, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე ხშირად გაისმოდა.

### თუ ჯორჯ ბუში გაიმარჯვებს

მთავრობიდან "გავარდნის" ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი, ალბათ, თავდაცვის მინისტრი **დონალდ რამსფელდი** გახლავთ. ბუშის ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე ის პრეზიდენტის გუნდის ერთგვარ "ვარსკვლავს" წარმოადგენდა, თუმცა საპრეზიდენტო მანდატის მიწურულს ისეთ ფიგურად იქცა, რომელიც ადმინისტრაციას ამუხრუჭებს და მეტიც, უკან ხევს. რამსფელდს მიაწერენ რამდენიმე სერიოზულ ჩავარდნას, რომელიც ერაყში მისმა უწყებამ დაუშვა: აჯანყებულთა წინააღმდეგობის არასათანადოდ შეფასება; ბაღდადის აღების შემდეგ სამხედროთა უხეირო ქმედებები, როდესაც ერაყის დედაქალაქი რამდენიმე დღის განმავლობაში მოროდიორების ხელში აღმოჩნდა; აბუ-გრეიბის ციხეში სამხედრო ტყვეების დამცირებასა და შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სკანდალი; და, რაც ყველაზე მთავარია, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ კონტროლირებადი საწყობიდან 380 ტონა საბრძოლო მასალის გაუჩინარება.

როგორც ამერიკული გაზეთი The New York Times-ი აღნიშნავს, "რამსფელდის წასვლის შემთხვევაში, ძალთა განაწილება სერიოზულად შეიცვლება და პენტაგონი ნეოკონსერვატორების ბასტიონის ფუნქციის შესრულებას შეწყვეტს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ერაყში შეჭრას". ვინ დაიკავებს რამსფელდის ადგილს? ზოგიერთი ექსპერტის აზრით, შესაძლოა, პირველად ისტორიაში, პენტაგონის ხელმძღვანელი ქალი გახდეს. ამ ამპლუაში ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს **კონდოლიზა რაისს** მოიაზრებენ. მართალია, ბოლო დროს მან რამდენჯერმე მიანიშნა, რომ ბუშის გამარჯვების შემთხვევაში, იგი სახელმწიფო სამსახურს მიატოვებდა და სტენფორდის უნივერსიტეტში დაბრუნდებოდა. თუმცა, მასსა და პრეზიდენტს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობების გათვალისწინებით, შესაძლოა, ბუშმა კონდოლიზა რაისს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.



*საინტერესოა არა მარტო არჩევნებში გამარჯვებულის გამოცნობა, არამედ მათიც, ვისაც გამარჯვებული კანდიდატი თავისთან სამუშაოდ მოიწვევს ან დატოვებს.*

როგორც ექსპერტები ამბობენ, თეთრ სახლსა და პენტაგონს შორის ერთგვარი "როქირება" შეიძლება მოხდეს, რაც უცხო ქვეყნების ლიდერებისათვის, რომლებიც ნეოკონსერვატორებს არ სწყალობენ, ნამდვილ საშინელებად იქცევა. არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის თანამდებობაზე ბუში თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **პოლ ვულფოვიცს** მოიწვევს, რომელიც ერაყის "გათავისუფლების" ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და მსოფლიოში ამერიკული დემოკრატიის "ექსპორტიორი" გახლავთ. მაგრამ, ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია. ბევრი მიიჩნევს, რომ რაისის წასვლის შემდეგ, მის ადგილს გუნდის უფრო ზომიერი წევრი – ეროვნული უშიშროების საბჭოს მეორე პირი, **სტივენ ჰედლი** დაიკავებს.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება სახელმწიფო დეპარტამენტში მოხდება, თუ მისი ამჟამინდელი თავკაცი **კოლინ პაუელი** თანამდებობას დატოვებს. ამა წლის გაზაფხულზე ეს საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. დიპლომატები პირადულ საუბრებში აღიარებდნენ, რომ მათი უფროსი მის უმთავრეს ოპონენტთან, დონალდ რამსფელდთან დაუსრულებელი ბრძოლით დაიღალა. ბუშის გუნდში პაუელის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია, ერაყის ოპერაციის განხილვისას კი, სახელმწიფო მდივანი გადაწყვეტილების მიღებისაგან ფაქტობრივად გაათავისუფლეს.

ვაშინგტონში სერიოზულად გაუკვირდათ, როდესაც ზაფხულში პაუელმა გარკვეული სიგნალებით მიანიშნა, რომ ბუშის გამარჯვების შემთხვევაში ის შეიძლება თანამდებობაზე დარჩეს. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, გამორიცხული არ არის, რომ პაუელს თავდაცვის მინისტრის სრულფასოვანი პოსტი შესთავაზონ, რომელსაც ის, როგორც ყოფილი გენერალი, იდეალურად შეესაბამება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ პაუელს უფრო გრძელვადიანი გეგმებიც ჰქონდეს, რაც 2008 წლის არჩევნებს უკავშირდება.

თუ პაუელი თავის ადგილს დატოვებს, მისი შეცვლის სურვილი, შესაძლოა, კონდოლიზა რაისსაც და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ამჟამინდელ თამჯდომარეს, **რიჩარდ ლუგარსაც** ჰქონდეთ.

ამ "თუ"-ს და "შესაძლოა"-ს შორის ბევრი რამ ადმინისტრაციის კიდევ ერთ გავლენიან ფიგურას უკავშირდება. ეს ვიცე-პრეზიდენტი **რიჩარდ (დიკ) ჩეინი** გახლავთ. იგი მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას ნამდვილად არ დააყენებს. ბუშის ხელახალი არჩევის შემთხვევაში, ჩეინიმ, შესაძლოა, ჩრდილში ყოფნა არჩიოს ან თავისი სავარძელი საპატიო მიზეზით (ოთხი გადატანილი ინფარქტი) იმ ადამიანსაც კი დაუთმოს, რომელიც 2008 წლის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად იქნება წარდგენილი. ექსპერტები აღნიშნავენ: მიადევნეთ თვალყური ჩეინის გუნდში ძირითადი ფიგურების გადაადგილებას და მომავალი ადმინისტრაციის ხასიათში თქვენთვის მრავალი რამ ნათელი გახდება.

### თუ ჯონ კერი გაიმარჯვებს

დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ორი კანდიდატურა განიხილება – გამოჩენილი დიპლომატი **რიჩარდ ჰოლბრუკი** და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გავლენიანი წევრი **ჯოზეფ ბაიდენი**. სულ ცოტა ხნის წინ, ჰოლბრუკის შანსებს, რომელიც კლინტონის დროს გაეროში აშშ-ს წარმომადგენლად მუშაობდა, უფრო მეტად აფასებდნენ. ბაიდენის გავლენა კი მას შემდეგ გაიზარდა, რაც სენატორი დემოკრატების საარჩევნო შტაბს ერაყის პრობლემის განხილვისას აუცილებელი ტონალობის მოძებნაში დაეხმარა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კერიმ მნიშვნელოვან თანამდებობებზე გამოჩენილი რესპუბლიკელებიც კი შეიძლება მოიწვიოს. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, თავდაცვის მინისტრად სახელმწიფო დეპარტამენტის "მეორე ნომერი" **რიჩარდ არმიტიჯი** დაინიშნოს.

თითქმის უეჭველია, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის პოსტს კლინტონის მრჩეველს **რენდ ბირსს** შესთავაზებენ, რომელიც კერის გუნდში ამ საკითხებით უკვე დაკავებულია. საერთოდ, კლინტონის გუნდი კერისათვის მძლავრ საკადრო რეზერვს წარმოადგენს. მაგალითად, ყოფილი ფინანსთა მინისტრი **რობერტ რუბინი**, შესაძლოა, ვაშინგტონში კვლავ დაბრუნდეს. აგრეთვე ამბობენ, რომ ის ფედერალური რეზერვების სისტემის თავმჯდომარის თანამდებობას უმიზნებს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ალან გრინსპინს უკავია.

შიდა უსაფრთხოების მინისტრის პოსტზე, რომელზეც ამჟამად ტომ რიჯი იმყოფება, შესაძლოა, პრეტენზია 11 სექტემბრის ტრაგედიის დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ **თომას კინმა** ან მისმა მოადგილემ **ლი ჰამილტონმა** განაცხადონ. კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, **ჯემი გორელიკმა** კი, შესაძლოა, იუსტიციის მინისტრი ჯონ ეშკროფტი შეცვალოს. თუმცა, ეს უკანასკნელი, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის ყველაზე ნაკლებად პოპულარული ფიგურაა, თავის თანამდებობას არჩევნების შედეგების მიუხედავად მაინც დატოვებს.

# ნავთობის ფასი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას ელოდება

*აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილება ამერიკის პოლიტიკურ არენაზე ძალთა გადანაწილებით აიხსნება. ენერგომატარებლების და პირველ რიგში, ნავთობის ფასწარმოქმნის პროცესი კი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პოლიტიზირებული მოვლენაა. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს აშშ-ს ეკონომიკის განვითარებისთვის "შავ ოქროს".*

დიანა ჩაჩუა

მსოფლიო ნავთობის ფასი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების მოლოდინში იაფდება. საგულისხმოა, რომ მსოფლიო ნავთობის ბაზრის მსხვილმა "მოთამაშეებმა" თავი დაიზღვიეს და საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულის გამოვლენამდე ჩრდილში მოქცევა გადაწყვიტეს. მათი ქცევის მოტივი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს – ჯერჯერობით, გაურკვეველ სიტუაციაში გრანდიოზული ნავთობაფიორების გაგრძელება ძალზე სარისკო საქმეა. ასე რომ, სანამ საფონდო ბირჟების მხრიდან სპეკულაციური ქმედებები არ აღდგება, ნავთობის ფასის შემდგომ ვარდნას უნდა ველოდოთ, საშუალოდ ბარელზე 45-48 დოლარის ფარგლებამდე.

ნავთობის ფასის მაჩვენებლებმა მას შემდეგ დაიწყო დაცემა, რაც ბაზარზე წინასწარი ინფორმაცია გავრცელდა იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ს საპრეზიდენტო რბოლაში ორივე კანდიდატს გამარჯვების თანაბარი შანსები ჰქონდა. ამას ის ფაქტიც დაემატა, რომ აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონ კერის გამარჯვების შემთხვევაში, კანდიდატმა ქვეყნის ნავთობის სტრატეგიული მარაგების ამოქმედების შესახებ გააკეთა განცხადება. შედეგად ბაზარმაც სწრაფად მოახდინა რეაგირება და ერთი ბარელი ნავთობის ფასი ორი დოლარით გაიაფდა. **"ერთი ბარელი ნავთობის ფასის 56 დოლარამდე გაზრდა 2001 წლის შემდეგ დაიწყო, ანუ მაშინ, როცა ბუშმა თეთრ სახლში პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა,"** – არ ცხრება პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი. როგორც ამერიკელი ექსპერტები აცხადებენ, ხელისუფლების სათავეში კერის მოსვლა მსოფლიოს ნავთობის მთავარ მომპოვებელ რეგიონებში დაძაბულობის შემცირების და აშშ-ს მსხვილ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებთან ურთიერთობების მოგვარების გარანტი გახდება. ციფრების ენაზე რომ ვთქვათ - კერის გამარჯვების შემთხვევაში ნავთობის ფასი დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდება.

**"ჩემი აზრით, ბუშის პრეზიდენტად დარჩენა გრძელვადიან პერსპექტივაში ნავთობის ფასის ზრდის პირდაპირპროპორციული იქნება,"** – აცხადებს IFR Energy Services-ის მთავარი ანალიტიკოსი ტიმ ევანსი. მის პოზიციას იზიარებს კომპანია Energy Merchant-ის მთავარი ტრეიდერი ედ სილიერი, რომელიც აცხადებს, რომ **"ბოლო ვაჭრობაზე მოთამაშეებმა მოგება დააფიქსირეს და სხვათა-შორის, არა მარტო მათ, ეს აშკარა იყო თვით საფონდო ბირჟების მხრიდანაც."**

ასე რომ, აშშ-ს საარჩევნო კამპანიამ უკვე აშკარად და მიზანმიმართულად ჰპოვა ასახვა მსოფლიო ეკონომიკაზე, კერძოდ კი, მის მთავარ "შავ" ჟანგბადის ბალონზე.

დაბოლოს, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ნავთობის ფასის შემცირებას ერაყიდან მომავალმა ამბებმაც შეუწყო ხელი - ქვეყანამ წარმატებით აღადგინა ნავთობის წარმოება. ახლა, როცა საფონდო ბირჟებისთვის ფიქსაციის დრო დადგა, ბაზარმა, რატომღაც, გადაწყვიტა, ერაყს სიტყვაზე ენდოს.


**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი და ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" აცხადებენ კონკურსს

**ახალი სალექციო კურსების შესაქმნელად**

კონკურსის მიზანია ახალი, ინოვაციური (შინაარსით, მეთოდოლოგიით) კურსების შექმნა, ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების მეცნიერებს შორის.

პროგრამა დააფინანსებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ განაცხადებს.

განმცხადებლებმა უნდა შექმნან და დანერგონ ერთ ან ორ სემესტრიანი კურსი ქვემოთ ჩამოთვლილ დისციპლინებში:

**1. ეკოლოგია და მდგრადი დაგეგმარება**
**2. ლიტერატურა და გენდერი**
**3. ისტორია**
- ისტორია და თანამედროვეობა
- იმპერიების ისტორია/ ნაციონალიზმი თანამედროვეობაში
- აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის თანამედროვე ისტორია
- ისტორიის სწავლება პოსტ-კომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპაში

**4. პოლიტიკური მეცნიერებები/ საერთაშორისო ურთიერთობები**
- პოსტ პოზიტივისტური კვლევა: თეორია და პრაქტიკა
- მიახლოება დასავლეთთან

**5. ანალიტიკური ფილოსოფია**
**6. კურსები კორუფციის შესახებ**
**7. კურსები ბოშათა საკითხებზე**

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს რომლებიც ასწავლიან ან აპირებენ სწავლებას რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში

**განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ნოემბერი**

**დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ოფისს, ჭოველიძის ქ. 10, ტელ. 25 04 63.**
**ან ეწვიეთ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვებ გვერდს http://www.ceu.hu/crc/cdc/.**

# კომპანია "ყაზბეგი" 10 წლისაა

1994 - 2004

ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც თანამედროვე სამყაროში თუნდაც მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი ადგილის დაკავება სურს, არასოდეს უნდა აღიქმებოდეს, როგორც რაღაც გეოგრაფიული ნაგლეჯი ან წერტილი რუკაზე. ქვეყანა, უპირველესად, ის შეგრძნებებია და შთაბეჭდილებებია, რომელიც მისი ნახვის შემდეგ რჩება. მისი ბუნება, კულტურა, ტრადიციები და, რასაკვირველია, ხალხი. ქვეყნის სახეს, უპირველესად, სწორედ ადამიანები განსაზღვრავენ, მის საქმიან იერს კი - ის კომპანიები, რომლებიც ძალიან ხშირად ამ ქვეყნების იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენენ.

საქართველოს საბჭოეთიდან რამდენიმე ცნობილი სავაჭრო ნიშანი შემორჩა. თუმცა, მათი უმეტესობა ან საერთოდ დაიკარგა, ან კვდომის პროცესშია, ან თუ მაინც გააქვს თავი, უპირატესად დიდი გაჭირვებით. სულ რაღაც 10-15 წლის მანძილზე ბევრი მათგანი საერთოდ ისე გაქრა, რომ მოზარდი თაობის წარმომადგენლებს თვალითაც კი არ უნახავს. და რაც ყველაზე საწყენია, ეს ეხება იმ სახელებს, რომელთაგან ზოგიერთს ასეული თუ არა, მრავალი ათწლეულის ისტორია გააჩნდა.

ასეთ ფონზე, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რამხელა ჯაფის, სულიერი, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების მობილიზება იყო საჭირო ახალი, დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი და სანდოობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი სავაჭრო ნიშნების შესაქმნელად. ნულიდან, სახელმწიფოს მხრიდან არათუ ხელშეწყობის, არამედ ძალიან ხშირად ხელის შეშლის პირობებშიც კი ისეთი წარმატებული ბიზნეს-ისტორიების შექმნა, რომელთა საწყის ეტაპზეც მათ წარმატებაზე ფიქრი თუ უტოპიად არა, ძალზე თამამ ოცნებად ითვლებოდა.

საქართველოში - ვაზისა და ღვინის ტრადიციულ სახელმწიფოში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ალბათ, ძალიან რთულად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ღვინის გარდა რომელიმე სასმელი საყოველთაოდ პოპულარული გახდებოდა, ამ იდეის გარშემო წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მრავალპროფილიანი იმპერია კი ქართული ბიზნესის ფლაგმანი და ეროვნული ბიზნესის ყველაზე წარმატებული და მისაბაძი მაგალითი.

1994 წელს, კრიმინალური ბანდების თარეშით გაწამებულ, პოლიტიკურად დაულაგებელ, ეკონომიკურად განადგურებულ, კონტრაბანდით წალეკილ, გამჭვირვალე საზღვრებში მოქცეულ საქართველოში წარმოების შექმნა ის ნაბიჯი იყო, რაზეც მხოლოდ ერთეულები თუ მიდიოდნენ. კომპანია "ყაზბეგმა", რომელსაც საფუძველი რამდენიმე ფიზიკურმა პირმა საკუთარი დანაზოგებიდან შეკოწიწებული თანხით ჩაუყარა, 10 წლის წინ არნახული რისკის მქონე პროექტის განხორციელება განიზრახა: მათმა ბიზნესმა ფეხის ადგმა ლუდის ბაზარზე დაიწყო - სეგმენტზე, სადაც ქართული პროდუქცია საერთოდ აღარ არსებობდა, ბაზარი კი გაურკვეველი წარმოშობის, ხარისხისა და შემადგენლობის ლუდებს ჰქონდა წალეკილი და მათ ზურგს არაერთი ფინანსურად თუ პოლიტიკურად აბსოლუტურად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ინტერესთა ჯგუფი უმაგრებდა.

სწორედ ასეთ ფონზე, დიდი შესვენების შემდეგ ბაზარზე "ყაზბეგის" მარკით გამოჩენილი პირველი ქართული ლუდი **"ანანური"** ის ბასრი იარაღი იყო, რომელსაც წლობით აწყობილი და, ერთი შეხედვით უძლეველი მანკიერი წრე უნდა გაერღვია. და ასეც მოხდა: ლუდმა "ანანურმა" და მის კვალად ბაზარზე გამოჩენილმა მეორე სახეობამ - **"ყაზბეგმა",** საწყის ეტაპზე წარმოების მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად, იმდენად შეავიწროვა ლუდის იმპორტს ჩაჭიდებული არაერთი კომპანია თუ მათ ზურგს ამოფარებული ჩინოვნიკი, რომ ადგილობრივი წარმოების მიმართ არნახული საბოტაჟი განხორციელდა: ინტერესთა ჯგუფების მიერ გაწეული ფართო ლობისტური კამპანიის შედეგად, **1995** წლის ივნისში მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ადგილობრივ მეწარმეებს აქციზის გადასახადი, არც მეტი, არც ნაკლები, **1000%-ით** გაეზარდათ. ამ საგადასახადო გილიოტინამ, რომელიც 1995 წლის ივნისში ამუშავდა, თავისი მომაკვდინებელი შედეგი 2-3 წელიწადში გამოიღო. სასმელის მწარმოებლებს გადასახადის ამ განაკვეთის გამო იმხელა დავალიანებები დაუგროვდათ, რომ მათი უმეტესობა მოგვიანებით ან გაკოტრების რეჟიმში მოექცა, ან წლების მანძილზე წელში ვერ გასწორდა და ავად თუ კარგად მოპოვებული საბაზრო პოზიციები საბოლოოდ დაკარგა.

გამონაკლისი მხოლოდ "ყაზბეგი" აღმოჩნდა. და ამის მიზეზი იყო უკიდურესად რისკიანი, თუმცა ბიზნესის ლოგიკიდან გამომდინარე აბსოლუტურად გამართლებული და, საბოლოო ანგარიშით, თავის გადასარჩენად მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - "ყაზბეგმა" აბსურდულობამდე გაზრდილი აქციზის გადახდაზე უარი განაცხადა.

წმინდა სამართლებრივი კუთხით განხორციელებული ეს კანონდარღვევა თავისი ეკონომიკური მიზანშეწონილობით იმდენად ლოგიკური იყო, რომ თვით "ყაზბეგის" დაშვებულ ყოველ გადაცდომაზე ჩასაფრებულმა მაკონტროლებლებმაც კი ვერ გარისკეს კომპანიის შევიწროება. საბოლოო ანგარიშით, ეს სწორედ ის ნაბიჯი აღმოჩნდა, რომელმაც განვითარების პირველ საფეხურზე მყოფ კომპანიას შემდგომი წინსვლის და განვითარების საშუალება მისცა.
















ეს ისტორია კიდევ ერთი დასტურია იმ ტენდენციისა, რომელიც კომპანია "ყაზბეგის" მთელი არსებობის ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს. სწორედ ათწლეულზე გადანაწილებული მსგავსი არაორდინალური ნაბიჯების წყებაა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც "ყაზბეგის" არსებულ რეალიებთან მაქსიმალურ მისადაგებას, მის შესაშურ მოქნილობას და, საბოლოო ანგარიშით, წარმატებულ საქმიანობას განაპირობებს.

**თუმცა, ამ წარმატებული საქმიანობის მიღმა უდიდესი რისკი, ენერგია, ხშირად იმედგაცრუება და არსებობისთვის თავდაუზოგავი შრომა იმალება. და ეს ყველაფერი უცვლელია მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში: უცვლელი იყო 1994 წელს, როცა კომპანია იწყებოდა და უცვლელია დღესაც, როცა ამ ბრძოლას უკვე 10-წლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, თავად "ყაზბეგი" კი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და რეიტინგული კომპანია გახლავთ.**

მაშინ კი, წინა საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის შუაწელზე "ყაზბეგი" სერიოზული დილემის წინაშე იდგა: ან დაკმაყოფილებულიყო არსებული წარმატებებით და ადგილობრივ ბაზარზე "მიბმულ" კომპანიად დარჩენილიყო, ან ბიზნესის მკვეთრ გაფართოებაზე ეფიქრა და, ადგილობრივთან ერთად, საექსპორტო პოტენციალის შექმნაზე ეზრუნა.

სწორედ ამ ლოგიკით შემოვიდა დღის წესრიგში უცხოელი ინვესტორის ძებნის აუცილებლობა. საწარმოში დარგის გამოცდილი, ავტორიტეტული კომპანიის შემოყვანა ის ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კომპანიის საქმიანობაში ტექნოლოგიური გარღვევა უნდა მოეხდინა, პროდუქციის რიგი გაეფართოებინა და საექსპორტო ბაზრები ჩამოეყალიბებინა. პარტნიორიც სათანადო მოიძებნა - პიერ კასტელი და ევროპის სასმელების მწარმოებელ ათეულში შემავალი მისი იმპერია. შედეგად - კომპანია "ყაზბეგი-კასტელი", რომელსაც ბაზარზე "ყაზბეგის" მიერ მოპოვებული ლიდერი პოზიციები უნდა გაემყარებინა.

თუმცა, ორიოდ წელიწადში პარტნიორობას სერიოზული ბზარი გაუჩნდა. უფრო სწორად, პარტნიორობა არ შედგა, ვინაიდან კასტელის ჯგუფს ქართველი პარტნიორის ისეთივე "მეწველ ძროხად" გადაქცევის სურვილი აღმოაჩნდა, როგორც არაერთი კომპანიისა აფრიკასა თუ აზიაში. "ყაზბეგი" კი ნამდვილად არ აღმოჩნდა ასეთი თვინიერი და, საბოლოოდ, კასტელისთვის ისეთ კერკეტ კაკლად იქცა, რომელმაც ფრანგ პარტნიორს მანამდე ასეთ წინააღმდეგობას მიუჩვეველი კბილები დაამტვრევინა.

ესეც პირველი პრეცედენტი იყო, როდესაც უცხოური კომპანიამ ქართულს ქედი ვერ მოადრეკინა. და ეს იმ ფონზე, როდესაც კასტელის ჯგუფს ყველანაირი - ყველა დონეზე პოლიტიკური, რესურსული თუ ინსტიტუციონალური მხარდაჭერა ჰქონდა. თუმცა, ფრანგულმა კომპანიამ ამ არნახული უპირატესობის მომტანი ბერკეტებითაც კი ვერ შესძლო, თავისი გაეტანა. "ყაზბეგმა" ყველას თვალნათლივ უჩვენა, რომ ინვესტორი ყოველთვის არ შეიძლება წარმატებული იყოს და მისი ბრმა მორჩილება ხშირად არ არის სიკეთის მომტანი, თავის დასაცავად კი ხანგრძლივი და ბევრი რესურსის წამლები ბრძოლაც აუცილებელია. სამაგიეროდ, თვალსაჩინოა შედეგი, როცა საერთაშორისო საზომებით ჯერ კიდევ გამოუცდელი ქართული კომპანია უთანასწორო დაპირისპირებაში პირწმინდად ამარცხებს ძალებით აშკარად მასზე ბევრად ძლიერ უცხოურ ანალოგს. თან ისე, რომ მისი საბაზრო პოზიციები ამით არათუ ირყევა, არამედ საგრძნობლად ძლიერდება და მეტ პოპულარობასაც იძენს.

ერთ დროს პარტნიორთან, შემდეგ კი მდინარის მეორე მხარეს აღმოჩენილ პიერ კასტელთან და მის კომპანიასთან ურთიერთობაში მიღებული გამოცდილება თავისი შინაარსით ფასდაუდებელი აღმოჩნდა "ყაზბეგისთვის", ვინაიდან სწორედ ამ ჭიდილში ჩამოყალიბა კომპანიამ საერთაშორისო ბიზნესის და მისი წარმოების შუქ-ჩრდილების შესახებ ის წარმოდგენები და პრაქტიკული ჩვევები, რომელთა გარეშეც წარმატების მიღწევა აბსოლუტურად გამორიცხულია. ბევრ ქართულ კომპანიას "ყაზბეგელებმა" დაანახეს , რომ ყველა უცხოელი ინვესტორი იდეალური პარტნიორი არ არის და მათთან კამათში პრინციპული პოზიციის დაფიქსირება და ქართველი პარტნიორის ინტერესების დაცვა შესაძლებელია , რა ხელშეწყობაც არ უნდა ჰქონდეს უცხოელ ინვესტორს ხელისუფლებისაგან.

ეს გამოცდილება დღესაც თავს იჩენს კომპანიის საქმიანობაში. მისმა პოტენციურმა პარტნიორებმა კი უკვე კარგად იციან, რომ საქმე კარგად მომზადებულ და არცთუ იოლად გასაცურებელ კომპანიასთან აქვთ, რომელმაც თვისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე ხალიჩას ისეთი მანამდე ბეჭდაუდებელი ფალავანი გააკრა, როგორიც პიერ კასტელი იყო. სწორედ აქედან მოდის ის ზედმიწევნით პარტნიორული დამოკიდებულებები, რომელიც "ყაზბეგს" ლუდის (და არა მხოლოდ მის) წარმოებაში აუცილებელი კომპონენტების შემქმნელი არაერთი ქვეყნის არაერთ წარმომადგენელთან აქვს.

ასეთი კავშირი უამრავია. სადღეისოდ კომპანია "ყაზბეგი" ხომ უკვე დიდი ხანია, გასცდა მხოლოდ ლუდის წარმოებას და კვებისა და გადამამუშავებელი, ასევე მრეწველობის სხვა დარგებისა თუ ტურიზმის სფეროში არაერთი პროდუქტის მწარმოებელი და ბიზნეს-პროექტის ოპერატორია.

ლუდის შემდეგ, უპირველესად, ეს "ცივ ჩაიზე" ითქმის. პროდუქტზე, რომელმაც არა მხოლოდ თვისებრივად სავსებით ახალი ნაწარმი შესთავაზა მომხმარებელს, არამედ ამოსუნთქვის და ხელახალი ცხოვრების დაწყების საშუალება მისცა თითქმის კვდომის პირას მყოფ ერთ დროს საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტს - ჩაის მეურნეობას. პროდუქტს, რომელიც ქართულ ნედლეულზე, ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთა მახასიათებლებით იქმნება და, პრაქტიკულად, ყველა კატეგორიისა და მოთხოვნის მომხმარებელში მზარდად პოპულარულია.

ანალოგიურის თქმა შეიძლება "ყაზბეგის" ლიმონათზეც, რომელიც გამაგრილებელი სასმელების ბიზნესში ერთ მოზრდილ, დიდი მოთხოვნილების მქონე მრავალფეროვან ნიშას იკავებს. "ყაზბეგის" ლიმონათი, რომელიც სახეობათა მრავალფეროვნებით "ცივ ჩაის" არ ჩამოუვარდება, სწორედ ის საფირმო პროდუქტია, რომლის გარეშეც შესაბამისი პროფილის მეტ-ნაკლებად პოპულარული და სოლიდური დაწესებულება წარმოუდგენელია.

პარალელურად კი "ყაზბეგის" თამბაქო, სანელებლები, ზეთი თუ ქათამი. თამბაქო, რომელიც ერაყის ბაზარზეც კი გაიგზავნა და ადგილობრივადაც თავისი ერთგული მომხმარებელი ჰყავს. ქართული ვარია, რომელიც საქართველოში გაზრდილი თუ იმპორტირებული სხვა ქათმისგან განსხვავებით, არა გაურკვეველი შემადგენლობის საკვებით, არამედ ნატურალური პროდუქტით იკვებება, ისე იზრდება და ამიტომაც ბაზარზეც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პარალელურად კი კომპანიის თავდაპირველი პროფილისგან აბსოლუტურად მოწყვეტილი პროექტები, რომელთა განხორციელებაც ქვეყანას არანაკლებ მოგებას და იმიჯს მოუტანს, ვიდრე უკვე ჩამოთვლილი და ათასგზის აპრობირებულები.

მათგან უპირველესად გამოსაყოფია სააქციო საზოგადოება "დიდველი" - ბაკურიანში, დიდველის მთაზე, "ყაზბეგის" ოპერატორობით მიმდინარე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც რამდენიმე წელიწადში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელს კავკასიას და ახლო აღმოსავლეთს თავისი მახასიათებლებით უნიკალურ სამთო-საკურორტო ინფრასტრუქტურას შეჰმატებს. ადგილს, სადაც მთელი ამ რეგიონის სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებით გატაცებულებს და, ზოგადად, სამთო ტურიზმის მოყვარულებს განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებში სათანადო ვარჯიშის, განკურნებისა და დასვენების შესაძლებლობა მიეცემათ.

ბუნებრივი პირობები და ეკოლოგიური წონასწორობა - ესეც კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც "ყაზბეგის" საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. უკვე აღვნიშნეთ კიდეც, რომ ყველა პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა ნედეულისგან, შესაბამის გარემოში და შესაბამისი ტექნოლოგიების ზუსტი დაცვით მზადდება. იგივე ითქმის სხვა ბიზნეს-პროექტებზეც. მაგალითად, კახეთში ამუშავებულ "ყაზბეგის" ხის გადამამუშავებელ საწარმოზე, რომელშიც პირველად საქართველოში ხეტყის უმოწყალოდ ჩეხვის უკანასკნელი რამდენიმეწლიანი ისტორიის მანძილზე ახალი პრაქტიკა დაინერგა: ამოქმედდა სანერგეები, სადაც თვითეული მოჭრილი ძირი ხის სანაცვლოდ ახალი ირგვება და იზრდება, რათა ბუნებრივი საფარი არ განადგურდეს. რაც შეეხება თავად საწარმოს მუშაობას, მასაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს: საწარმომ ხისგან მზა პროდუქტები უნდა აწარმოოს და მხოლოდ ასეთი პროდუქციის რეალიზება მოახდინოს, რათა ქვეყანაში კიდევ ერთი მანკიერი პრაქტიკა აღმოიფხვრას - აღარ მოხდეს ქვეყნიდან ჩალის ფასად ისეთი ძვირფასი ნედლეულის გადინება, როგორიც ხე-ტყეა, რომლის ფასიც მუდმივად იზრდება.

და ეს მხოლოდ ნაწილია იმ ბიზნეს-პროექტებისა, რომელთაც კომპანია "ყაზბეგი" ამ ეტაპზე ახორციელებს. რაც შეეხება სხვა სოციალურ, სასპონსორო თუ საქველმოქმედო პროექტებს, ამაზე, ალბათ, ხანგრძლივად საუბარი მიუღებელიცაა. მოკლედ კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კომპანიას მხოლოდ ამ მიზნებზე 7 მილიონ ლარზე მეტი აქვს დახარჯული. და ეს თანაბრად გულისხმობს როგორც არაერთი ავადმყოფის თუ სხვაგვარად შეჭირვებულისთვის ხელის გამართვას, ასევე უამრავი სპორტული თუ გასართობი ღონისძიების ხელშეწყობას და ცალკეული გამორჩეული ადამიანების წახალისებას.

**ასეთია "ყაზბეგი": ქართული კომპანია, ქართული კაპიტალით, ქართული ნიჭით და ქართული სიჯიუტით. სწორედ იმ სიჯიუტით და სიცოცხლისკენ სწრაფვით, რომელმაც კომპანიას ყველაზე რთული პერიოდებიც კი განსაკუთრებული დანაკარგების გარეშე გადაატანინა.**

და მაინც, უპირველესად, "ყაზბეგი" მაინც ლუდია - წარმატებისა და სიძნელეების, განვითარებისა და შეფერხებების ათწლიანი, რთული, მძიმე მაგრამ ძალიან საინტერესო და ჭკუის სასწავლი ისტორია. ისტორია ლუდისა, რომელმაც ყველანაირი დახმარების გარეშე ისეთ ბაზარზე დაიწყო ფეხის მოკიდება, სადაც ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო დარჩენილი და, საბოლოოდ, არათუ ეს ბაზარი დაიპყრო, არამედ საექსპორტო ბაზრებიც შემოიერთა, მათ შორის, ისეთი კონსერვატორული და ძნელად შესაღწევი, როგორიც ამერიკის ბაზარი გახლავთ. და რაც მთავარია, სწორედ "ყაზბეგმა" უმოკლეს ვადებში შექმნა საქართველოში ლუდის სმის ტრადიცია და ის სტერეოტიპიც დაამსხვრია, რომლის მიხედვითაც ამ სასმელის მოხმარება **მხოლოდ განსაკუთრებულ, ისიც არცთუ სასურველ პირობებში შეიძლება.**

**დღეს "ყაზბეგი" უკვე 10 წლისაა.** საერთაშორისო ბიზნესის საზომით ჯერ კიდევ ჩვილი, მაგრამ ქართული საზომებით და გადატანილი ომების მიხედვით გამოცდილი, დაღვინებული და ძლიერი ქართული კომპანია. კომპანია, რომელმაც ერთ ათწლეულში ისეთი წარმატების ისტორია შექმნა, როგორსაც ბიზნესის წარმოების ეტალონებად აღიარებული კომპანიები არა ერთ და ორ ათეულ წელს (თუ საუკუნეს არა) ანდომებენ. ალბათ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გამოიკვეთება ის წვლილი, რაც "ყაზბეგმა" ქართული ბიზნესის ახლებურად წარმოების საქმეში და, რაც არანაკლებ საგულისხმოა, ხელჩაქნეული ქართული მენტალიტეტის მსხვრევაში შეიტანა.

**დღეს კი "ყაზბეგი" 10 წლისაა. "მთელი" 10 წლის თუ "მხოლოდ" 10 წლის - ძნელი განსასაზღვრია. მთავარია, რომ "იმ" 10 წლის, რომელმაც ქართულ ბიზნესში გადატრიალება მოახდინა.**




# კახეთის პოლიცია საზოგადოების ნდობის მოპოვებას ცდილობს

ზვიად რუაძე
*კახეთი*

*ძალოვნები დაკარგული რეპუტაციის აღსადგენად, დახმარებისთვის არასამთავრობო ორგანიზაცებს და მედიის წარმომადგენლებს მიმართავენ. ამის შესახებ ოფიციალურად ხმამაღალი განცხადება გუშინ კახეთის სამხარეო პოლიციის შეფმა გააკეთა.*

კახეთის სამხარეო პოლიციის შეფის თეიმურაზ ანჯაფარიძის ინიციატივით მოწყობილ შეხვედრაზე საკონსულტაციო საბჭოს დაფუძნებას ჩაეყარა საფუძველი. **“ის ორგანიზაციები, რომლებსაც კონტაქტები აქვთ სამართალთან, იმედია, პოლიციელების ცოდნა-განათლებაზეც იზრუნებენ,"** - განაცხადა ანჯაფარიძემ.

თუმცა, როგორც შეხვედრის დასაწყისშივე აღმოჩნდა, რეგიონის პირველი პოლიციელი არასამთავრობოებს და მედიის წარმომადგენლებს ურთიერთთანამშრომლობას ინფორმაციის გაცვლის გზით სთავაზობდა: **“ჩვენთან არანაირი საჩივარი არ შემოსულა იმის შესახებ, რომ პოლიციელმა ვინმეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თუ თქვენ ამის შესახებ ინფორმაციას ფლობთ, ჩვენთვისაც და მოქალაქეებისთვისაც უმჯობესია, დაუყოვნებლივ გვაცნობოთ და რეაგირებას მოვახდენთ,"** - განაცხადა ანჯაფარიძემ. რეგიონის პოლიციის უფროსის მიერ შეთავაზებულ ასეთი ფორმის თანამშრომლობაზე არასამთავრობოებსა და მედიის წარმომადგენლებში არაერთგვაროვანი აზრი გაჩნდა. მათი განცხადებით, ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ ერთჯერად მიზანს მოემსახურება, რასაც შედეგი არ მოჰყვება. საბოლოოდ, პოლიციასა და არასამთავრობოებს შორის შეთანხმება მაინც შედგა და საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის წარმომადგენლობას დაეკისრა. **“საზოგადოებასთან შუამავლად ჩვენ ეს ორგანიზაცია იმიტომ ავირჩიეთ, რომ აქ მომუშავე ახალგაზრდებს სწორედ სამართალთან და ქვეყანაში კანონიერების აღდგენასთან აქვთ საქმე,"** - აცხადებს ანჯაფარიძე.

შეხვედრაზე კონკრეტული დარღვევები განიხილეს, რომელსაც ამ ბოლო დროს კახეთის რეგიონში ჰქონდა ადგილი. ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, მარტო 2004 წელს სამართალდამცველებმა 14 ადამიანზე მოახდინეს ფიზიკური ზეწოლა. თუმცა, ანჯაფარიძემ თავისი თანამშრომლების მიმართ ლოიალობა გამოიჩინა და მედიისა და არასამთავრობოების წარმომადგენლებს შეახსენა კანონი პოლიციის შესახებ. **“ჩვენ, როცა დამნაშავე გვეწინააღმდეგება, კანონი გვაძლევს იმის უფლებას, რომ მასზე ფიზიკური იძულება მოვახდინოთ,"** - განაცხადა ანჯაფრიძემ, რასაც სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული წარმომადგენლის ნოდარ სეფიაშვილის საწინააღმდეგო რეპლიკა მოჰყვა. ეს ფაქტი ანჯაფარიძემ იმით ახსნა, რომ რაიონების პოლიციელთა უმრავლესობა არაპროფესიონალია. ამის გამო, მან ახალგაზრდა იურისტებს შესთავაზა, რომ პოლიციის რაიონულ განყოფილებებში, პოლიციელებისთვის ცოდნის ასამაღლებელად, ეტაპობრივად სემინარები მოეწყოს. რაც შეეხება საკონსულტაციო საბჭოს, იგი რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებით დაკომპლექტდება და მასში ჟურნალისტებიც გაერთიანდებიან.




# „თავისუფლების ინსტიტუტი" სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს

“თავისუფლების ინსტიტუტი” განაჩენს აპროტესტებს. მისი წარმომადგენლები "მრგვალი მაგიდის" დაკავებული წევრების - ირაკლი შონიას, თამაზ წიკლაურის და ლაშა ქაცანაშვილის (რომელთაგან ერთ-ერთმა ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძეს სახეში შეაფურთხა) დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. პარალელურად “თავისუფლების ინსტიტუტი” სასამართლო ხელისუფლების რეფორმირების აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდა.

**“საქმე ისაა, რომ არსებობენ სისხლის სამართლის სერიოზული დამნაშავეები, რომელთა მიმართაც სასამართლო ლმობიერებას იჩენს, მკაცრი და დაუნდობელი კი ისეთების მიმართ არის, ვინც ნაკლებად საშიშია, ვისაც ბევრად ნაკლები სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი,"** - აცხადებს “თავისუფლების ინსტიტუტის” წევრი ლევან რამიშვილი.

მართლმსაჯულების გუშინწინდელი გადაწყვეტილების თანახმად, თამაზ წიკლაურს - ერთი წლითა და ექვსი თვით პატიმრობა, ირაკლი შონიას - ერთი წლით, ხოლო ლაშა ქაცანაშვილს - პირობითი სასჯელი შეეფარდათ.

**“სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უსამართლოა, გაუმართლებელია თავად ის ფაქტი, რომ პოლიციის მიერ დანაშაულის ჩადენისას დაკავებული პირები სამი თვის განმავლობაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ. არადა, არ არსებობდა არავითარი საფუძველი იმისა, რომ შონია და წიკლაური გამოძიებას და მართლმსაჯულებას დაემალებოდნენ. ერთი სიტყვით, აქციის დროს დაკავებულთათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება იმთავითვე გაუმართლებელი იყო. მოსამართლის მიერ გუშინწინ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მან დაკავებულებს პატიმრობის ვადა დაუდგინა, ჩადენილი დანაშაულის არაპროპორციულია,"** - ასეთი პოზიცია აქვთ “თავისუფლების ინსტიტუტის” წევრებს, რომელთა აზრითაც, მართებული იქნებოდა, დაკავებულებს სასჯელის სახით ჯარიმა ან რაიმე საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება შეფარდებოდათ.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

__________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი ..............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..................................

საკონტაქტო ტელეფონი ....................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ამბეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას "მშვიდობის გაკვეთილები" დაეხმარება

*ქართველი და აფხაზი მოსწავლე-მასწავლებლების თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს და აფხაზეთის განათლების სისტემაში ახალი კლასგარეშე წიგნი "მშვიდობის გაკვეთილები" დაინერგება. როგორც პროექტის ავტორებმა აღნიშნეს, წიგნის მიზანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობა და საქართველოში დემოკრატიის პრინციპების, მშვიდობის დაცვაა.*

დიანა ჩაჩუა

კლასგარეშე საგანმანათლებლო წიგნი "მშვიდობის გაკვეთილები" ევროკომისიის, საერთაშორისო ორგანიზაცია "ამქორის" და ფონდ "თბილისის მოზარდთა სახლის" მხარდაჭერით პროექტის - "ინტეგრირებული მშვიდობის განათლება საქართველოს და აფხაზეთის საშუალო სკოლებისთვის" ფარგლებში მომზადდა. მისი საცდელი ვარიანტის პრეზენტაცია ამ დღეებში ფონდ "თბილისის მოზარდთა სახლში" შედგა.

როგორც "თბილისის მოზარდთა სახლის" დირექტორმა ნანა დოლიაშვილმა განაცხადა, "მშვიდობის გაკვეთილების" დახმარებით მოსწავლეები და მასწავლებლები სპეციალურ განათლებას მიიღებენ იმის შესახებ, თუ როგორ ააშენონ და იცხოვრონ მშვიდობიან გარემოში. **"ამ მასწავლებლებმა უნდა აღზარდონ თაობა, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ იბრძოლებს, ოღონდ ისეთი იარაღით, როგორიცაა შინაგანი რწმენა,"** - განაცხადა პროექტის პრეზენტაციაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა. ცნობისთვის, პროექტში თბილისის, ზუგდიდის, სოხუმის და ოჩამჩირეს მოზარდთა სახლების ბაზაზე 640 ქართველი და აფხაზი მოსწავლე და 32 მასწავლებელი მონაწილეობდა.

ევროკომისიის წარმომადგენელმა ქეთევან ელიზბარაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევროკომისია ყოველთვის მიესალმება და ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დაცვას და კონფლიქტების მოგვარებას. სწორედ ეს ფაქტორები გახდა მათ მიერ აღნიშნული პროექტის დაინტერესების და, რაც მთავარია, დაფინანსების მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ წიგნზე მუშაობა იზოლირებულად არ მიმდინარეობდა. სექტემბერში პროექტის ქართველი და აფხაზი მონაწილეები ტრაპზონში შეიკრიბნენ. მეტიც, როგორც ფონდ "თბილისის მოზარდთა სახლის" დირექტორმა აღნიშნა, დეკემბრის დასაწყისში, წიგნში საბოლოო კორექტივების შესატანად, ისინი აფხაზების თბილისში მოწვევას აპირებენ. წიგნის გამოცემა კი თვის ბოლოსთვის იგეგმება.

პრეზენტაციის ბოლოს პროექტის ხელმძღვანელებმა მასში მონაწილე მასწავლებლები პროექტში შეტანილი წვლილისათვის სპეციალური სერტიფიკატებით დააჯილდოვეს. როგორც ნანა დოლიაშვილმა "24 საათთან" საუბრის ბოლოს განაცხადა, მათ უფრო შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ. **"თუ აღნიშნული პროექტი გაამართლებს, ჩვენ ამ წიგნის საქართველოს მასშტაბით გავრცელებას და საქართველოს განათლების სისტემაში სასწავლო წიგნად ჩართვას ვგეგმავთ,"** - აღნიშნა მან.

მოკლედ

### კრემლის სამართალი

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაღაფში და კრემლის ფავორიტი, არჩევნებში დამარცხებული რაულ ხაჯიმბა მოსკოვში კონსულტაციებს მართავენ. როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ბაღაფში და ხაჯინბა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, უშიშროების საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდებიან. ჯერჯერობით ბაღაფში და ხაჯიმბა ჟურნალისტებთან არ გამოჩენილან და მათი ვიზიტის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ბაღაფშისა და ხაჯინბას მოსკოვში გამგზავრების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ბაღაფშის თანაგუნდელმა, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ალექსანდრე ანქვაბმა დაადასტურა. ანქვაბის მტკიცებით, მისთვის უცნობია, ვის შეხვდება რუსეთის დელაქალაქში სერგეი ბაღაფში, თუმცა ის დარწმუნებულია, რომ კონსულტაციების შემდეგ რუსეთის პოლიტიკური წრეები აფხაზეთთან მიმართებაში "გაცილებით პრაგმატული პოლიტიკის გატარებას ამჯობინებენ".

მისივე განცხადებით, ბაღაფში მოსკოვიდან ოთხშაბათს დაბრუნდება და შესაძლოა, "საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ლოგიკას მოკლებულ პროცესებს საბოლოოდ დაესვას წერტილი".

რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, სერგეი ბაღაფში და რაულ ხაჯიმბა მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი მედვედევმა მიიწვია. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, მოსკოვში ჯერ სტანისლავ ლაკობას და ალექსანდრე ანქვაბის, შემდეგ კი სერგეი ბაღაფშის მიწვევა კრემლმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ არ მიიღო პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანლის დიმიტრი მედვედევის წინადადება, კრემლის მიერ არჩევნებში ბაღაფშის გამარჯვების აღიარების სანაცვლოდ, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად ნოდარ ხაჟბა დაინიშნოს. **ინტერ-პრესი**

### სოხუმში ტელევიზიას იცავენ

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიის კოლექტივი ოპოზიციის მხარდაჭერით არ ასრულებს კრემლის მიერ პრემიერ-მინისტრად ხელდასმული ნოდარ ხაჟბას განკარგულებას, ტელემაუწყებლობის შეწყვეტის თაობაზე და მოქმედი ხელისუფლებისთვის ტელეეთერზე კონტროლის დათმობას არ აპირებს.

ადგილობრივი ტელევიზიის მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა ხაჟბამ გუშინ, მთავრობის სხდომაზე მოაწერა ხელი. მან ტელეკომპანიის კოლექტივი ოპოზიციის მხარდაჭერაში დაადანაშაულა და ეთერში გასვლა აუკრძალა. როგორც ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოადგილემ ქრისტიან ბჟანიამ განაცხადა, კოლექტივი მუშაობის შეწყვეტას არც დღეს აპირებს.

3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის, ოპოზიციის ლიდერ სერგეი ბაღაფშის თანაგუნდელის და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ალექსანდრე ანქვაბის ინფორმაციით, სახელმწიფო ტელევიზიის შენობას ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფის გარდა, ოპოზიციის მხარდამჭერთა ჯგუფი და თავად ტელევიზიის კოლექტივი იცავენ, რაც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს, ჩვეულ რეჟიმში განაგრძონ მუშაობა.

"ოპოზიციის აქტივისტთა აქტიურობას უნდა უმადლოდეს ხელისუფლება ტელევიზიის გამართულ მუშაობას და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ვინაიდან სწორედ ოპოზიციის აქტიურობის შედეგად გახდა შესაძლებელი ტელევიზიის ამოქმედება მას შემდეგ, რაც 29 ოქტომბერს მოქმედი პრეზიდენტის დაცვის თანამშრომლებმა ტელევიზიის შენობიდან ეთერში გასვლისათვის აუცილებელი აპარატურა გაიტანეს," - აღნიშნა ანქვაბმა და დასძინა, რომ სახელმწიფო ტელევიზიის მაუწყებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი ხაჟბა მისმა მრჩეველებმა შეცდომაში შეიყვანეს. **ინტერ-პრესი**

### პარლამენტი ალყაშია

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეები აფხაზური პარლამენტის შენობის პიკეტირებას განაგრძობენ და დეპუტატებს საგანგებო სესიის ჩატარების საშუალებას არ აძლევენ.

"ხაჯიმბას მხარდამჭერებმა პარლამენტარები იძულებით შვებულებაში გაუშვეს" - განაცხადა სერგეი ბაღაფშის თანაგუნდელმა, მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" თანათავმჯდომარემ ზურაბ მიქვაბიამ.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ხაჯიმბა და მისი მომხრეები პოლიტიკურ ბრძოლაში "უკანონო, ანტიკონსტიტუციურ მეთოდებს მიმართავენ", ვითარება სოხუმში კონტროლს ექვემდებარება და "შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის პრეზიდენტობის კანდიდატთა მომხრეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე პრაქტიკულად აღარ არსებობს". **ინტერ-პრესი**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## თანაცხოვრების ალტერნატივა არ გაგვაჩნია

ლელა მარგიანი

*გია ჩიქოვანი ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ჭლოუში დაიბადა. საშუალო სკოლა ქალაქ ოჩამჩირეში დაამთავრა. შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-პედაგოგიკის ფაკულტეტზე, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღება აფხაზეთის უნივერსიტეტში დაასრულა. მერე იყო სავალდებულო სამხედრო სამსახური, კომკავშირული და პარტიული კარიერა. წლების მანძილზე იმუშავა საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. იყო სოხუმის ქალაქკომის პირველი მდივანი, "აფხაზეთის ქონების მართვისა და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტის" თავმჯდომარის მოადგილე. 1992 წლის მაისში დაინიშნა სოხუმის ადმინისტრაციის მეთაურის პირველ მოადგილედ, შემდეგ ომის დროს – სოხუმის მერის მოადგილედ. მთელი ომის მანძილზე არ მიუტოვებია მშობლიური ქალაქი და ერთ-ერთი ბოლო გამოვიდა დაცემული სოხუმიდან. 1998 წლიდან დევნილ ხელისუფლებაში სოხუმის მერად მუშაობდა. ახლახან კი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა.*



*გია ჩიქოვანი თავის აფხაზ მეგობართან მერაბ ემხვართან ერთად სოხუმში.*

მიუხედავად პოლიტიკური ინტერესებისა, საუბარი მაინც მოგონებებით, აფხაზეთში გატარებული წლებითა და იქაური მეგობრებით დავიწყეთ.

გია ჩიქოვანი: "აფხაზეთში დავიბადე და გავიზარდე. დიდი კავშირები მქონდა აფხაზებთან, მით უმეტეს რომ ბებიაჩემი - მამის დედა აფხაზი იყო, გვარად აჩბა. ბევრი აფხაზი ნათესავი მყავს. სკოლაში და უმაღლესში სწავლისას, რა თქმა უნდა, აფხაზებთანაც ვმეგობრობდი. ეს მეგობრობა არც ახლა გამიწყვეტია. საბედნიეროდ, მათ შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვისთანაც მეგობრობა სანანებელი გამიხდებოდა. პირიქით, მშობლები სწორედ აფხაზმა მეგობარმა გადამირჩინა.

ჩემი მშობლები მთელი ომის განმავლობაში მშობლიურ სოფელ ჭლოუში ცხოვრობდნენ ძალიან მძიმე ვითარებაში. ომის დროს მათი გამოყვანა სოფლიდან ვერაფრით მოვახერხე. მათთან კი, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ჩავდიოდი. ომის დროს სოხუმში ვიყავი, ისინი – სოფელში. ერთი წლის მანძილზე ნაცნობებისგან, ვისაც შეეძლო ჭლოუში შესვლა, ვიგებდი მშობლების ამბავს. ომის დამთავრებიდან მეორე დღესვე, ერთ-ერთმა ჩემმა აფხაზმა მეგობარმა მათ მიაკითხა. სოფელში უკვე ძალიან დაძაბული ვითარება იყო, მშვიდობიან მოსახლეობას არბევდნენ და რომ არა ჩემი აფხაზი მეგობარი, შეიძლება მშობლები ცოცხალი ველარ მენახა. მან ისინი უვნებელი გამოიყვანა სამშვიდობოს. ჩემი მშობლები რომ გადარჩნენ, ეს მისი დამსახურება იყო. სხვათა შორის, მან ბევრი სხვა ქართველიც გადაარჩინა სიკვდილს. მასთან კაცური და ადამიანური ურთიერთობა, რა თქმა უნდა, დღესაც მაქვს".

**- კიდევ რას მოიგონებდით?**

- ძალიან კარგად მაგონდება სტუდენტობის წლები. მაშინ ხომ განსაკუთრებული, ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთობები გვქონდა. კომკავშირში გატარებულმა წლებმაც ბევრი მეგობარი შემძინა. მათთან ახლაც ვმეგობრობ. ვისზეც მე ახლა ვსაუბრობ, აფხაზი მეგობრების უმეტესობა დღეს მოსკოვში ცხოვრობს, ისინიც აფხაზეთიდან დევნილები არიან. როდესაც მოსკოვში ჩავდივარ, აუცილებლად ვხვდები ჩემს გადახვეწილ ქართველ და აფხაზ მეგობრებს. ჩვენ ერთ-ერთის ოჯახში ვიკრიბებით და დიდხანს, გათენებამდე ვსაუბრობთ, ვიგონებთ წარსულს, ვმსჯელობთ მომავალზე.

ერთი რამ ფაქტია, რაც მოხდა, სამწუხაროდ, არ იყო დამოკიდებული არც ჩვენს და არც მათ ნებაზე. შემდგომი ჩვენი შერიგების პროცესიც არ იყო გააზრებული. კი, წლების მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა დონის შეხვედრები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ერთი ხელი ერთს აკეთებდა, მეორე - მეორეს. მოლაპარაკებების უკან არ იდგა სახელმწიფო. არ შედიოდა ეს სახელმწიფო ინტერესებში.

პირველ ყოვლისა, იმ მიზეზით დავთანხმდი დღევანდელ თანამდებობაზე მუშაობას, რომ ვხედავ ახალ ხელისუფლებას გააჩნია ნება, შევაფასოთ ის, რაც მოხდა თერთმეტი წლის მანძილზე. რა თქმა უნდა, მომხდარზე ემოციების გარეშე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ახლა ემოციები განზე უნდა გადავდოთ და ვისაუბროთ იმაზე, რაც იყო კარგი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე. მოგეხსენებათ, ქართველებსა და აფხაზებს იმდენად ახლო ურთიერთობა გვქონდა, რომ ბევრია ჩვენს შორის შერეული ოჯახები, რომელთა წევრები-ბიძაშვილ-მამიდაშვილები, რძლები ომმა დააშორა. არადა ჩვენ ერთნი ვიყავით. ახლა არის იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენ შევრიგდეთ. მე მგონია, ამის საჭიროებას აფხაზებიც ხედავენ.

**- ამასთან დაკავშირებით, როგორია მათი განწყობა?**

- ვფიქრობ, ისინი მიხვდნენ, რომ ამ თერთმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ რუსეთისკენ ყურება არ არის მათი გადარჩენის გარანტი. ამის დასტურია, თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებზე აფხაზმა ხალხმა უარი თქვა რუსეთის პრეზიდენტის მიერ დასახელებულ კანდიდატურაზე. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ჩემთვის, როგორც აფხაზური ხასიათის კარგად მცოდნე პიროვნებისთვის, მთავარი სწორედ ესაა და არა იმის გარკვევა, თუ რომელი კანდიდატია უფრო პროქართული და რომელი –არა. ჩემი აზრით, მთავარია ხალხის ნება, რადგან ცალკეული პიროვნებები ბევრს ვერაფერს გადაწყვეტენ ხალხის მხარდაჭერის გარეშე. ვფიქრობ, აფხაზები მიხვდნენ, რომ არ არის იქ ის დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც მათ ჰპირდებოდნენ. არ არის დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნის პასპორტით სარგებლობა, როცა, თითქოსდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არჩევნებს რუსული პასპორტებით ატარებ. ანუ არჩევნებს ატარებენ რუსეთის მოქალაქეები და არა დამოუკიდებელი აფხაზეთისა. ეს ხომ ნონსენსია?! ისინიც ხვდებიან ამას. ვფიქრობ, ისინი იმასაც მიხვდნენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია ცალსახა და უცვლელია და ის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ამიტომ, რაღაც უნდა შეიცვალოს, გამოსავალი უნდა მოიძებნოს. აბა, როდემდე უნდა ვიყოთ ასე? სამწუხაროდ, ისინი ხმამაღლა ამაზე ვერ საუბრობენ, თორემ აფხაზებიც ფიქრობენ, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ეს ყველაფერი გვაძლევს შანსს, რომ ვილაპარაკოთ, შევხვდეთ ერთმანეთს. ამაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ სწორედ ადამიანებს, ვისაც იცნობდნენ და აფასებდნენ აფხაზეთში, ვისაც ჰყავს აფხაზი ნათესავები.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ სწორედ მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით დაგევალათ თქვენ კონფლიქტის მოგვარებაზე მუშაობა.**

- მართალი ბრძანდებით, მე, როგორც თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, დამევალა კოორდინაცია გავუწიო სახალხო დიპლომატიის მუშაობას. ერთი კვირის განმავლობაში ბევრ ადამიანს შევხვდი, ვინც წლების მანძილზე მუშაობდა ამ მიმართულებით, ვისაც ჰქონდა შეხვედრები, საერთო პროექტები, მოლაპარაკებები აფხაზებთან. მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ რჩებოდა უშედეგოდ, რადგან მუშაობა იყო დაქსაქსული. არ არსებობდა ერთიანი სამოქმედო გეგმა. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენ მოვედით და ყველაფერს მოვაგვარებთ ამ საკითხში, მაგრამ მუშაობის სტილი რომ შეიცვლება, ეს უეჭველია. ჩვენთან შეიქმნება ერთგვარი საკოორდინაციო შტაბი, ჩვენ შევხვდებით ყველა დაინტერესებულ პიროვნებას თუ არასამთავრობო ორგანიზაციას, გავითვალისწინებთ მათ აზრს, გამოცდილებას. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ ყველაფრის უკან იქნება – სახელმწიფო. ამ ხალხს აღარ მოუწევს ტყუილების თქმა, რადგან ჩვენი პოზიცია არის ასეთი – რაც მოხდა, არც ჩვენთვის იყო სასარგებლო და არც მათთვის. ჩვენს ერთიან ცხოვრებას ალტერნატივა არ გააჩნია. და ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები ორივე მხარემ.

ამავე დროს აუცილებელია სხვა ფაქტების გათვალისწინებაც. აქ არის არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის, სხვადასხვა დიასპორების, თურქეთის ინტერესები. ამიტომ ეს ყველაფერი კომპლექსურად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

**- თქვენი ინფორმაციით, რა ხდება ახლა სოხუმში?**

- ჩემი აზრით, ჩვენთვის არ იქნება სასარგებლო, თუ იქ სიტუაცია აირია. იმიტომ, რომ ჩვენზე უფრო მეტად ამ არეულ და დაძაბულ სიტუაციას სხვა გამოიყენებს. იქ სიტუაცია უნდა დალაგდეს და მერე დავიწყოთ ჩვენ მუშაობა. მე კარგად ვიცნობ აფხაზებს და მჯერა, რომ მათ შესწევთ საერთო გაჭირვების დროს გაერთიანების უნარი, თუნდაც უხუცესების ფაქტორის გათვალისწინებით. ეს ხომ აფხაზური ტრადიციაა. მაგრამ ამავე დროს მეშინია, რადგან რუსეთმა ყველა მიმართულებით "კარგად იმუშავა" და აურდაურია ყველაფერი. დღეს იქ ნამდვილად საკმაოდ დაძაბული ვითარებაა (მეტს ვერაფერს გეტყვით), მაგრამ მჯერა, აფხაზებს ეყოფათ შეგნება იმისა, რომ შეცდომა არ დაუშვან და ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ.

**- როგორც რიგით ქართველს სულ მაინტერესებდა, ჩვენს ყოფილ მთავრობას მართლა არ შესწევდა უნარი, თუ უბრალოდ არ უნდობა კონფლიქტის მოგვარება?**

- იცით, რაშია საქმე? – მეც სულ ვფიქრობ ამაზე. ალბათ – ერთიც და მეორეც – არც აინტერესებდა და არც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. შეიძლება ბევრს უბრალოდ აწყობდა არეული სიტუაცია (სამწუხაროდ, ასეთები დღესაც არიან). სხვათა შორის საქართველოს შიგნით უფრო მეტი მტერი ჰყავს, ვიდრე გარეთ. ჩვენ ერთმანეთს ვამარცხებთ, ხოლმე. თანაც გაბატონებული იყო კორუფცია და განუკითხაობა. რომელ კონფლიქტის მოგვარებაზე შეიძლება საუბარი? ვის ეცალა ამისთვის? იყო მხოლოდ ილუზიები და დაპირებები. იყო მცდარი შეხედულებებიც. ზოგისთვის აფხაზეთი მხოლოდ დევნილების პრობლემა იყო. სამწუხაროდ, მთელი ერის პრობლემად და ერის გადასაწყვეტად აფხაზეთის საკითხი არ გამხდარა.

**- ნუთუ აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველობა ვერაფერს ხვდებოდა რომ იქ რაღაცა მზადდებოდა?**

- სიტუაცია რომ მწვავდებოდა ამას, რა თქმა უნდა, ვხედავდით. იმასაც ვხედავდით, რომ ქვეყნის პოლიტიკა არასწორი იყო. აფხაზებს გამოსვლები ადრეც ჰქონდათ, საბჭოთა კავშირის დროს და საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებები მაშინაც არ იყო სწორი. გავიხსენოთ, როგორ მიიღეს აფხაზებმა უნივერსიტეტი, ტელევიზია, სხვა დათმობები. სწორედ აქ იყო დაშვებული შეცდომები, რადგან, თუ ადამიანს ეკუთვნის რაღაცა, მიტინგების და გამოსვლების შემდეგ კი არ უნდა მისცე, არამედ თავიდანვე. თუ ქვეყნისთვის კარგი გინდა, რატომ ელოდები მაინც და მაინც აჯანყებას?! მაგრამ, ალბათ, ეს საბჭოთა კავშირის დროს მიზანმიმართულად კეთდებოდა, წინასწარ იყო გათვლილი ყველაფერი.

**- როგორ უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა?**

- ალბათ, თერთმეტი წლის მანძილზე ორივე მხარემ გაიაზრა რა მოხდა, რატომ მოხდა და ვის აწყობდა ეს ყველაფერი. ცივი გონებით ფიქრი 6-7 წლის წინათ არ შეგვეძლო, მაშინ ემოციები ჭარბობდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან ადამიანებმა დაკარგეს ახლობლები. ბევრია ისეთი ოჯახი, ვისაც სამიოთხი დაღუპული ჰყავს; მაგრამ თუ მუდმივად ამაზე ვისაუბრებთ, მაშინ წინ ვერ წავალთ. სისხლისღვრით და ომით შეიძლება მტერი დაამარცხო, მაგრამ თუ იქ ვაპირებთ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, სისხლისღვრა გამორიცხულია. უნდა გავიხსენოთ მხოლოდ ის, რაც ყოველთვის გვაკავშირებდა ქართველებსა და აფხაზებს და რაც, სამწუხაროდ, დავივიწყეთ.

გვინდა ერთმანეთს შევახვედროთ ყოფილი მებრძოლები. დარწმუნებული ვარ, ისინი უფრო გაუგებენ ერთმანეთს, რადგან არიან ვაჟკაცები, ღირსეული პიროვნებები, რომლებიც თავისი ქვეყნისთვის იბრძოდნენ, საკუთარ ოჯახებს იცავდნენ.

ამავე დროს, მთავარია, რომ ჩვენი მხარე ამ ზრახვებში არის გულწრფელი. ჩვენ მართლა გვინდა შერიგება და აფხაზეთში აფხაზებთან ერთად ცხოვრება. ახლა ისინი უჩვენოდ ცხოვრობენ, მაგრამ ეს ცხოვრება არ არის. არც ჩვენთვის იქნება იქ ცხოვრება აფხაზების და სხვების გარეშე.

**- ახალი მთავრობის ხელში შეიქმნა რამდენიმე უწყება, ვინც მუშაობს კონფლიქტების მოგვარებაზე. ალბათ, სამთავრობო უწყებებიც უნდა გაერთიანდეთ.**

- მართალი ბრძანდებით, ჩვენ ვაპირებთ შეხვედრას ბატონ ვასილ მაღლაფერიძესთან, ბატონ გოგა ხაინდრავასთან. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის. ცოტა ხანში ალბათ, ჩვენი სტრუქტურების დიდი ნაწილი გადავა ზუგდიდში, რადგან იქ, კონფლიქტის ზონასთან ახლოს უფრო კარგად ჩანს ყველა პრობლემა. იქ უფრო კარგად გვეცოდინება, რა და როგორ გავაკეთოთ.

## სრული რეგისტრაციისათვის

*საქართველოში გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მისიის ხელმძღვანელმა ნავიდ ჰუსეინმა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ "დევნილთა რეგისტრააციის შემოწმების ერთობლივ პროექტს" მოაწერეს ხელი.*

თამარ ჭაჭანიძე

საქართველოში დევნილების აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით 1996 წელს მთავრობამ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხელშეწყობით დევნილთა ოჯახური ანკეტირება-რეგისტრაცია ჩაატარა, რომლის დროსაც საქართველოს ტერიტორიაზე 260 ათასი დევნილი დაფიქსირდა. გადაადგილებულ პირთა უმავლესობა აფხაზეთიდან იყო, ათი ათასი ადამიანი კი – სამაჩაბლოდან. შეიქმნა რეგისტარაციის არქივი, რომელიც სამინისტროს საინფორმაციო ბაზად იქცა. სამწუხაროდ, რეგისტრაციის არქივში შენახული ანკეტების გარდა სამინისტროს არ გააჩნდა დევნილთა წინა წლების კომპიუტერული აღრიცხვიანობის ბაზა და სიობრივი მონაცემები, რომლის მიხედვით წლების მანძილზე ირიცხებოდა დევნილთა შემწეობის თანხები და კომუნალური შეღავათები. 2004 წლის დასაწყისისთვის დევნილთა რაოდენობა 262 651-მდე გაიზარდა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სიები ხელოვნურად იყო გაზრდილი. დევნილთა რიგებში მკვდარი სულების საპასპორტო და დაბადების მოწმობების მეშვეობით, გარდაცვლილების მიგრაციით, გაორებისა და სხვა სახის მანიპულაციებით სისტემატიურად ხდებოდა მონაცემემების გაყალბება. დღეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აღიარებენ, რომ ამ სფეროში სუფევდა კარგად ორგანიზებული ქაოსი, რომელიც ეხებოდა როგორც დევნილთა აღრიცხვიანობას, ასევე დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების აღრიცხვიანობასაც. ამდენად, კორუფციის წყაროდ იქცა კომუნალური და სხვა სახის შეღავათები. ობიექტზე კომუნალური თანხის გადარიცხვა კი ხელშეკრულების გარეშე ხდებოდა.

ქალბატონი ეთერ ასტემიროვა, აღნიშნავს რომ მან სამინისტროში მოსვლის პირველი დღიდან დაიწყო ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თანხმობითა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო და დაიწყო "დევნილთა რეგისტრაციის შემოწმების ერთობლივ პროექტზე" მუშაობა. პროექტი ითვალისწინებს ექვსი წლის ასაკიდან ყველა დევნილის ანკეტირებას თანდართული კომპიუტერული ფოტოგრაფირებით. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ექვსმა სპეციალურად მომზადებულმა ჯგუფმა, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლებმა მათი საპასპორტო ბაზის გამოყენებით. პროექტი იყოფა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი იწყება ნოემბერში და მთავრდება წლის ბოლოს. ეს ეტაპი შვეიცარიის მთავრობის მიერაა დაფინანსებული. მეორე ეტაპის განხორციელება კი 2005 წელსაა დაგეგმილი. დევნილთა ანკეტირება-ტესტირება დევნილთა განსახლების ძირითად ცენტრებში მოხდება. ყველა დევნილი მიიღებს სტანდარტულ მოწმობას. მოწმობები ჟენევაში დაიბეჭდება. აღრიცხვიანობის მოწესრიგების პირველ ეტაპად სამინისტრომ დევნილთა ყოველწლიური საბუთების გაცვლა-რეგისტრაცია გამოიყენა, რომელიც მაისიდან ოქტომბრამდე გაგრძელდა. საბუთების გამოცვლამ სისტემის გაყალბებისზოგიერთი მექანიზმი გამოავლინა. დარღვევათა დიდი ნაწილის მონაცემები რეაგირებისთვის უშიშროების სამინისტროს გადაეგზავნა, რომლის აქტიური ქმედების შედეგად ზუგდიდში სახალხო ბანკიდან ამოიღეს ყალბი საბუთები. უკანასკნელ დღეებში სამინისტროსთვის დევნილის სტატუსის მოხსნის შესახებ განცხადებით ოცი მოქალაქეს მიმუმართავს. გარდა ამისა, პროკურატურა სწავლობს ჩხოროწყუს დევნილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის, მოქალაქე ქარჩავას განცხადებას 128 დევნილისთვის სტატუსის გაუქმების შესახებ. სამინისტროს ინფორმაციით, არც ერთი მათგანის საპასპორტო მონაცემები არ ემთხვევა სამინისტროს ხელთ არსებულ მონაცემებს.

"ბიუჯეტის გაძლიერებისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების გარდა, პროექტის აღრიცხვიანობა საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ ომის მონაწილე ინვალიდთა, დაღუპული მეომრების, გენოციდის მსხვერპლთა და ეკონომიკურად უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების კატეგორიები, რომელთა მიმართ ხელისუფლება ახლებურ მიდგომას განახორციელებს," - აცხადებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა.

ქართული თექა შინ და გარეთ



B2

მოკლეს თავისუფალი სიტყვის ჩემპიონი



B3

გლეხი, რომელიც სემინარებს ატარებს



B7

## შურისძიება კატალონიურად



B4

## ჯვაროსნული ლაშქრობები I



რუბრიკით "ევროისტორია" - იწყება ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოპეა. რატომ ჯაბნის პოლიტიკა რელიგიას და რატომ უყვარდათ ბიზანტიელებს თურქები ევროპელებზე მეტად. რა არის საჭირო ათონელი ბერების დასამშვიდებლად.

B6

## იგორ მირონოვი: „საქართველო უნდა დავამარცხოთ"



B5

# ტომ ფორდი შავით თეთრზე

### კიდევ ერთი წიგნი ყავასთან ერთად

"ნიუსუიქი", "როიტერსი", "ესოშიეიტ-იდ პრესი", "ვოგი", "ლოს ანჯელეს ტაიმსი" - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ გამოცემების, რომლებიც ბოლო დღეებში ტომ ფორდზე წერენ, "გუჩისა" და "ივ სენ ლორანის" მთავარ შემოქმედებით მუხტზე.

მისი მოდის სახლიდან პომპეზურად წასვლის შემდეგ, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ტომ ფორდი ისეთი დონის ვარსკვლავია, რომ მისი დავიწყება არც პრესას და არც მოდაზე გაგიჟებულ პუბლიკას იოლად არ შეუძლია. თუმცა, ფორდის ამჯერად გახსენების მიზეზი მაინც უბრალო მონატრებაზე მეტია. დიზაინერმა გამოსცა წიგნი, დიდი, ფოტოებიანი და მოგონებებით სავსე. კრებული გარედან სულ შავია და სიღრმისა და იდუმალების განსაკუთრებულ განცდას ქმნის. ამ შავ ფონზე დიდი და სწორკუთხა ასოებით დაწერილი სახელი და გვარი - ტომ ფორდიც შთამბეჭდავად იკითხება.

წიგნს, მართლაც, ასე უბრალოდ ჰქვია "ტომ ფორდი", მაგრამ თავად ავტორისთვის ძალიან ძვირფასი რამეა. მოღვაწეობის 10 წელი, ამ ხნის განმავლობაში შექმნილი ათასობით მოდელი, უამრავი ემოცია, ურთიერთობა, წარმატება, იმედგაცრუება და მერე ისევ ტრიუმფი. ფორდს ამ ძვირფასი მოგონებების შეკვრასა და ფურცელზე გადატანაში ჟურნალ "ვენითი ფეარის" რედაქტორი გრეიდონ კარტერი დაეხმარა, წინასიტყვაობა ამერიკული "ვოგის" რედაქტორმა ანა ვინტურმა დაუწერა, ფოტოების შერჩევა და დიზაინი კი თვითონ ფორდმა აიღო საკუთარ თავზე.




B3

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
სანდრო კაკულია
“ფანჯარა”
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

**გლობუსი**
ჯონ ბ. პრისტლი
"ვარდი და გვირგვინი"
რეჟისორი: მედეა კუჭუხიძე
დას: 19:00 სთ.

**ტრაგიკომედიის თეატრი**
"VENCEREMOS ანუ ჩვენ გავიმარჯვებთ"
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
“ქალი კატა”
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:00 სთ.

“ფარენჰეიტი 9|11”
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
“იდუმალი ტყე”
დას: 20:00; 22:00 სთ

“ევროტური”
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
“ცეკვის თეატრი დღეს - ცეკვის 30-წლიანი ისტორია გერმანიაში”.
პინა ბაუშის ცეკვის თეატრი (ვიდეოჩვენება) და დავით ბუხრიკიძის მოხსენება
დას: 17 საათზე

**TMS**
ფოტოგამოფენა “როგორ ვიცხოვროთ ერთად”
გახსნა: 18:30 სთ.

**ბაია გალერეა**
ნანა & ლალი
ნანა ჭურღულიას და ლალი ლომთაძის ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
დავით მელიქიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
“ძველი თბილისი სახვით ხელოვნებაში”

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თბილისური შემოდგომა
(ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"უძველესი საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე"
გამოფენა-გაყიდვა

**"ქარვასლა"**
"რისკიანი მოგზაურობა - ქართველი ემიგრანტები ნიდერლანდებში"
ფოტოგამოფენა

**ვერნისაჟი**
ვატი დავითაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**საჭაშნიკე**
ნათელა გრიგალაშვილის (ფოტო) და ალექსანდრე ოქროპირიძის (ფერწერა)
ნამუშევრების გამოფენა

**დისკუსია**
**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი**
საჯარო დისკუსია თემაზე: რა დაგვანახა არჩევნებმა აფხაზეთში?
(მომხსენებლები: პაატა ზაქარეიშვილი, ჯონათან კოენი, მალხაზ პატარაია)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ტრადიცია, რომელიც ხანდახან ახალია

## ქართული თექა შინ და გარეთ

ვერა ნეფარიძე

*რამდენიმე ხნის წინათ ავსტრიაში, რომელიღაც თეატრში სპექტაკლის დასრულების შემდეგ, დარბაზში მყოფი მანდილოსნების ყურადღება ქართველ ქალბატონს მიუქცევია. უფრო სწორად, თექისგან დამზადებული შარფი, რომელიც ქართველ ქალბატონს ამშვენებდა, სახელგანთქმული სვაროვსკების დინასტიის ერთ-ერთ რძალს მეტად მოსწონებია და მისი წარმომავლობა უკითხავს. ამ ქალბატონმაც სიამოვნებით გაუწია რეკლამა “თექა მიქსს”, თბილისურ სახელოსნოს, რომელსაც ჯერ საქართველოშიც არ იცნობს ფართო საზოგადოება.*





ვახო ბესელიას ფოტოები

იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან თექის ტრადიცია საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, თანამედროვე დიზაინში მისი გამოყენება გაცილებით გვიან დაიწყეს. ალბათ, ათი წელიწადიც არაა, რაც თბილისში თექაზე მომუშავე ჯგუფებმა სახელოსნოები გახსნეს, სულ რაღაც ერთი-ორი მაღაზიაა, სადაც მხოლოდ თექის ნაწარმი იყიდება, და არც ისე ბევრია კერძო პირი, ვინც ამ საქმეში გამოცდილი და დაოსტატებულია; ძალზე მცირეა თექისგან დამზადებული ტანსაცმლისა თუ აქსესუარების გამოფენათა რაოდენობაც. თუმცა, თექა ჩვენთანაც პოპულარულია. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თითზე ჩამოსათვლელი ოსტატებიდან, რამდენიმე მხოლოდ უცხოელებისთვის მუშაობს და შეკვეთებითაც კმაყოფილია. ასეთ პირობებში, როდესაც ბაზარი მცირეა და მოთხოვნილებაც შესაბამისი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამამულო პროდუქციით უცხოელთა დაინტერესება. ეს ყველაფერი მით უფრო სასიამოვნოა, როდესაც ქართული თექით ინტერესდებიან ავსტრიაში, სადაც თექის წარმოება არსებობს. ამ შემთხვევაში, საუბარია სახელოსნო “თექა მიქსზე”, რომლის ნაწარმიც ავსტრიაში იმდენად მოსწონებიათ, უფიქრიათ, თბილისელი ოსტატებისთვის სამუშაო ავსტრიაში შეეთავაზებინათ, მაგრამ “თექა მიქსის” მანდილოსნებისთვის უკეთესი სამშობლოში დარჩენა და უცხოურ შეკვეთებზე მუშაობაა. თუმცა, სახელოსნოში ფიქრობენ, რომ მათ მომავალ საქმიანობას მაინც დეკემბერში ქალაქ ინსბრუკში დაგეგმილი გამოფენა გადაწყვეტს.

გამოფენა თურმე გარკვეული წრისთვის გაიხსნება და მასზე თექის ნაწარმთან ერთად, ნინო არსენიშვილის თოჯინებსაც გაიტანენ. გამოფენაზე სვაროვსკების ოჯახია მიწვეული და სწორედ მაშინ გაირკვევა, შედგება თუ არა სახელგანთქმულ ფირმასთან ქართველი ოსტატების თანამშრომლობა. გამოფენისთვის სახელოსნოში განსაკუთრებით ემზადებიან, თუმცა მანამდე “თექა მიქსის” ხელოვნება თბილისელებმა უნდა გაიცნონ - გამოფენა თბილისში რამდენიმე დღეში გაიხსნება.

“არ მინდა ძალიან ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ამ გამოფენით საზოგადოებას ჩვენ შევთავაზებთ სიახლეებს”, - ამბობს სახელოსნოს ერთ-ერთი დამაარსებელი და დიზაინერი ანა ჩანგიანი. ამ შემთხვევაში “თექა მიქსის” სიახლე თექის ნაჭრების მრავალფეროვნება იქნება. რასაკვირველია, ნაჭრებთან ერთად თექის ოსტატები გამოფენენ ტანსაცმელსა (პალტოს, პიჯაკებს...) და აქსესუარებსაც.

სახელოსნო “თექა მიქსი” ავლაბარში (პირველი დოლაბაურის 4 ნომერში) შარშან დეკემბერში დაბინავდა. სახელოსნოს ორი მფლობელი (ანა ჩანგიანი და ნატო ჯაფარიძე) და შვიდი მხატვარი-დიზაინერი ჰყავს (მათ შორის არიან სახელოსნოს დამფუძნებლებიც). სახელოსნოში მნიშვნელობას ანიჭებენ იმასაც, რომ მათთან ნაჭერზე და ტანსაცმლის შექმნაზე სხვადასხვა დიზაინერია დაკავებული. როგორც ჩანს, ეს ერთფეროვნების ასაცილებლად ეფექტური გზაა. “ერთი წლის განმავლობაში ვხვეწდით ფორმას. ჩემი აზრით, ჩვენს სახელოსნოში მაინც განსხვავებული დიზაინით მუშაობენ, შეიძლება იმიტომაც, რომ არ ვართ ისეთი პროფესიონალები და ფანტაზიასაც მეტ გასაქანს ვაძლევთ”, - ამბობს ნატო ჯაფარიძე და პროფესიონალიზმში იმ მრავალწლიან გამოცდილებას გულისხმობს, რაც საქართველოში თექაზე მომუშავე სხვა ოსტატებს აქვთ. რაც შეეხება გამოცდილებას: ქალბატონმა ნატომ თექაზე მუშაობა ცისანა ქოთილაიძესთან დაიწყო; შემდეგ იყო ქართული ტექსტილის დღეები, სადაც ჰოლანდიელ ოსტატს ინგ ევერსს შეხვდა. ის, რომ თექას, როგორც ცოცხალ არსებას, ისე უნდა მოექცე, “თექა მიქსის” დიასახლისმა სწორედ ჰოლანდიელი სპეციალისტისგან დაიმახსოვრა.

“თექა მიქსში” დილიდან გვიანობამდე მუშაობენ. სამუშაო კი, არც ისე იოლია. იწყებენ მატყლის დამუშავებით (მატყლს ალვანიდან და ბაქოდან უგზავნიან) და ამთავრებენ კლიენტურის გასტუმრებით. აქ ხდება ყველა პროცედურა: ღებვა, წულებზე თუ შიფონზე დათელვა, ფორმის მიცემა, კერვა, ესკიზების შექმნა... სახელოსნოში თექაზე მუშაობის ყველა ეტაპს ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებიან; აქ კარგად იციან, რომ მატყლს მეტად დადებითი აურა აქვს და აფასებენ ამას; იციან ისიც, რომ ხელოვნურზე უკეთესი (ჯანმრთელობისთვის) ბუნებრივი საღებავების გამოყენებაა. ერთი სიტყვით, ცდილობენ ვიზუალურთან ერთად, მათი პროდუქცია ხარისხიანი იყოს. თუ რამდენად კარგად გამოსდით, ამაში გამოფენის სტუმრები თავად დარწმუნდებიან. გამოფენის შემდეგ, “თექა მიქსის” პროდუქცია ისანში, “თექა მიქსის” მაღაზიაში გაიყიდება. სამომავლოდ კი, სახელოსნოში ექსპერიმენტული ჯგუფის ჩამოყალიბებასაც ფიქრობენ. ამ ჯგუფმა მხოლოდ იდეაზე უნდა იმუშაოს - თექა ხომ, ფანტაზიისთვის შეუზღუდავ გასაქანს იძლევა.

# ფიროსმანის გასაახლებლად

ვერა ნეფარიძე

*“მთავარია, პროექტი გამართული იყოს, თანხის მოძიება პრობლემა არაა”, - არაერთხელ ნათქვამი ფრაზა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა გუშინ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში კიდევ რამდენიმეჯერ გაიმეორა. ამჯერად, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს ეს განმარტება სამინისტროს მორიგი პროექტის დაწყებისას დასჭირდა.*



*მუზეუმში დაცული ფიროსმანის ნამუშევრებიდან განახლება 3-4 ტილოს სჭირდება. როდის დაიწყება მათზე მზრუნველობა და ვინ აიღებს ამ მისიას საკუთარ თავზე, ჯერჯერობით უცნობია.*

“ნადირობა ინდოეთში”, “ვეფხვებზე და არწივებზე ნადირობა”, “ყინულის ოკეანე და ესკიმოსები”, - ფიროსმანის 1913 წელს შექმნილი ერთ-ერთი ნახატი რამდენიმე სახელითაა ცნობილი. შეეცადეთ აღიდგინოთ, რომელ სურათზეა საუბარი. შესაძლოა, არც არაფერი გაგახსენდეთ, რადგანაც ნახატი 1926 წლის კატალოგშია მოხსენიებული და იმის მიუხედავად, რომ ის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა ათწლეულების განმავლობაში, სურათი გამოფენაზე 30-იანი წლების შემდეგ, არც არავის უნახავს. საქმე იმაშია, რომ ტილო ამ ხნის განმავლობაში იღუპებოდა.

საკმაოდ მოზრდილ ტილოს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული კატეგორია და ის ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია. სურათი რამდენიმე ადგილას დამაგრებულია პაპირუსის ქაღალდით და იმდენად თხელია, რომ მოძრაობამ შეიძლება მთლიანად გაანადგუროს. აღსანიშნავია, რომ ტილო 1966 წელს გაუხსნიათ, მანამდე ის დაგრაგნილი ინახებოდა. სურათი თავის დროზე დიმიტრი შევარდნაძემ კერძო კოლექციონერისგან შეიძინა. ამჟამად მუზეუმში დაცული ტილო ორი ნაწილისგან შედგება. როგორც ირკვევა, ვიღაცას ნამუშევრიდან (რომლის ზომაცაა 114-251 სმ.) ამოუჭრია ფრაგმენტი (ზომით - 33-22 სმ.), რომელიც ცალკე ნამუშევრად გაუსაღებიათ. რესტავრატორების თქმით, ფირფიტაზე დაკრული ფრაგმენტი ნამუშევრის განახლების პროცესს ართულებს.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საკუთარ თავზე აიღო ფიროსმანის აღნიშნული ნამუშევრის სარესტავრაციო ხარჯები - 2500 ლარი. რესტავრატორები ვარაუდობენ, რომ ნამუშევრის აღდგენა ათ თვეში შესაძლებელი გახდება. თუმცა, რესტავრატორებს - ნანა მანაგაძესა და ეველინა კარსელს სხვაგვარი გამოცდილებაც აქვთ. ფიროსმანის ერთ-ერთი ტილოს აღდგენას მათ ხუთი წელიწადი მოანდომეს. სამაგიეროდ, ნამუშევარს არც ეტყობა თუკი ოდესმე ის დაღუპვისთვის იყო განწირული.

როგორც რესტავრატორებმა გვითხრეს, მუზეუმში დაცული ფიროსმანის ნამუშევრებიდან განახლება 3-4 ტილოს სჭირდება. როდის დაიწყება მათზე მზრუნველობა და ვინ აიღებს ამ მისიას საკუთარ თავზე, ჯერჯერობით, უცნობია. რაც შეეხება სამინისტროსა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლობას, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, სამინისტროს, მუზეუმთან ერთად, დაგეგმილი აქვს ცხრა პროექტი. თუმცა, ამ ეტაპზე მინისტრის მოადგილემ დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა და ამაზე საუბარი, კონკრეტული პროექტების დაწყებისთვის შემოინახა.

# სეზონის გახსნა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გუშინ რიგით 153-ე სეზონი, ტრადიციულად, ფალიაშვილის ოპერით "აბესალომ და ეთერით" გაიხსნა. 7 ნოემბერს კი თეატრში ერთაქტიანი ბალეტების - "სიზმრები იაპონიაზე", "გრეენ", "წამი გარდასახვამდე" - პრემიერა გაიმართება.

როგორც ბალეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა საკანდელიძემ განაცხადა, ნინო ანანიაშვილის მოწვევით, ერთაქტიან ბალეტებზე თავისუფალი ქორეოგრაფი ალექსეი ფადიეჩევი ოპერის დასთან ორი თვის განმავლობაში მუშაობდა. მისივე ინფორმაციით, 18 ნოემბერს ბალეტი "გედების ტბა" ახალი რედაქციით იქნება წარმოდგენილი. სპექტაკლის რეჟისურა ალექსეი ფადიეჩევს ეკუთვნის.

2004-05 წლებში თეატრის საოპერო რეპერტუარში დაგეგმილია სპექტაკლების - ვერდის "აიდა", დონიცეტის "დონ პასკუალეს" პრემიერები. განახლებული სახით იგეგმება სპექტაკლები - ვერდის "რიგოლეტო", "ბალ-მასკარადი", როსინის "სევილიელი დალაქი", მასკანის "სოფლის ღირსება", ფალიაშვილის "დაისი" და სხვა. ***ინტერ-პრესი***

## მოკლედ

### სოხუმის თეატრი ქუთაისში

ქუთაისში გასტროლებზე ჩასული სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრი ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში სპექტაკლებს მართავს. შემოქმედებითმა დასმა გუშინ სუმბათაშვილის "ღალატი" წარმოადგინა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გოჩა კაპანაძეა.

სოხუმის თეატრს გადაწყვეტილი აქვს, ყველა ახალი სპექტაკლი თბილისის შემდეგ, ქუთაისში ითამაშოს. "ქუთაისმა, როდესაც დევნილებად ვიქეცით, დახმარების ხელი პირველმა გამოგვიწოდა", - განაცხადა ჟურნალისტებთან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმა ჯაიანმა. ***ინტერ-პრესი***

### საერთაშორისო ფესტივალი "ჩვენებურები"

საქართველოს საპატრიარქოსა და ასოციაციის - "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ", ინიციატივით, 22-28 ნოემბერს თბილისში საერთაშორისო ფესტივალი "ჩვენებურები" გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია კონცერტები, გამოფენები და შემოქმედებითი საღამოები. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ფერეიდნელი მხატვრები, ასევე, ხალხური რეწვის ოსტატები თურქეთიდან და საინგილოდან, ქართველი მუსიკოსები ირანიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან. ***ინტერ-პრესი***

# ტომ ფორდი შავით თეთრზე

### კიდევ ერთი წიგნი ყავასთან გადასათვალიერებლად

B1 გვერდიდან

“ამაზონ.ქომი” ამ ახალ გამოცემას ფორდის სრულყოფილ კატალოგს უწოდებს, რომელიც “გუჩისა” და “ივ სენ ლორანში” გატარებულ წლებს მოიცავს. ეს არის არა მხოლოდ ფორდის მიერ შექმნილი ტანსაცმლის, აქსესუარებისა და საოჯახო ნივთების ქრონიკა, არამედ ის წარმოდგენას გვიქმნის ფორდის ხედვაზე ზოგადად დიზაინის სფეროში. მკითხველი შეიტყობს, თუ რას ფიქრობს ის არქიტექტურის, მაღაზიის დეკორაციისა და რეკლამის შესახებაც.

რაც შეეხება ფოტოებს, წიგნის გადათვალიერება მხოლოდ მათ გამო მაინც ღირს. ფორდის მიერ არჩეული 200-მდე ფოტო რიჩარდ ავედონის, მარიო ტესტინოს, სტივენ მეიზელის, ჰელმუტ ნიუტონის, ჰერბ რიცისა თუ ტერი რიჩარდსონის ნამუშევრებსაც შეიცავს. სურათებიდან კი მსოფლიო თანავარსკვლავედის ყველაზე კაშკაშა სახეები იცქირებიან - მადონა, ჯენიფერ ლოპესი, კეიტ მოსი, ნაომი კემპბელი და სხვები. აქვეა ფორდის ვილების ფოტოებიც სანტა ფესა და ლოს ანჯელესში, ასევე, პაპარაცების გადაღებული კადრები, სარეკლამო ესკიზები. ილუსტრაციების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ინგლისური “ამაზონი” ამ 416-გვერდიან გამოცემას 45 გირვანქა სტერლინგად აფასებს, ისე კი მისი ფასი გაცილებით მეტია.

წიგნის დალასში გამართულ პრეზენტაციაზე გადამდგარმა დიზაინერმა აღნიშნა: **“ამ კრებულის გაკეთება “გუჩიში” ყოფნის დროსაც მინდოდა. იქ მოღვაწეობის უკვე ათი წელი ხდებოდა და მინდოდა, ყველაფერი დოკუმენტად მექცია. შარშან ოქტომბერში კი, როცა მივხვდი, რომ “გუჩიდან” მალე უნდა წამოვსულიყავი, უფრო ავჩქარდი. დრო მოგონებებსა და წარსულს დავუთმე. მომინდა, მთელი ეს ათი წელი, რომელიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, ლამაზ წიგნად შემეკრა, მისთვის ჩემი ბიოგრაფიის ერთი თავი დამერქმია და მერე უფრო იოლად გამეგრძელებინა ცხოვრება”.**

მაშ ასე, წარსულ ათ წელიწადზე ბევრი ფიქრის შემდეგ, ფორდის მოგონებები ლამაზად ილუსტრირებულ წიგნად უკვე გამოვიდა და ახლა დიზაინერს ისღა დარჩენია, ახალი ცხოვრება მართლა დაიწყოს. მით უფრო, რომ მას მშვენივრად აქვს განსაზღვრული თავისი ბიოგრაფიის ყველაზე დაბალი და მაღალი წერტილები. “ნიუსუიქთან” საუბარში ფორდი ამბობს: **“ჩემი კარიერის უმაღლესი წერტილი “გუჩიდან” წამოსვლა იყო. ძალიან ვამაყობ ბოლო ორი ჩვენებით. ყველანაირად ვეცადე, ძალ-ღონე მომეკრიბა და კოლექცია კარგად შემეკრა. მგონი, გამომივიდა”.**

ფორდის ბიოგრაფიის წიგნში კი ახალი თავი იფურცლება - თავი № ჰოლივუდი. ჩანაფიქრი, მართლაც, ასეთია, ამ ახალ, პოსტ-”გუჩისეულ” რეალობაში მას ამერიკული კინო და მრავალფეროვანი პროექტები უნდა დაეხმაროს. დასახმარებლად კი საქმე ნამდვილად აქვს, რადგან ჯერ ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციის პერიოდია გასავლელი. ლოს ანჯელესის ოფისიდან ხომ რეალობა მისთვის ძალიან უცხოდ მოჩანს და ამიტომ “როიტერის” კორესპონდენტსაც გულწრფელად ეუბნება, რომ ცხოვრების შენელებული ტემპი მოდის სახლების გიჟური ცხოვრების შემდეგ, ცოტა ეხამუშება. ვერც ხელქვეითთა სეკვესტრირებულ არმიას ეგუება - “გუჩიში” ის ათი ათასამდე ადამიანს ზედამხედველობდა, ახლა კი ხუთი მომსახურე პერსონალი ჰყავს.



მოდელები ტომ ფორდის დიზაინით.

როგორც თავშივე გითხარით, მის ოფისს სანსეტ ბულვარზე ჟურნალისტი სტუმრები არ ელევა. “ლოს ანჯელეს ტაიმსელი” ბუთ მური ერთ-ერთია. მისი გადმოცემით, ოფისი ფორდმა მთლიანად გარდაქმნა და მას “გუჩის” დახვეწილი ესთეტიკა შესძინა. დიდი ფანჯრები, ჟურნალების შავი მაგიდა, შავი სავარძლები, მკაცრი ფერებით მკაცრად გაშლილი სივრცე. ფორდი ეს-ესაა კანადიდან დაბრუნდა, სადაც ხოხობზე ნადირობდა დიზაინერ მაიკლ კორსის ფინანსისტთან ლორენს სტროლთან ერთად. ნიშნავს ეს იმას, რომ ფორდი კვლავ მოდას დაუბრუნდება?

ჯერჯერობით - არა. ჯერჯერობით, დიზაინერი ჰოლივუდურ რეალობაში ჩაჯდომას ცდილობს. მას ჰყავს აგენტი, განახლებული “ასტონ მარტინი” და ბევრი კინოპროექტი. აცვია მუქი ნაცრისფერი შარვალი, შოკოლადისფერი ველვეტის ქურთუკი და ყელიანი სვიტერი (ცხადია, ყველაფერი “გუჩიდანაა” - მოდის სახლიდან წამოსვლა გემოვნების დაქვეითებას ხომ არ ნიშნავს), წრუპავს დიეტურ კოლას და ჟურნალისტის მცდელობის მიუხედავად, მაინც არაფერს ამბობს “ივ სენ ლორანსა” და “გუჩიში” უმისოდ გაკეთებულ კოლექციებზე:

**“ნურაფერს მკითხავთ. რა თქმა უნდა, ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ იქ აღარ ვარ, ამიტომ ჭორაობა უსამართლობა იქნება. ისე, არ მეგონა, თუ მომინდებოდა უჩემოდ გაკეთებული კოლექციების ნახვა. მაგრამ მაინც ვნახე, ცნობისმოყვარეობამ მძლია. თუმცა, ერთია, ამ ეტაპზე ძალიან მიხარია, რომ მოდის ბიზნესში აღარ ვარ”.**




ტომ ფორდი პრესტიჟული ჟურნალის ყდაზე.

შესაბამისად, ახლა ფორდს მოდაზე საუბრის ნაცვლად, კინოპროექტების განხილვა სიამოვნებს. მთელი ზაფხულის განმავლობაში მან ასზე მეტი სცენარი წაიკითხა, მაგრამ არც ერთი მოეწონა. ახლა ის ორ სცენარზე მუშაობს. ერთს თვითონ წერს, მეორეს კი ცნობილი ავტორის რომანიდან აკეთებს, თუმცა, ჯერჯერობით, წიგნისა და მწერლის ვინაობას მალავს და იმედი აქვს, რომ ამ ორიდან რომელიმეს გადაღებას მაინც შეძლებს.

**“ჩემი კინო მინდა რაღაც, ფასეულობის შემცველი იყოს. მინდა, მაყურებელს გავახსენო დავიწყებული ცხოვრებისეული ესთეტიკის შესახებ. ჩემმა ფილმმა მაყურებელი უნდა ჩააფიქროს, გამოიწვიოს... დასასრული? დასასრული ჯერ არ ვიცი, ვნახოთ”.**

ჯერ არც თავად ტომ ფორდის კარიერის დასასრულის შესახებაა რამე ცნობილი. თუმცა, გაგრძელება ვიცით. კინო და წიგნები. ყოფილი დიზაინერი ხან ნიუ იორკშია და წიგნის ავტოგრაფებს ავრცელებს და ხან - დალასში. ის იმ დონის ვარსკვლავია, როგორც არასდროს ყოფილა. უკვე აეროპორტების საბაჟოებზეც ცნობენ, წიგნის ნიუ იორკულ პრეზენტაციაზე კი ერთმა ფანმა ავტოგრაფისთვის მკერდიც გადაუღეღა. ახლა ფორდი თავისი კრებულის რეკლამირებისთვის ლონდონში მიემგზავრება. მერე კი ცოტა ხნით დაიკარგება და თავის პარტნიორთან Vogue Hommes-ს რედაქტორთან რიჩარდ ბაქლისთან ერთად შინ ჩაჯდება. მერე კი დაიწყება კინო, ჯერჯერობით, The End-ის გარეშე.

# მოკლეს თავისუფალი სიტყვის ჩემპიონი

ამსტერდამში მოკლეს რეჟისორი თეო ვან გოგი, რომელიც ისლამის თემაზე გადაღებული ფილმებით მუდამ აზრთა მწვავე სხვადასხვაობას იწვევდა. გასროლიდან რამდენიმე ხანში პოლიციამ ეჭვმიტანილიც დააკავა. 26 წლის ნახევრად ჰოლანდიელი და ნახევრად მაროკოელი ახალგაზრდა, რომელსაც ტრადიციული მაროკოული მოსასხამი ჯალაბა ეცვა. აყვანის პროცესში დაიჭრა პოლიციელიც და ეჭვმიტანილიც. ახლა ორივენი კლინიკაში არიან.

ვან გოგს მოკვლით მას შემდეგ ემუქრებოდნენ, რაც ჰოლანდიის ტელე-ეთერით მისი ფილმი “დამორჩილება” უჩვენეს. რეჟისორი მაყურებელს ისლამურ საზოგადოებაში ქალის წინააღმდეგ არსებულ ძალადობას აღუწერდა. ფილმი ლიბერალი ჰოლანდიელი პოლიტიკოსის აიან ჰირსი ალის დახმარებით გაკეთდა; ქალის, რომელიც სომალიდან ძალით გათხოვებას გამოექცა. ფილმის გაშვების შემდეგ, პოლიცია იძულებული გახდა ჰირსი ალი საკუთარი დაცვის ქვეშ აეყვანა, რადგან მოკვლით მასაც ემუქრებოდნენ.

ვან გოგი, რომელიც დიდი ჰოლანდიელი მხატვრის ნათესავია და მისი ძმის სახელს ატარებს, ფილმს პოპულისტი მემარჯვენე პოლიტიკოსის პიმ ფორტუინის შესახებაც იღებდა. ფორტუინი 2002 წლის მაისში მოკლეს და ცნობილი იყო თავისი ანტი-ემიგრაციული შეხედულებებით.



დიდი მხატვრის ნათესავი

“დამორჩილება” კი მუსლიმი ქალის ამბავს მოგვითხრობს. მას აიძულებენ, გათხოვდეს კაცზე, რომელიც მას ყოველდღიურად შეურაცხყოფს, მერე კი ქალს ბიძაც აუპატიურებს. ერთ-ერთ სცენაში მსახიობს გამჭვირვალე სამოსი აცვია, რომლის შიგნითაც ტანზე ამოტვიფრული ყურანის ტექსტი მოჩანს. ამან და სხვა დეტალებმა ჰოლანდიელი მუსლიმების აღშფოთება გამოიწვია. რეჟისორი კი მკვლელობის მუქარას სერიოზულად არ იღებდა. “მას სკანდალური რეჟისორის იმიჯი ჰქონდა და თავისუფალი სიტყვის ჩემპიონი იყო”, - ასე ახასიათებს მოკლულ ვან გოგს მისი კოლეგა.

მკვლელობას ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი და დედოფალი ბეატრისიც გამოეხმაურნენ. მათ, ცხადია, დაგმეს შემთხვევა და აღნიშნეს, რომ საშინელებაა, როცა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის გამო, შეიძლება, მოგკლან. თუმცა, ფაქტია, რომ მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, სადაც დაახლოებით მილიონი მუსლიმი ცხოვრობს - მთელი მოსახლეობის 5.5 პროცენტი და როცა მათ შეურაცხყოფენ.

სვეტი

## სადარბაზოს კარი - ძველი თბილისის დიდი სამყაროს შემადგენელი



სამსონ ლეჟავა

ძველი თბილისის მყუდრო უბნებში საცხოვრებელთა განსაკუთრებულ მიმზიდველობას სადარბაზოს კარიც განსაზღვრავს, რომელიც არაიშვიათად თავდაჭერილი იმპოზანტურობით გამოირჩევა. რიგით საცხოვრებლებშიც ის მრავალგან ძირითად მახვილთაგანია, თუმცა "მდიდრულ" ფასადებზეც არ იკარგება უცნაური მაგნეტიზმის გამო - აწესრიგებს ფასადის არცთუ მცირე ნაწილს.

სადარბაზოს კარი თითქოს მოგმართავს, კეთილგანწყობით გეპატიჟება, ცოცხალ არსებასავით "შემოდის" კონტაქტში. უპრეტენზიო ნიმუშებსაც აქვს თავისი შეფარული ღირსება, ხოლო საუკეთესო მაგალითებში ხისა და ლითონის მხატვრული ფლობა დიდად აღემატება რიგითი ხელობის საზღვრებს ხის რელიეფის პლასტიკური სისავსით, "მცირე არქიტექტონიკის" გამოკვეთილი მეტყველებითა და ზოგან დეკორის "სილონივრითაც". თუმცა, გვხვდება უფრო მსუბუქი, თვით "სიფრიფანა" დამუშავების შემთხვევებიც - ანუ მრავალსახოვანება ამოუწურავია შემუშავებული სისტემის ფარგლებში. ხის მორთულობის აქტივობასა და წამყვანობას ერთგვარად აბალანსებს მეტალის ცხაურთა აჟურული "გრაფიკა", სადაც შეხამებულია სიმტკიცე და "სიმსუბუქე", გამოვლენილია "ლითონმეტყველების" რიტმულად ნაირგვარი, განსრულებული დინამიკა.

"პარადულად კამერული" სადარბაზოს კარი როგორც ბჭე, მიჯნა და მნიშვნელოვანი ზღვარი, შემთხვევით როდი იმკობოდა - ეს იყო საპასუხისმგებლო არე, თავისი საზრისით კონცენტრული ალაგი. მისი რენესანსის, ბაროკოსა თუ სხვა "სტილებთან" გაშინაგანებული ფორმები ეკლექტიზმის ხანაში (დავძენ, რომ რენესანსი როგორც ფენომენი, "სტილზე" ვერასგზით დაიყვანება), ცხადყოფს ევროპულ კულტურასთან არსებით დაახლოებას (რისკენ სწრაფვასაც ჩვენში გაცილებით ხანგრძლივი ისტორია და ძლიერი მოტივაცია ჰქონდა), კერძო, მაგრამ თვალსაჩინო მაგალითის სახით. ეს უკვე ტრადიციის ნაწილად აღიქმება, და არა მხოლოდ თბილისისათვის.

ზემოთ განხილული "მცირე ხუროთმოძღვრული ფორმები", მართლაც, დიდი სიყვარულითაა შესრულებული - ეს შეეხება მცირე დეტალებსაც, და ცხადია, კარის მთელ არეზე მოფენილ დეკორს. გულისხმიერი დამოკიდებულება "ანონიმური" ხელობისადმი, შთაგონებული პატიოსნება, რომელიც თავმდაბლობასა და ღირსებას ითავსებს, დღეს დეფიციტად იქცა. სწორედ ჩვეულისა და ყოველდღიურისადმი დამოკიდებულებაა ამ კარში ისეთი სულიერი კულტურის ნიშანი, რომელიც გულგრილობასა და განურჩევლობას ვერასგზით ეგუება, და რომლისთვისაც სიტყვა "ხალტურა" - ეს საზარელი საბჭოური ცნობიერების აღმოუფხვრელი დანატოვარი, სრულიად გაუგებარია.

სადარბაზოს კარი, მართლაც, სტუმართმოყვარე მასპინძელს მიაგავს თავისი გულგახსნილობით, მაგრამ საკუთარი სივრცის ხელშეუხებლობასაც იგულვებს...

მრავლისმეტყველია წარწერაც - SALVE. ამ შემთხვევაში, კარის მთელი აღნაგობისა და "მარადიულად ფიქსირებული", ტევადი სიტყვის სულისკვეთება საზიაროდ ურთიერთშემსჭვალულია. მომართვა SALVE გაითავისა კარის ფორმამ, მორთულობის ყოველმა უმცირესმა ელემენტმა - თუგინდ სახელურმა, რომელიც თავადაც მცირე პლასტიკის ნიმუშია. მისი "პასუხისმგებლურად" ქმნილი ფორმა მხოლოდ ხელის ჩასავლები როდია, არამედ მეტს იტევს - გეგონება თავადვე "გესალმება" - თავისი დახვეწილი დიზაინით.

მთელი ეს "ლირიკა" უნიადაგოდ არ მეჩვენება. ყოველივე ზემოთ თქმული კვლავ და კვლავ, დაკარგული კულტურის გამოხატულებაა, რომელიც მხოლოდ ფიზიკურად შემორჩა მრავალგან, მაგრამ ასეთი "მყოფობა" მყიფე და არამდგრადია, ვინაიდან დღევანდელობა თავისი უმეცარი სიუხეშით იშვიათადღა თუ ჰგუობს მსგავს სიფაქიზეს, ტლანქად უარყოფს მას. ლამისაა დავიწყებულია "ხელთქმნილი" სამყარო, რომელიც სხვა ფორმებით მხატვართა გარკვეულ წრეებშიღა თუ განაგრძობს არსებობას, კულტურის მთლიან სისტემაში კი მეტისმეტად დამცრობილია.

მცირე ელემენტებში ზოგჯერ ძალიან დიდი ინფორმაციაა ჩაქსოვილი. სამყაროს სურათი, მისი მომცველი, ანდა "გაღატაკებული" ხედვა, მისივე სახეცვალება ნაკლებმასშტაბურ გამოხატულებებშიც თვალსაჩინოა - ასეთია სწორედ სადარბაზოს კარიც.

როგორი იყო ის ადრე, და რა სახეს იძენს ამჟამად? ყველგან თუ არა, ძირეულად მაინც, ვლინდება რადიკალური ცვალებადობა. დღევანდელმა ყოფამ დიდწილად დაკარგა მრავალგანზომილებიანობა. შესაბამისად "კარი - შემგებებელი", "კარი - საკრალია" საკმაოდ გაუგებარ სიტყვადშეხამებად იქცა, რასაც მოდურად ზედაპირული "რეტროსპექტივიზმის" გამოხატულებანი ვერ ჩაენაცვლება. მრავალგან განმსაზღვრელად იქცა ყველაფრის ფსევდორაციონალისტური გაელემენტარულება და უმარტივეს "ფუნქციამდე" დაყვანა. ეს უთუოდ გაცხადდა კარისადმი დამოკიდებულებაშიც. ის, ფაქტობრივად, აღარაა ზღვარი, არამედ მხოლოდ შეუვალი ზღუდეა. იგი ბანკის სეიფის "უკუმგდებ" კარს დაემსგავსა. მასში, ცხადია, არც თუ უსაფუძვლოდ, დასადგურდა ცივი უნდობლობა. SALVE იცვლება კატეგორიული "სდექ"-ით. "შტირლიცად" სახელდებული ბინების კარისაც (რაც სიმპტომატურია), მიემგვანა სადარბაზოს კარიც. მისი ახალი ნიმუშები, რომელნიც მასიური ლითონისაა, თითქმის აღარ მიმართავს გარე სივრცეს. შესატყვისად, გაქრა მისივე საკუთარი სივრცითობა. ის გაბრტყელდა, ციხესიმაგრისებრ ყრუდ ჩაირაზა, "დაიპრესა". მასში გაჩნდა სივრცის შიში.

ეს არაერთმნიშვნელოვანი მოვლენა ვერ აიხსნება მხოლოდ სოციოლოგიური ასპექტით, რის გამოც, განსახორციელებელია ფართო "კულტურ-ფსიქოლოგიური" ანალიზი. ამოსაცნობია, თუ ხშირად რატომ აღარაა გარედან მოსულისადმი არც თუ შორეულ წარსულში ჯერაც არსებული ნდობა, რატომ არ სურს დამხვდურს თავისი ადამიანური სითბოს სხვისთვის გაზიარება, დაბოლოს, რატომ "შეიკუმშა" ჩვენი სასიცოცხლო სივრცე. ეს აშკარა ტენდენცია ხვალ, შესაძლოა, ძალიან საშიშ, თითქმის საბოლოო რეალობად იქცეს, რომელიც ცნობიერების ნგრევას, ადამიანის ეკოლოგიის კრიზისს მოასწავებს..

სადარბაზოს კარი, ეს თითქოსდა მცირე დეტალი, ცხადყოფს, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა ძველი ქალაქის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რომელიც ერთ-ერთ სულიერ და შემოქმედებით ორიენტირს დღესაც წარმოადგენს თავის განუყოფელ მთლიანობაში. ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს შორეულ მოგონებად, არამედ აუცილებლად უნდა გარდაიქმნას არალოკალურ, განახლებულ, აქტუალურ და ინტენსიურ კულტურულ გარემოდ. თუკი ეს არ განხორციელდა, ჩვენი პრეტენზია ცივილიზებულობაზე სამწუხაროდ, მხოლოდ ირონიულ ღიმილს გამოიწვევს.

ძველ ქალაქში მოხვედრისას, გულისყურით დააკვირდით სადარბაზოს კარს. თუკი მასთან "საუბარს" მოისურვებთ, იგი ძალიან ბევრ რასმე გაუწყებთ...

ფეხბურთი

# შურისძიება კატალონიურად

შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის გუშინდელმა დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. თუმცა, მოულოდნელობა მაინც იყო: "არსენალმა" საკუთარ მოედანზე ვერ მოუგო "პანათინაიკოსს".

არადა, ამ მატჩის პირველი ტაიმი ისე წარიმართა, რომ ყველაფერი მასპინძელთა გამარჯვებას მოასწავებდა. "არსენალი" დომინირებდა და უკვე მე-16 წუთზე, კირიაკოსის მხრიდან ვიეირას მიმართ უხეშობის გამო დანიშნული პენალტი ანრიმ გოლად აქცია - 1:0. ამის შემდეგ "არსენალი" თავისი საგოლე მომენტების გამოყენებას ვერ ახერხებდა, მეორე ტაიმში კი "პანათინაიკოსიც" გამოცოცხლდა. ლონდონელებს ძალიან გაუმართლათ, რომ 63-ე წუთზე, მათი კარის მიმართულებით დანიშნული პენალტი ბასინასმა ლემანის კარს ააცილა. თუმცა, ათი წუთის შემდეგ ბერძნებს მაინც გაუღიმა ბედმა და ვინტრას დარტყმული ბურთი სიგანმა საკუთარ კარში ჩაჭრა - 1:1.

"არსენალმა" ჯგუფში მეორე ადგილის შენარჩუნება კი შეძლო, თუმცა მესამე პოზიციაზე მყოფ "პანათინაიკოსს" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს და მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხის მოგვარება დარჩენილ მატჩებში მოუწევს.

აი "აინდჰოვენი" კი ცალი ფეხით მერვედფინალშია. მატჩის მე-10 წუთზე ბეიზლის მიერ გატანილი გოლის წყალობით ჰოლანდიელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს ნორვეგიული "როსენბორგი" და დამაჯერებლად ლიდერობენ E ჯგუფს.

გუშინდელი საფეხბურთო საღამოს "ეპიცენტრი" ბარსელონაში იყო, სადაც F ჯგუფის ორი ფავორიტი "ბარსელონა" და "მილანი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა (1:0), რის გამოც, გუშინდელ მატჩს მთელი კატალონია შურისძიების დიდი სურვილით ელოდა. "ბარსელონამ" შეხვედრა აქტიურად დაიწყო და უკვე მე-5 წუთზე საკმაოდ სახიფათო მომენტი შექმნა დიდას კართან. მაგრამ, ათი წუთის შემდეგ მოხდა ის, რაც "ნოუ კამპზე" შეკრებილი ბარსელონელი გულშემატკივრისათვის უდიდესი შოკი აღმოჩნდა - პირლოს შესანიშნავი გადაცემის შემდეგ "მილანის" უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ ანგარიში გახსნა. საკუთარი ქომაგების გასახარად, გაშვებულმა გოლმა "ბარსელონა" არ დააბნია. მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ დიდას კარს და საკმაოდ სახიფათო საგოლე მომენტებსაც ქმნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეტევა 37-ე წუთზე სამუელ ეტო`ოს ჩინებული გოლით დასრულდა - 1:1. მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა. "ბარსელონა" უტევდა, სტუმრები კი სულ უფრო მეტად იხევდნენ უკან. აშკარა იყო, რომ "მილანი" ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც. მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე, "ბარსელონას" ბრაზილიელმა ვუნდერკინდმა რონალდინიომ ულამაზესი, შორეული დარტყმით გაგზავნა ბურთი თანამემამულე დიდას კარში და კატალონიელებს საჭირო სამი ქულა მოაპოვებინა. ქართველი გულშემატკივრებისათვის კი ამ მატჩში სასიხარულო ის იყო, რომ "მილანის" შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა კახა კალაძე, რომელმაც საკმაოდ კარგად ითამაშა.

F ჯგუფის მეორე მატჩში გლაზგოს "სელტიკმა" ტომპსონის მიერ გატანილი საჯარიმო დარტყის წყალობით მინიმალური ანგარიშით სძლია დონეცკის "შახტარს". ორივე ამ გუნდს ახლა 3-3 ქულა აქვთ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე მათგანმა ჯგუფიდან გასვლა შეძლოს. ალბათ უმჯობესი იქნება, რომ "სელტიკმა" და "შახტარმა" UEFA-ს თასისათვის საკვალიფიკაციო მესამე ადგილისათვის იბრძოლონ.

სამაგიეროდ, შემდგომი ეტაპისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა "ვერდერმა". ბრემენელები გუშინ ბელგიის "ანდერლეხტს" მასპინძლობდნენ და დიდი ანგარიშით 5:1 მოუგეს. ნულოვანი ფრე დაფიქსირდა მილანში, სადაც ადგილობრივი "ინტერი" ესპანურ "ვალენსიას" ხვდებოდნენ. მას შემდეგ, რაც ამ გუნდების პირველი შეხვედრა "ვალენსიასათვის" გამანადგურებელი ანგარიშით 1:5 დასრულდა, სტუმრად მოპოვებული ფრე ესპანელთათვის ალბათ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. "ვალენსიას" ახლა ოთხი ქულა აქვს და შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი კიდევ დარჩა, აი "ანდერლეხტს" კი მესამე ადგილზე გასვლის იმედიც აღარ უნდა ჰქონდეს - ბელგიელების აქტივში ნული ქულაა.

უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული "პორტო", რომელმაც ვერც გუშინ შეძლო გამარჯვება და "პარი სენ ჟერმენს" ახლა უკვე საკუთარ მოედანზე დაუზავდა - 0:0. პორტუგალიელებს მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულა აქვთ თავიანთ აქტივში.

აი მათი ყოფილი მწვრთნელის, ამჟამად კი ლონდონის "ჩელსის" თავკაცის, ჟოზე მაურინიოს საქმეები ჩინებულად მიდის. "ჩელსი" გუშინ მოსკოვის "ცსკა"-ს სტუმრობდა და არიენ რობენის გოლის წყალობით მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. "ჩელსიმ" უკვე "ოფიციალურად" მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური.

| | | |
|---|---|---|
| არსენალი - პანათინაიკოსი | | 1:1 |
| ეინდჰოვენი - როსენბორგი | | 1:0 |

E

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| როსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |

| | |
|---|---|
| ბარსელონა - მილანი | 2:1 |
| სელტიკი - შახტარი | 1:0 |

F

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| სელტიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |

| | |
|---|---|
| ინტერი - ვალენსია | 0:0 |
| ვერდერი - ანდერლეხტი | 5:1 |

G

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| ვერდერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-12 | 0 |

| | |
|---|---|
| ცსკა - ჩელსი | 0:1 |
| პორტო - პსჟ | 0:0 |

H

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| პსჟ | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| პორტო | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |

# "დეპორტივოს" უკანასკნელი შანსი

*ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ ტურს რამდენიმე გუნდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდი წნეხის ქვეშაა ესპანური "დეპორტივო", რომელსაც "ლივერპულთან" ვერმოგების შემთხვევაში ამ სეზონში ევროთასებთან დამშვიდობება მოუწევს.*

**A ჯგუფი**
**დეპორტივო - ლივერპული**
**ოლიმპიაკოსი - მონაკო**

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში "დეპორტივო" ჯერაც გამარჯვების გარეშეა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ლივერპულის" წინააღმდეგ დღევანდელ მატჩში ხავიერ ირურეტას გუნდს მხოლოდ მოგება ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, "დეპორტივო" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს დაკარგავს. ამ გუნდების წინა შეხვედრა ლივერპულში შედგა და 0:0 დასრულდა, თუმცა სტუმრად მოპოვებული ერთი ქულა ესპანელებს ვერაფერში წაადგა - "დეპორტივო" A ჯგუფის ცხრილში 2 ქულით უკანასკნელ საფეხურზეა. ლაკორუნიელთა საქმე არც ესპანეთის ჩემპიონატში მიდის კარგად. "ალბასეტესთან" ბოლო შეხვედრაში მათ მხოლოდ ნულოვან ფრეს მიაღწიეს და პრიმერა-დივიზიონის მეათე ადგილზე ამოყვეს თავი.

საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში "ლივერპულმაც" ფრედ ითამაშა (2:2 "ბლექბერნთან") და ამჟამად პრემიერლიგის ცხრილში მეექვსე პოზიციაზეა. "ბლექბერნთან" მატჩში "ლივერპულმა" დიდი დანაკლისი განიცადა, რაც მათთვის დღევანდელ მატჩშიც დიდი თავსატეხი იქნება. იმ შეხვედრაში უმძიმესი ტრავმა მიიღო თავდამსხმელმა ჯიბრილ სისემ და ის სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

A ჯგუფის მეორე მატჩში ათენის "ოლიმპიაკოსი" ლიდერ "მონაკოს" მასპინძლობს. დღევანდელ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ბერძნებს უნიკალური შანსი ეძლევათ, სენსაცია მოახდინონ და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

**B ჯგუფი**
**დინამო - რეალი**
**რომა - ლევერკუზენი**

ამ ჯგუფში მეტად საინტერესო ვითარებაა: კიევის "დინამოს", ლევერკუზენის "ბაიერს" და "რეალს" ქულების თანაბარი რაოდენობა (6-6) აქვთ, რომაელთა აქტივში კი ჯერაც ნული ქულაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ "რომა" სასწაულს მოახდენს და დარჩენილ სამივე მატჩს მოიგებს, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი იტალიელთათვის მაინც მცირეა. დანარჩენ სამ გუნდს კი თანაბარი შანსი აქვთ. წესით და რიგით, ჯგუფის მომავალი ლიდერის ვინაობა დღეს კიევში უნდა გაირკვეს, სადაც ადგილობრივი "დინამო" მადრიდის "რეალს" მასპინძლობს. თუმცა, გააჩნია, რა მოხდება რომში...



*ჯიბრილ სისე "ლივერპულს" ველარ დაეხმარება.*

**C ჯგუფი**
**ბაიერნი - იუვენტუსი**
**მაკაბი - აიაქსი**

C ჯგუფის ლიდერები დღეს მიუნხენში შეხვდებიან ერთმანეთს. "ბაიერნისა" და "იუვენტუსის" პირველი მატჩი, რომელიც ორი კვირის წინ ტურინში გაიმართა, იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა (1:0), თუმცა, მიუნხენელთა ტაქტიკურად გამართულმა თამაშმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. იმ მატჩის შემდეგ დღევანდელმა მეტოქეებმა საკუთარი ქვეყნებისეროვნულ ჩემპიონატებში გამართეს შეხვედრები და რადიკალურად განსხვავებულ შედეგებს მიაღწიეს. იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "იუვენტუსმა" პირწმინდად მოუგო "ვერონას" (3:0) და კვლავინდებურად დამაჯერებლად ლიდერობს იტალიაში. "ბაიერნმა" კი ბუნდესლიგის უკანასკნელი შეხვედრა 0:2 დათმო "გლადბახთან" და ცხრილის მეხუთე საფეხურზეა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მიუნხენელები მეორე ადგილს იკავებენ, თუმცა, "იუვენტუსთან" განმეორებით დამარცხების უფლება ნამდვილად არა აქვთ, რადგან მესამე პოზიციაზე მყოფი "აიაქსი" დღეს ჯგუფის აუტსაიდერ "მაკაბის" სტუმრობს და სავსებით შესაძლებელია, ისრაელიდან სამი ქულით დაბრუნდეს ამსტერდამში. "ბაიერნსა" და "აიაქსს" შორის განსხვავება კი სწორედ სამი ქულაა.

**D ჯგუფი**
**მანჩესტერი - სპარტა**
**ლიონი - ფენერბახჩე**

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და პრაღის "სპარტას" ორი კვირის წინანდელი შეხვედრა 0:0 დასრულდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდი თავს უფლებას მისცემს და ჯგუფის უკანასკნელ საფეხურზე მყოფ "სპარტას" ხელმეორედ დაუზავდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრემიერლიგის ხუთ მატჩში ფრედ თამაშისა და "პორტსმუტთან" უკანასკნელ შეხვედრაში მარცხის (0:2) შემდეგ, "მანჩესტერი" ინგლისის ჩემპიონატის ცხრილის მეშვიდე პოზიციაზეა, ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევა ფერგიუსონის გუნდისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს.

ჯგუფის ლიდერი "ლიონი" კი თურქეთის "ფენერბახჩეს" მასპინძლობს. დღევანდელ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ფრანგული კლუბი მომდევნო ეტაპის საგზურს გაინაღდებს. გასარკვევი მხოლოდ ისღა დარჩება, თუ ვინ დაიკავებს პირველ ადგილს - "ლიონი" თუ... "მანჩესტერი"?

# ნიუკასლში ქეცბაია ახსოვთ

მიხეილ აბაიშვილი

1 ნოემბერს, რვასაათიანი მგზავრობის შემდეგ, თბილისის "დინამო" ჩაფრინდა ინგლისის უკიდურეს ჩრდილოეთში და სასტუმრო "ჰოლიდეი ინ"-ში დაბინავდა.

ნიუკასლი შოტლანდიის საზღვართან მდებარეობს და, ინგლისური საზომებით, არცთუ დიდი ქალაქია. ნიუკასლში ნახევარი მილიონი მოსახლეა.

ინგლისელები საკმაოდ ცივად დახვედრიან "დინამოს". როგორც კლუბის პრეს-ატაშემ ლევან სალუქვაძემ გვითხრა, მედიას არანაირი ინტერესი არ გამოუჩენია "დინამოს" მიმართ - ნიუკასლის გუშინდელ გაზეთებში ამის თაობაზე მცირე ინფორმაციაც კი არ დაბეჭდილა. მეტიც: "დინამოს" ნიუკასლის აეროპორტში კლუბის წარმომადგენლები საერთოდ არ დახვედრიან.

ჩასვლის დღეს გეგუჩაძემ გუნდი არ ავარჯიშა. "დინამომ" ინგლისური მინდვრები პირველად გუშინ "დააჭაშნიკა". მასპინძლებმა ქართულ გუნდს სავარჯიშოდ დაუთმეს ქალაქგარეთ მდებარე ერთ-ერთი საწვრთნელი ბაზა, რომელიც ინგლისის მესამე დივიზიონის კლუბს ეკუთვნის. თუმცა, როგორც ლევან სალუქვაძემ თქვა, ამ ბაზის მეზობლად მდებარეობს თავად "ნიუკასლის" საწვრთნელი კომპლექსიც, რომელზეც ორი წლის განმავლობაში თემურ ქეცბაიაც ვარჯიშობდა. "ნიუკასლის" ბაზაზე დღემდე ახსოვთ ქართველი ფეხბურთელი. ლევან სალუქვაძე და "დინამოს" უსაფრთხოების ოფისის ხელმძღვანელი გია ისიანი ესტუმრნენ ამ ბაზას, სადაც ადგილობრივმა უსაფრთხოების სამსახურმა "დინამოს" წარმომადგენლებს მხოლოდ "იუნაიტედის" ვარჯიშის შემდეგ დართო ბაზაზე შესვლის ნება. სალუქვაძის თქმით, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. "ნიუკასლს" ოთხი ბუნებრივსაფარიანი და ერთიც ხელოვნურსაფარიანი გადახურული მოედანი ჰქონია. თავად ბაზაც საოცრად კეთილმოწყობილი აღმოჩნდა. "დინამოს" წარმომადგენლებზე შთაბეჭდილება მოუხდენია "ნიუკასლის" ფეხბურთელთა ავტომობილებსაც. მაგალითად, ბაზის ავტოსადგომზე თავს იწონებდა ინგლისის ნაკრებისა და "ნიუკასლის" ფეხბურთელის კირონ დაიერის ახალთახალი "ჰამერი", რომელიც 180 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს. როგორც ვთქვით, ბაზის მომსახურე პერსონალს თბილი სიტყვებით გაუხსენებია ქეცბაია და ქართველებს მასთან გულითადი მოკითხვაც დააბარეს.

"დინამოს" ვარჯიშმა, რომელიც წმინდა ინგლისურ ამინდში (10-12 გრადუსი), წვიმის ფონზე მიმდინარეობდა, 90 წუთს გასტანა. იმის გამო, რომ გუნდი ხვალ თამაშობს, გეგუჩაძე ფეხბურთელების დატვირთვას ერიდება. გარდა იმისა, რომ მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩაატარა, ბიჭებს, ძირითადად, განმტვირთველ და ფიზიკური კონდიციების აღმდგენი ვარჯიშების ჩატარებას ავალებდა. გეგუჩაძის გამგებლობაში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. დღეს გუნდი უკვე "სენტ ჯეიმს პარკზე" ივარჯიშებს, იქ, სადაც ხვალ თამაში გაიმართება. ვარჯიში ლონდონის დროით 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. ამავე დროს დაიწყება მატჩიც.

აქვე გეტყვით, რომ "დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი თავის კლუბს ლონდონში, ჰითროუს აეროპორტშივე დაშორდა და გლაზგოში გაემგზავრა. როგორც იცით, პეტრიაშვილი უეფას დირექტორია და მას ამ მოვალეობის შესრულება მოუხდა ჩემპიონთა ლიგის გუშინდელ მატჩზე, რომელშიც გლაზგოს "სელტიკი" და დონეცკის "შახტარი" შეხვდნენ ერთმანეთს.

# წყვილები გაირკვა

2005 წლის 15 ივნისს დაიწყება კონფედერაციის თასის მორიგი გათამაშება ფეხბურთში. ამ დღეს არგენტინის ნაკრები ტუნისის გუნდს შეხვდება. იწყება ტურნირი, რომელიც დიდად არავის აინტერესებს და რომელსაც ერთხანს მკვდრადშობილს უწოდებდნენ.

შეგახსენებთ, რომ კონფედერაციის თასის გათამაშებაზე 2003 წელს საფრანგეთში პირდაპირ მინდორზე გარდაიცვალა კამერუნის ნაკრების ნახევარმცველი მარკ ვივიენ ფოე. მაშინ ტურნირის ორგანიზატორები იმაშიც კი დაადანაშაულეს, რომ ფეხბურთელს დროულად ვერ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. არადა, კამერუნელის გადარჩენა შესაძლებელი იყოო. ასეა თუ ისე, კონფედერაციის თასი მაინც შეინარჩუნეს.

ახლა კი კონფედერაციის თასის გათამაშება, რომელშიც ყველა კონტინენტის საუკეთესო გუნდი მონაწილეობს, მიჩნეულია რეპეტიციად მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, რომელიც 2006 წელს ასევე გერმანიაში გაიმართება.

ამიტომ, კენჭისყრის შედეგების მიხედვით, 15 ივნისს კიდევ ერთი მატჩი გაიმართება და მასში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი გერმანია და ავსტრალია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ტურნირის გახსნითი მატჩის სტატუსსაც სწორედ ეს შეხვედრა მიიღებს. იმავე დღეს მაინის ფრანკფურტში გაიხსნება ახალი "ვალდშტადიონი", რომელზეც 29 ივნისს კონფედერაციის თასის ფინალური მატჩი გაიმართება.

კენჭისყრის შედეგების მიხედვით, რომელსაც წარსულში ცნობილი გერმანელი სპორტსმენი ფიგურულ სრიალში კატარინა ვითი უძღვებოდა, გუნდები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ჯგუფებს კი გერმანიისა (როგორც მასპინძელი ქვეყნის გუნდი) და მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები გუნდები ჩაუდგნენ სათავეში. შედეგად, ბრაზილიასთან მოხვდნენ: იაპონია, საბერძნეთი და მაქსიკა, ხოლო გერმანელების ჯგუფში: არგენტინა, ავსტრალია და ტუნისი. ჯგუფური ტურნირის შედეგების მიხედვით ნახევარფინალში ქვეჯგუფის ორი გამარჯვებული გუნდი ითამაშებს.

კონფედერაციის თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის ჩაკ ბლეიზერის თქმით, მას იმედი აქვს, რომ ტურნირი მაყურებელთა ყურადღების ცენტრში მოხვდება, მაშინ როცა წინა ოთხ ტურნირს ფინანსური თვალსაზრისით წარმატება არ ჰქონია. ბლეიზერი იმედოვნებს, რომ გერმანელი ფეხბურთის მოყვარულები, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას, სიამოვნებით მივლენ ამ უდიდესი საფეხბურთო ფორუმის რეპეტიციაზე.

კონფედერაციის თასის გათამაშებას ფრანკფურტი, ლაიფციგი, ჰანოვერი, ნიურნბერგი და კიოლნი უმასპინძლებს. სულ დაამზადებენ 700 ათას ბილეთს. მათ შორის ყველაზე იაფი 17 ევრო ეღირება, ხოლო ძვირი ბილეთი ფინალურ მატჩზე - 99 ევრო.

ბილეთების გაყიდვა გუშინ დაიწყო. ამასთან, მისი ძირითადი ნაწილი ინტერნეტით გავრცელდება. ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ბილეთების ზომიერი ფასი და საქვეყნოდ პოპულარული ინტერნეტის ქსელი საშუალებას მისცემს სტადიონებს ბოლომდე შეივსონ.

კონფედერაციის თასის პირველი გათამაშება 1997 წელს საუდის არაბეთში გაიმართა და ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. შემდგომში ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. გამარჯვება კი მექსიკამ (1999) და საფრანგეთმა (2001-2003) მოიპოვეს.

ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელები და მსოფლიო თასი თბილისში

გიგა გურასაშვილი

*მიუხედავად იმისა, რომ საჭიდაო რუკაზე საქართველოს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია, ჩვენს ქვეყანას დღემდე არასდროს ჰქონია პატივი, მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებისთვის ემასპინძლა. ამ მხრივ რამდენიმე დღეში ქართულ საჭიდაო სკოლას საწუწუნო აღარაფერი ექნება.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ძასოხოვმა თქვა, თასი თბილისში უნდა დარჩესო.*

6-7 ნოემბერს სპორტის სასახლე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო თასს უმასპინძლებს.

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა კარს მომდგარი ასპარეზობის ერთგვარ საკონტროლო შეხვედრაზე მიგვიწვია. როგორც გავიგეთ, თბილისში უკვე ჩამოსულა სპორტსმენთა ნაწილი, ზოგიც ახლა მოემგზავრება. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის, ირანის, ბელორუსიის, საფრანგეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. აფრიკის კონტინენტი თბილისურ ხალიჩაზე ეგვიპტეს უნდა წარმოეჩინა. ეგვიპტელებს შემოუთვლიათ, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩამოვალთო. მათ ნაცვლად ფრანგები იასპარეზებენ. შარშანდელმა გამარჯვებულმა რუსეთის ნაკრებმა უფულობა მოიმიზეზა. მათი ადგილი დაიკავა ბელორუსის ნაკრებმა, რომელიც შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა. ირანი აზიას წარმოადგენს. საქართველოს კი მსოფლიო თასზე გამოსვლის უფლება შეჯიბრების მასპინძლობამ მიანიჭა.

აქვე უმთავრეს ჯილდოზე - 5600-შვეიცარიულფრანკიან თასზე, რომელიც, როგორც გოჩა ძასოხოვმა გვაცნობა, ფილა-ს ეგიდით და თავისივე ატრიბუტიკით საგანგებოდ იტალიაში დაუმზადებიათ.

ახლა კი გუშინდელ შეხვედრაზე. 6-7 ნოემბერს სრული საბრძოლო მზადყოფნით ვხვდებით, რაღა თქმა უნდა, საქართველოს პირობებიდან გამომდინარე.

თავდაპირველად გვაცნობეს, რომ დიღმის საჭიდაო კომპლექსში, რომელიც შეჯიბრების მონაწილეებს უმთავრეს ასპარეზობამდე შეახურებს, მოწესრიგებულია.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით გობეჯიშვილმა, თქვენ გვერდით გვიგულეთ, თუ რამე შეგვიძლია გავაკეთოთ, დავალებების არ გვეშინიაო და მალევე გაეცალა იქაურობას - რაღაც საკითხების მოსაგვარებლად მეჩქარებაო.

ისიც თქვეს, სპორტის სასახლეში გასახდელებიც მოწესრიგებულია და განათებაც, თუ, რა თქმა უნდა, ასპარეზობებისას დენი არ გაგვეთიშაო.

რაც შეეხება საზეიმო გახსნის ცერემონიალს, მასზე ჯემალ სეფიაშვილი და თენგიზ სუხიშვილი ზრუნავენ. როგორც გვითხრეს, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თბილისში ჩატარებული მსოფლიო თასი არავის დაავიწყდესო.

ცერემონიალი 6 ნოემბერს, 16 საათზე შედგება. ამ საღამოს ვიხილავთ ნანი ბრეგვაძესაც, რომელსაც თურმე 7-ში მოსკოვში კონცერტი ჰქონია, მაგრამ საზეიმო ცერემონიალზე გამოსვლის სურვილი მაინც გამოუთქვამს.

საგანგებოდ მსოფლიო თასისთვის დამზადდება თბილისის ტურნირის ლოგოებით დამშვენებული მაისურები, ჭიქები, კალენდრები თუ ბუკლეტები.

ნაკრების მზადებაზე რამდენიმე სიტყვა თქვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ: "ჩავატარეთ საკონტროლო შეხვედრები. ბიჭები ფორმაში არიან. როგორც მასპინძელი, საქართველო ორი გუნდით გამოვა - თითო წონაში ორ-ორი მოჭიდავით.

მიუხედავად იმისა, რომ შინაური კედლები გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს, ძლიერ გუნდად ვითვლებით. რაც შეეხება მეტოქეებს... ირანი და ბელორუსი ჩვენთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. უფრო სწორად, სამივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს პირველობისთვის. თუ შარშანდელ ნაკრებთან გავავლებთ პარალელს, უნდა გითხრათ, რომ მაშინ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით. მართალია, შარშან, ალმა ათის მსოფლიო თასზე, მთავარი ჯილდო რუსებმა მსაჯების დამსახურებით დაისაკუთრეს, მაგრამ ვერავინ გვეტყვის, პირველობა არ გეკუთვნოდათო".

შეჯიბრება რომ მნიშვნელოვანია, იქიდანაც ჩანს, რომ მსოფლიო თასის მონაწილეებს 10 დოპინგსინჯს აუღებენ. საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ კახაბრიშვილის თქმით, თითოეულ გუნდში ამორჩევით ორ-ორი მოჭიდავე შემოწმდება.

ასე რომ, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გულშემატკივართა გასაგონად უნდა ვთქვათ: შაბათს, 11 საათიდანვე მიაშურეთ სპორტის სასახლეს. ბილეთის ფასი სიმბოლურია - ერთი ლარი. ორგანიზატორებს არც ქართული ჭიდაობის მოყვარულები დავიწყებიათ: კვირას, მსოფლიო თასის პარალელურად, მათთვის ფალავნობა გაიმართება.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა ქართველ მოჭიდავეთა საქომაგოდ ქალაქის სპორტული სკოლების 400-მდე აღსაზრდელი დარაზმა. გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: *ირაკლი ჭოჭუა, პაატა ბიწაძე - 55კგ; ლაშა ლომაძე, დათო ბედინაძე - 60კგ. ომარ ბაკურაძე, აკაკი ჩაჩუა - 66კგ (ჩაჩუა მისთვის უჩვეულო წონაშია. საქმე ისაა, რომ მან წონაში მოიმატა და დარჩიამ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში "დააწინაურა".-რედ.); ბადრი ხასაია, გენადი გოგოშვილი - 74კგ; მუხრან ვახტანგაძე, ლადო გეგეშიძე - 84კგ; რამაზ ნოზაძე, გივი მორჩილაძე - 96კგ; მირიან გიორგაძე, გიორგი ჯობავა - მძიმე წონა.*

რაგბი

# იგორ მირონოვი: „საქართველო უნდა დავამარცხოთ"

პაატა თოთაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*რუსების შეჩერება ამჯერად უფრო გაჭირდება.*

ბოლო წლებში რაგბის ქართველი გულშემატკივარი ისე მიეჩვია საქართველოს ნაკრების მიერ რუსების დამარცხებას, რომ სხვაგვარი შედეგი ვერც წარმოუდგენია. არადა, წლიდან წლამდე მატულობს რუსი მორაგბეების სურვილი, ბეჭებზე დასცენ ბორჯღალოსნები. ეჭვი არაა, ამ გუნდების წლევანდელი დაპირისპირება წინამორბედებისგან გამორჩეული იქნება და ქართველებსაც უფრო გაუჭირდებათ მეტოქის დამარცხება.

მიზეზი მრავალია. პირველი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ამ მატჩისთვის სრულფასოვნად ვერ ემზადება. თავდაპირველად შეკრება საფრანგეთში იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. საბოლოოდ გუნდი 10 ნოემბერს შეიკრიბება და ერთკვირიან მზადებას გაივლის საქართველოში. მანამდე კი, როგორც იცით, ჩვენი, ასე ვთქვათ, საკლუბო ნაკრები სამხრეთ ამერიკაშია და ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრიც იქ გაივლის გარკვეულ მომზადებას.

ჩვენგან განსხვავებით, რუსეთის ნაკრები საფრანგეთში გაივლის შეკრებას და ორ საკონტროლო მატჩს გამართავს "ბორდოსთან". რუსეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს - წარსულში ცნობილი მორაგბე იგორ მირონოვი, რომელიც აქამდე საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ მირონოვმა სამწვრთნელო კურსები დაამთავრა, რის შემდეგაც მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. რუსეთში წასვლამდე მირონოვი "აჟენის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო ორი წლის განმავლობაში. პირველ წელს გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწია, შარშან კი ჩემპიონი გახდა.

რუსები საფრანგეთში 7 ნოემბერს გაემგზავრებიან და იქ ცხრა დღეს დარჩებიან. პირველ მატჩს 10 ნოემბერს, მეორეს კი 15-ში გამართავენ. 17 ნოემბერს გაემგზავრებიან სამშობლოში, სადაც ქართველებთან მატჩის წინ მზადების ბოლო ეტაპს გაივლიან. რის შეცვლას აპირებს მწვრთნელი გუნდში, როგორ აპირებს ის საქართველოს ნაკრების დამარცხებას? ეს ის კითხვებია, რომელიც რუს გულშემატკივრებს აწუხებთ.

"მე ერთი რამ ვიცი: 20 ნოემბერს საქართველო უნდა დავამარცხოთ. ნაკრებში ბევრი რამაა შესაცვლელი, პირველ რიგში, დისციპლინა. კიდევ ის, რომ მორაგბეებმა მოედანზე აზროვნება უნდა ისწავლონ. ისინი მოედანზე რობოტებივით იქცევიან. უბრალოდ, იციან, რომ მეტოქეს ლელო არ უნდა გაატანინონ, მაგრამ როგორ გააკეთონ ეს ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, არ იციან. პირველ რიგში სწორედ ეს უნდა ისწავლონ. ხომ არ შეიძლება, მწვრთნელმა მოთამაშეს მიუთითოს, სად რა ნაბიჯი გადადგას. უსათუოდ შეიცვლება გუნდის სათამაშო ტაქტიკა, სტრატეგია. ბუნებრივია, მცირე დროში ბევრი რამის შეცვლას ვერ მოვასწრებთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაკრების თამაში აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ, მომავალი წლისთვის კი განსხვავება თამაშში უფრო თვალსაჩინო გახდება", - თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა მირონოვმა.

საქართველოსთან შედარებით რუსეთში სპორტის ეს სახეობა ნაკლებად პოპულარულია და ნაკრების ახალ თავკაცს ეს ამბავი ძალიან ანაღვლებს. "ეს მწვრთნელების და მოთამაშეების ბრალია. მწვრთნელებმა არ იციან, როგორ მოამზადონ მორაგბე, მოთამაშეები არ იცავენ დისციპლინას. საერთო ჯამში კი მოედანზე "ბარდაგია". არადა, რაგბი სპექტაკლია, რომელსაც მაყურებელმა სიამოვნებით უნდა უყუროს. თამაშისგან სიამოვნება უნდა მიიღოს მოთამაშემაც, აქ კი რატომღაც სხვანაირად ხდება", - ასეთია მწვრთნელის აზრი.

დისციპლინის პრობლემაზე რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელიც საუბრობდა, მაგრამ პრობლემას ვერაფერით მოუარა. ამან კი ახლა იჩინა თავი - რამდენიმე მოთამაშე უარს ამბობს ნაკრებში თამაშზე. საუბარი ამის შესახებ მირონოვის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისთანავე გაჩნდა, თუმცა ალექსანდრ პერვუხინმა ყველაფერს მოვაგვარებო. ნაწილობრივ მოაგვარა კიდეც, უფრო სწორად, მან დაიბრალა, თორემ მოგვარებით რუსეთის რაგბის კავშირმა უფრო მოაგვარა. მთლიანობაში კი პრობლემა ისევ არსებობს, რადგან გრაჩოვს და რაჩკოვს რატომღაც არ სურთ ნაკრებში თამაში. თუ გრაჩოვთან ამ საკითხზე საუბარი კიდევ შეიძლება, რაჩკოვი კატეგორიულია. თუმცა, რუსები მაინც იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ ყველაფერი ნაკრებისთვის სასიკეთოდ გადაწყდება და რვაწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთის ნაკრები ახალი მწვრთნელის თავკაცობით, ბოლოს და ბოლოს, მოახერხებს საქართველოს ნაკრების ძლევას. აღდგომა და ხვალეო, 20 ნოემბრამდე დიდი დრო არაა დარჩენილი და კრასნოდარში ვნახავთ, ვინ რისი მაქნისია.

მოკლედ

## ვიტალი კლიჩკო: მე დოპინგს ვიღებდი

ცნობილმა უკრაინელმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ, რომელსაც 11 დეკემბერს ლას ვეგასში ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევს WBC (საბჭო) ვერსიით, გერმანიაში ახლახან გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში "ძმებს შორის" აღიარა, რომ კარიერის დასაწყისში, 1996 წელს, აკრძალულ პრეპარატებს იღებდა, რომ კიკბოქსინგის ტურნირში მიღებული ფეხის ტრავმის მოშუშება დაეჩქარებინა: "კლიჩკო ერთ ჩვეულებრივ უკრაინელ ექიმს გაესინჯა. მოკრივემ მის მიერ გამოწერილი წამლის მიღება ისე დაიწყო, რომ არ შეუმოწმებია, შეიცავდა თუ არა იგი დოპინგს," - განაცხადა კლიჩკოს პრეს-ატაშემ.

შეგახსენებთ, რომ 1996 წელს კლიჩკო-უფროსს დოპინგის გამო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ნება არ მისცეს. სამაგიეროდ რინგზე მისი ძმა ვლადიმირი გავიდა და ოქროს მედალიც მოიგო.

## „ლივერპული" იანვარში ფორვარდის შეძენას აპირებს

"როიტერსის" ცნობით, ინგლისური კლუბის "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ იანვარში სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს თავდამსხმელის შეძენას აპირებს, რადგან ტრავმირებული ჯიბრილ სისე სეზონის დასრულებამდე ვერ მოახერხებს ჩვეული ფორმის დაბრუნებასა და მოედანზე გამოსვლას. "ჩვენ თუ კარგ, ამავე დროს, იაფ ფორვარდს ვიპოვით, აუცილებლად გავაფორმებთ მასთან კოტრაქტს," - აღნიშნა ბენიტესმა.

## კასილიასი „რეალის" ერთგულია

მადრიდის "რეალის" მეკარის იკერ კასილიასის შეძენის სურვილი გამოთქვეს სახელგანთქმულმა ინგლისურმა კლუბებმა "მანჩესტერ იუანიტედმა" და "არსენალმა".

მართალია, "რეალთან" დადებული კონტრაქტის ვადა 2006 წლის ივნისში იწურება და, შესაბამისად, წინ კიდევ საკმაო დროა, მაგრამ 23 წლის მეკარე ცვლილებებზე არ ფიქრობს, სამომავლოდაც თავის გუნდად მადრიდის "რეალს" მოიაზრებს და კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე ფიქრობს. იგი დარწმუნებულია, რომ "სამეფო გუნდი" მასთან თანამშრობლობას შემდეგშიც მოისურვებს.

"უკვე თხუთმეტი წელიწადია, მადრიდის "რეალში" ვთამაშობ და ჩემი მომავალი გეგმებიც მას უკავშირდება. გუნდიდან წავლას ან სხვა გუნდში გადასვლას არ ვაპირებ. პირიქით, კონტრაქტის ვადის გაზრდა მინდა," - განაცხადა მადრიდის "რეალის" მეკარემ.

## ერიქსონის სახლს თავს დაესხნენ

ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის სვენ გორან ერიქსონის სახლი ვანდალების მსხვერპლი გახდა. ერთი დღის განმავლობაში ისინი ორჯერ დაესხნენ თავს ოთხი მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების საცხოვრებელ სახლს - პირველი სართულის ფანჯრები ჩალეწეს და მთელი სახლი გარედან საღებავებით მოხატეს.

უცნაურია, რომ ლონდონის ცენტრში მდებარე სახლზე ვანდალების თავდასხმა პოლიციას შეუმჩნეველი დარჩა.

სხვათა შორის, წლეულს ერიქსონი გაქურდეს კიდეც. როგორც ჩანს, ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიდი სიყვარულით უნდა სარგებლობდეს კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს შორის. ჰოდა, ისინი ამ გრძნობის გამოხატვას მეტად უჩვეულო მეთოდებით ცდილობენ - ქურდობის მიზნით თავდასხმით, ვანდალური ქმედებით. წლის დამთავრებამდე კიდევ ორი თვე დარჩა. ვინ იცის, კიდევ რითი "გაახარებენ" თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელს.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-პროგრამა

### ოთხშაბათი. 3 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. "LOS ANGELES LAKERS" - "DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ცსკა - "ჩელსი"
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "პორტუ" - პსჟ
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა" - "მილანი"
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. "ინტერი" - "ვალენსია"
22:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები პირდაპირ ეთერში
00:50 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "სპარტა"
02:45 02:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA შიგნიდან
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "NEW JERSEY NETS" - "MIAMI HEAT". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 13:30 "ფორმულის ჰარმონია"
10:40 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში
13:35 "ჰოკეი პლუს"
14:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:00 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE CANADA". საჩვენებელი პროგრამა. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "HOUSTON ROCKETS". შესვენებისას (18:30) - პრესცენტრი
20:00 "სპორტისიმო"
21:00 "ვატერპოლე"
21:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
22:20 "ჰოკეი-პლუს"
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) - "რეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "ბაიერი"

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2004
13:00 მძლეოსნობა. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მიმოხილვა
15:00 მულტისპორტი
15:30 ფეხბურთი - ევროგოლები
16:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი ინგლისში
17:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
19:00 მულტისპორტი
19:30 საბრძოლო ხელოვნება. შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
20:45 მოტოსპორტი - ტესტ დრაივი
21:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში. მიმოხილვა
22:15 გოლფი. ევროპული ტური "ვოლვო მასტერსი" ესპანეთში
22:45 აფროსნობა
23:15 ცხენოსნობა
00:15 პოლო - სამეფო თასი
00:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:00 ცხენოსნობა. მასტერსის თასი კანადაში
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი კატალონიაში. მიმოხილვა

## ჯვაროსნობა ჯვაროსნებამდე



ეპოქაში, როცა აღარავის ეპარებოდა ეჭვი ევროპული ცივილიზაციის უძლევე უპირატესობაში, ისტორიკოსებიც მხოლოდ იმ ჯვაროსნულ ლაშქრობებს იხსენებდნენ ხოლმე, რომელთა ორგანიზატორები და მონაწილეებიც ევროპელები იყვნენ. თვით ჯვაროსნული ლაშქრობა კი განიხილებოდა როგორც აღმოსავლეთზე ევროპული კონტროლის დამყარების ცდა. ამგვარი თვალსაზრისი მცდარია. არა მარტო იმიტომ, რომ იმხანად ევროპის ცნება ადამიანთა ცნობიერებაში საერთოდ არ არსებობდა იმ ფორმით, რომელიც ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება...

პოზიციის სიმცდარეს, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებდა ყველასათვის ცნობილი და უტყუარი ფაქტი: ჯერ კიდევ X საუკუნეში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების ინიციატორები იყვნენ ბიზანტიის იმპერატორები. დასავლელ რაინდებამდე დიდი ხნით ადრე ქრისტიანობის დამცველები აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის ბასილევსები იყვნენ. მათ დაიწყეს შეიარაღებული ძალების გაგზავნა იერუსალიმში. ბიზანტიელებს სირიაში დამპყრობლური პოლიტიკის გასატარებლად საბაბი არ სჭირდებოდათ: ხალიფატსა და იმპერიას შორის ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა პირველმა ხალიფებმა კონსტანტინოპოლს ყველაზე მდიდარი აღმოსავლური პროვინციები წაართვეს. ის, რომ მტრები ყველაფერთან ერთად უსჯულონი, ანუ მუსლიმები იყვნენ, კიდევ უფრო აძლიერებდა ბიზანტიელი სტრატეგების საბრძოლო შემართებას...

VII საუკუნის არაბული შემოსევის შემდეგ იმპერატორ **ნიკიფორე ფოკას** მიერ 961 წელს კუნძულ კრეტას დაპყრობა ქრისტიანთა პირველი გამარჯვება იყო. როგორც კი კრეტას დაბრკოლება დაძლეული იყო, ბიზანტიურმა ექსპანსიამ უკვე შეუჩერებელი ხასიათი მიიღო. საომარი მოქმედებები განვითარდა როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. ბიზანტიელები სულ უფრო ხშირად არღვევდნენ შემოსევათა შედეგად დიდი ძალისხმევის ხარჯზე დადგენილ ბერძნულ-არაბულ საზღვარს და თავს ესხმოდნენ ტარსსა და ანაზარბას — სარკინოზთა ძირითად "სამხედრო ბაზებს" სირიაში. ბოლოს და ბოლოს ბიზანტიელები დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე ქალაქ სამოსატამდე მივიდნენ და ევფრატის ნაპირას განლაგდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ევფრატი ისევ იქცა ყოფილ რომაელთა პლაცდარმად, ტიგროსი კი მიზნად.

ბიზანტიელთა გამარჯვებები X საუკუნეში სულ უფრო მრავლდებოდა, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ისეთი შთამბეჭდავი, როგორც ქალაქ ალეპოს აღება 962 წლის 23 დეკემბერს. ბიზანტიელი ქვეითები, რომლებიც ალეპოს ბნელ შუკებში გასაუპატიურებლად დასდევდნენ არაბ ქალებს, ქვეცნობიერად შურს იძიებდნენ სამსაუკუნოვანი არაბული ბატონობისათვის, რომლის ქვეშ მცირე აზიისა და სირიის ქრისტიანი მოსახლეობა იტანჯებოდა. დიდ მეჩეთში ცხენების თავლა განალაგეს, მაგრამ მუსლიმი მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, რის გამოც ნიკიფორე ფოკამ მალევე გამოიყვანა ჯარი ქალაქიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სალოცავში ცხენების შეყვანა გამარჯვებულის პრეროგატივა იყო — მას ერთნაირი ხალისით იყენებდნენ როგორც მუსლიმები, ასევე ქრისტიანები. საკითხავი ისაა, რატომ ითვლებოდა უწმინდურების სიმბოლოდ მეომრის უძვირფასესი მეგობარი — ცხენი? მაგრამ ეს შეკითხვა სხვა მსჯელობის საგანია.

ალეპოს აღება ბიზანტიელთა მიერ ძალიან ჰგავს იმ უბედურებას, რომლებიც ევროპელმა ჯვაროსნებმა იერუსალიმში დაატრიალეს. ამ შემთხვევაში საქმე ჩვეულებრივ პოლიტიკურ ომს არ ეხება. ეს **წმინდა ომია** — ამ სახელით იყო ცნობილი ყოველგვარ შებრალებასა და ადამიანურობას მოკლებული სასაკლაო, რომელსაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უწყობდნენ. ამგვარი ომის განსაკუთრებული ხასიათი იმითაც იყო ხაზგასმული, რომ ქრისტიანები წმინდა ომში დაღუპულ მეომრებს მოწამეთა ხარისხს ანიჭებდნენ. ასევე საინტერესოა, რომ სარწმუნოების დამცველად ამ ბიზანტიურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გვევლინებოდა ნიკიფორე ფოკა — უზურპატორი, რომელმაც ჯერ შვილები მოუნათლა იმპერატორ **რომანოზ II**-ს, ხოლო 963 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ ცოლად შეირთო იმპერატრიცა და ტახტზე ავიდა. ათონის ბერებმა ეს ქორწინება გააპროტესტეს, როგორც ქრისტიანული კანონიკით დაუშვებელი, მაგრამ ნიკიფორემ ოქრო-ვერცხლით სავსე ორი ხომალდი გააგზავნა ათონზე და ბერებიც დამშვიდნენ.

ნიკიფორეს მკვლელობასა და ტახტზე იოანე ციმისხიოსის ასვლას არ შეუნელებია აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე მოვლენები. პირიქით, აქ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ფატიმიდების ახალმა დინასტიამ ეგვიპტე დაიპყრო და ბაღდადის აბასიდთა დინასტიას დაუპირისპირდა. მუსლიმთა სამყაროს ორ რელიგიურ პოლუსად გაყოფამ საკმაოდ დაასუსტა ისლამი, რითად ევროპელმა ჯვაროსნებმა მშვენივრად ისარგებლეს XI საუკუნის ბოლოს.

ამასობაში კი ციმისხიოსმა ბაღდადზე დიდი ლაშქრობა მოაწყო. თან მებრძოლებს უბრძანა, გაენადგურებინათ და გადაეწვათ ყველაფერი, რასაც გზად შეხვდებოდნენ, რათა მუსლიმი მოსახლეობა სოფლებიდან და ქალაქებიდან გაქცეულიყო და ქვეყნის დაპყრობა უფრო ადვილი ყოფილიყო. ისტორიკოს მათე ედესელის მოწმობით იოანე ციმისხიოსის ჯარმა ბაღდადისკენ სვლის დროს სამასი ქალაქი გაასწორა მიწასთან.

საკუთრივ ჯვაროსნული ლაშქრობა კი 975 წელს დაიწყო. იოანეს ლაშქარი ძველებური ულმობელობით გამოირჩეოდა. დღევანდელი ლიბანის ტერიტორიამ საკმაოდ იწვნია ეს მრისხანება. და მაინც, თითქმის იერუსალიმამდე მისულმა ბიზანტიელებმა მოულოდნელად დამასკოს მხარეს იცვალეს გეზი იქაური ათაბაგის თხოვნით. აქ საქმე გვაქვს აღმოსავლური პოლიტიკის უცნაურ მხარესთან: თურქი ათაბაგი, რომელსაც დამოუკიდებლობა სურს და ამას მხოლოდ ფატიმიდთა და აბასიდთა შორის ბალანსირებით აღწევს, თვითონ ითხოვს, რომ დაპყრობილ იქნას ბიზანტიელთა იმპერატორის მიერ. ამგვარ გარიგებას ორმხრივი სარგებლობა ჰქონდა: ერთი მხრივ, ათაბაგი ღებულობდა შორს მყოფი და რელიგიურად უცხო მმართველის მფარველობას, რომელიც მას დაიცავდა უფრო ახლობელი მტრისაგან და მეტოქე მუსლიმთა შორის ათქვეფისაგან იხსნიდა; მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერატორი მხარდაჭერისა და ხარკის კიდევ ერთ წყაროს შოულობდა.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური მოტივები ყოველთვის უფრო ძლიერია რელიგიურზე და მათ წინაშე თვით წმინდა ომიც უკან იხევს. ამიტომაც არ ახსოვდათ ევროპელებს ბიზანტიური ჯვაროსნული ლაშქრობები, მაგრამ ისიც ავიწყდებოდათ, რომ ევროპული ჯვაროსნებისთვისაც პოლიტიკა ხშირად სარწმუნოებაზე მეტად განსაზღვრავდა მათ ქმედებებს.

# ჯვაროსნული ლაშქრობები I



*ურბან II ქადაგებს ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისს*

### პროლოგი ბიზანტიაში

XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიას საშინელი კატასტროფა დაატყდა თავს. მანამდეც, მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური აყვავებისა, რომელიც იმპერატორ **ბასილი II**-ის მმართველობას უკავშირდება, აღმოსავლეთი საქრისტიანო იძულებული იყო, მუსლიმებთან ურთიერთობისას არამდგრადი წონასწორობა შეენარჩუნებინა უდიდესი დაძაბულობის ხარჯზე. თუმცა არც მუსლიმთა შორის იყო მშვიდი ვითარება და ჯერ კიდევ საკმაო უთანხმოება სუფევდა სულთანსა და ურჩ მომთაბარე ტომებს შორის. სელჯუკთა კლანის მეთაურმა, **ალფ არსლანმა** თავისი პოლიტიკური კარიერა სწორედ მომთაბარეთა შორის ავტორიტეტის დამკვიდრებით დაიწყო, რითაც ბიზანტიას ბალანსირების უკანასკნელი იმედი წაართვა...

1068 წელს კონსტანტინოპოლის ტახტზე ავიდა იმპერატორი **რომანოზ დიოგენე**, რომელმაც მუსლიმთა წინააღმდეგ ლაშქრის შეგროვება დაიწყო. 1071 წელს, სამწლიანი უშედეგო ლაშქრობის შემდეგ, რომანოზმა ბასილის პოლიტიკის გაგრძელება გადაწყვიტა. თავისი ასიათასიანი არმია მან ვანის ტბის მახლობლად დააბანაკა. აგვისტოს თვეში ანატოლიის მტვრიან გზებზე ლაშქრობის შემდეგ მეომრები წყურვილისა და პაპანაქებისაგან იტანჯებოდნენ. მათი მოძრაობის უნარი შეზღუდული იყო მძიმე საზიდრებისა და მოუხერხებელი საალყო მანქანების გამო — იმდენად შეპყრობილი იყო ბიზანტია წიგნიერი, კლასიკური ომის იდეით!

ალფ არსლანი ქრისტიანთა ამ თავდასხმას არ ელოდა. იმ დროს იგი ჩრდილოეთ შუამდინარეთში იყო წასული მცირე რაზმით. ძლივს მოახერხა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა და მანციკერტის მიდამოებში, მაღალი ზეგანიდან შეუტია ქრისტიანებს. ბიზანტიელთა დემორალიზებულ რიგებში უკვე კარგა ხანია დაწყებული იყო მასობრივი დეზერტირობა და რომანოზის შურით აღვსილი სარდლების საბოტაჟი.

მზის ჩასვლამდე იმპერატორი რომანოზი, რომაელთა მბრძანებელი, კონსტანტინესა და იუსტინიანეს შთამომავალი, ტყვედ ჩავარდნილი დააგდეს ალფ არსლანის ფერხთით. სელჯუკმა მოწყალება გამოიჩინა, მოითხოვა მხოლოდ ხარკი, საზღვრების მცირე კორექცია და ბიზანტიელთა მხრიდან მორჩილების ფორმალური დაპირება.

ამ დამარცხების შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანული იმპერია უკვე ველარასოდეს გაიმართა წელში.

ამ კატასტროფამ ლათინთა რეაქციაც გამოიწვია. მით უმეტეს, რომ ევროპელებმა უკვე რამდენიმე საგრძობი წარმატება მოიპოვეს მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიასა და რომს შორის ფორმალური სქიზმა უკვე მომხდარი იყო, ქრისტიანული სამყარო ჯერ კიდევ "ვერ ამჩნევდა" მას. უნდა ითქვას, რომ საბოლოო სქიზმის მნიშვნელობა 1054 წლის ცნობილმა ამბებმა მხოლოდ 1204 წლის შემდეგ მიიღო, როცა ევროპელებმა დაიპყრეს და გადაწვეს კონსტანტინოპოლი.

მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი რჩებოდა და ევროპელი საეკლესიო ისტორიკოსის **ვილჰელმ ტირელის** ნაწერებში ვკითხულობთ, როგორი პატივისცემით მოიხსენიებს დასავლეთი რომანოზის ბრძნულ მმართველობას და როგორი რისხვით აკვირდება *ბელფეტუსის* (ალფ არსლანის სახელის ლათინური ვარიანტი) მზარდ ძლიერებას.

### პროლოგი ესპანეთში

სელჯუკთა დარტყმა ბიზანტიაზე მით უფრო საგრძნობი იყო დასავლეთისთვის, რომ დადგა ესპანეთში ხანგრძლივი და ძნელი "რეკონკისტის" გაგრძელების საკითხი. ტერმინით "რეკონკისტა" აღინიშნება ესპანელ ქრისტიანთა ბრძოლა არაბული ბატონობის წინააღმდეგ იბერიის ნახევარკუნძულზე. ამ ბრძოლას უძღვებოდნენ კასტილიისა და არაგონის სამეფოები. მიუხედავად ფრანგული სამხედრო მხარდაჭერისა, არაგონის წარმატებას დიდად უშლიდა ხელს მთა-გორიანი რელიეფი. კასტილიის ლაშქრის მოქმედებას კი თითქმის ყოველთვის გამარჯვება ახლდა. 1085 წელს კასტილიის მეფე, **ალფონს VI** შევიდა ტოლედოში და თავი იმპერატორად გამოაცხადა.

წარმატება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ალმორავიდების არაბულმა დინასტიამ კასტილიისა და არაგონის წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადა. ამ დინასტიის რესურსები პრაქტიკულად ამოუწურავი იყო: ანდალუსიიდან ბალეარის კუნძულებამდე გადაჭიმული ტერიტორია, უსაზღვრო სამფლობელოები ალჟირიდან სენეგალამდე.

ამ ორმხრივმა მუქარამ — დასავლეთიდან ალმორავიდები, აღმოსავლეთიდან კი სელჯუკები — დიდად შეაფიქრიანა დასავლეთის საქრისტიანოს უმაღლესი ხელისუფლება და, უპირველეს ყოვლისა, პაპი.

### პროლოგი ეკლესიაში

მაგრამ საკუთრივ პაპის გარდა, კიდევ არსებობდა ერთი მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული ისლამსა და ქრისტიანებს შორის ძალთა გლობალურ განაწილებაში...

მაშინ თითქმის მთელ ევროპაში იყო გავრცელებული მკაცრად ასკეტური ბერ-მონაზვნური ტრადიციის ქსელი. ამ ტრადიციამ თავისი წოდება მიიღო საფრანგეთში მდებარი მონასტრის, კლუნის სახელიდან. კლუნის ბერებს ძალიან აღელვებდათ რეკონკისტის ბედი, რადგან ყოველთვის მდიდარ ძღვენს ღებულობდნენ კასტილიელი მონარქებისაგან. თავის მხრივ, კლუნის ორდენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქრისტიანული თვითშეგნებისა და საზოგადოებრივი მოწყობის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ ორდენის წიაღში იშვა და სათანადოდ გაფორმდა იდეა, რომ ალმორავიდთა გაძლიერება ესპანეთში და სელჯუკთა ლაშქრობები ბიზანტიაში წარმოადგენს "ახალ და საშიშ მუქარას ქრისტიანი სამწყსოსათვის". ორდენმა თავისი წუხილი რომის კურიას გაუზიარა.

### პირველი მოწოდება

უკვე კარგადაა ცნობილი, რომ პაპის, **ურბან II**-ის საჯარო ქადაგებამდე არავის მოსვლია აზრად წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ლაშქრობა. საქრისტიანო საფრთხეშია! — ამის მსგავსი ლოზუნგით მრავალი ომი დაწყებულა. ამ შემთხვევაში სრულიად უაზროა კითხვა: რამდენად რეალურია საფრთხე? — მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ განცხადება შთაბეჭდილებას ახდენს, მტრის ხატს ქმნის და ძალადობის მოსურნე დაბალ ფენებს იმ შეგნებას უყალიბებს, რომ მათი ქვენა ინსტინქტების ამოძრავება რაღაც უზენაესი მიზნისთვის ხდება.

ერთი სიტყვით, ჯვაროსნულ ლაშქრობათა ფენომენის ახსნა მხოლოდ ეკონომიკური ან მხოლოდ იდეოლოგიური მიზეზებით შეუძლებელია — აქ მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ პოლიტიკას ეჭირა და XI საუკუნის დემოგრაფიული აფეთქების შემდეგ ევროპა არა მარტო გარდაუვალი ეკონომიკური ექსპანსიის წინაშე დადგა, არამედ პოლიტიკური არეალის გაფართოების შესაძლებლობაც იგრძნო. მეორე მხრივ, მიუხედავად სირთულისა, ჯვაროსნული ლაშქრობა, როგორც ასეთი, არ ყოფილა დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ რისკთან. ქრისტიანები უკვე კარგა ხანია საკმაოდ წარმატებულად ებრძოდნენ მუსლიმებს, მაგალითად, სიცილიაში და ხმელთაშუა ზღვაზე უკვე ერთგვარ გავლენასაც მიაღწიეს. ამ წარმატების ძირითადი მატარებლები ნორმანები იყვნენ.

### ნორმანთა წვლილი

ეს ჩრდილოევროპელი ბარბაროსები, ბიზანტიელების მიერ ქრისტიანობაზე მოქცეულნი და ლანგობარდების მიერ დიდი ხნის განმავლობაში ჩაგრულნი, მალე გათავისუფლდნენ და IX საუკუნიდან სამხრეთისკენ დაიძრნენ. გზად ყველაფერს წვავდნენ, ეკლესიებს ანგრევდნენ, ტყვეებს აწამებდნენ. მათი ქცევა ძალიან ჰგავდა თურქ მომთაბარეთა წეს-ჩვეულებებს. სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში მოსულმა ნორმანებმა იქ რამდენიმე მცირე ზომის ფეოდალური სათავადო დააარსეს.

რომის კურიამ ჯერ ეკლესიისაგან განკვეთა ნორმანები ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ სისასტიკისთვის, მაგრამ როცა ბარბაროსებმა ბრძოლის ველზე დაჯაბნეს რომის ლაშქარი, იძულებული გახდა, შერიგებოდა და თავის ვასალებად ექცია ისინი. ნორმანთა შეტევას თითქოს ვერაფერი შეაჩერებდა: მათი წინსვლა ალფ არსლანის ძლევამოსილ დაპყრობებს ჰგავდა. 1071 წელს, სწორედ მაშინ, როცა რომანოზი მანციკერტთან დამარცხდა, ნორმანებმა ბიზანტიას იტალიური ქალაქი ბარი წაართვეს და იტალიაში ბერძნული მმართველობის ბოლო კვალიც წაიშალა. 1084 წელს გერმანელი იმპერატორის, **ჰაინრიხ IV**-ის მხედრობამ ალყა შემოარტყა რომს, სანტ-ანჯელოს ციხესიმაგრეში ჩაკეტილმა პაპმა, **გრიგოლ VII**-მ დახმარება ნორმანებს სთხოვა. ნორმანებმა პაპი იხსნეს, მაგრამ, სამაგიეროდ, რომიც გაძარცვეს. რომზე გერმანულ შემოსევაში თავი გამოიჩინა ერთმა ახალგაზრდა ლოტარინგიელმა ფეოდალმა, რომელიც მალე წმინდა საყდრის ერთგული ვასალი და ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟი გახდა — ეს იყო **გოტფრიდ დე ბუიონი**.

ამ გამარჯვების შემდეგ ნორმანდიული სიფიცხე მხოლოდ ორი მიმართულებით შეიძლებოდა განვითარებულიყო: ან მუსლიმური სიცილია უნდა დაეპყროთ, ან კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ გაელაშქრათ. სიცილიის ემირები ერთმანეთს სულ მუდამ ედავებოდნენ, მაგრამ გარე წინააღმდეგობის შემთხვევაში სწრაფად უთანხმდებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ ბიზანტიელებმა ვერასოდეს შეძლეს მათი დამარცხება. მაგრამ ნორმანები სულ სხვა საბრძოლო წრთობის ხალხი იყო. ისინი გრძნობდნენ, რომ სიცილიად წოდებული მიწიერი სამოთხე მათ წინაშე დაიჩოქებდა. ნორმანებს ამ წამოწყებაში ევროპელმა ქრისტიანებმა დაუჭირეს მხარი, რადგან ასე ბოლო მოეღებოდა ტირენის ზღვაში სარკინოზთა მეკობრეობას, განვითარდებოდა [illegible] გენუისა და პიზის ფლოტს.



*ნორმანი მეომრები*

თუ გავითვალისწინებთ, რა ძვირფასი როლი შეასრულა ამ ორი ქალაქ-სახელმწიფოს ხომალდებმა ჯვაროსნულ ლაშქრობებში, გასაგები გახდება სიცილიაზე ნორმანული კონტროლის მნიშვნელობაც. იმხანად მეზღვაურები ვერ გადიოდნენ ზღვაში იმდენად შორს, რომ ნაპირი დაეკარგათ მხედველობის არიდან. ამიტომაც, რადგან ალჟირისა და ტუნისის გასწვრივ ნაოსნობა სრულიად შეუძლებელი იყო, ჯვაროსანთა ხომალდებს აუცილებლად მესინის სრუტით უნდა ევლოთ.

მაგრამ ნორმანებს თავზეხელაღებული ავანტიურისტი, **რობერ გვისკარი** სარდლობდა და მას სულ სხვა მიზნები ჰქონდა თავში: კონსტანტინოპოლის ბასილევსობა, სხვა სიტყვებით კი, ბიზანტიის იმპერატორობა არ ასვენებდა. ბიზანტიის ტახტის გარშემო ისეთი ანარქია სუფევდა, რომ ამ წვრილი აზნაურის ოცნება სრულიად არ იყო საფუძველს მოკლებული. 1081 წელს, როცა ბიზანტიური ანატოლია უკვე მთლიანად თურქთა ხელში იყო ჩავარდნილი, ნორმანები ზურგიდან დაესხნენ იმპერიას. ისინი დურაცოში, ანუ დღევანდელ ალბანეთში ჩამოსხდნენ და ბოსფორისკენ სვლა დაიწყეს. 1054 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის, **მიქაელ კერულარიოსის** ამბიციებმა ახალ და ძველ რომს შორის საკმაოდ დაძაბა ურთიერთობა. ამიტომ პაპი უკვე აღარ უშლიდა გახელებულ ნორმანებს, რომლებიც ვერც კი ამჩნევდნენ, რომ ცეცხლითა და მახვილით ქრისტიანულ მიწებზე იკვლევდნენ გზას. მაკედონიასა და ეპირში ნორმანთა სისასტიკემ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრისტიანოს შორის პირველი რეალური ბზარი გააჩინა. მაგრამ ამჯერად ბიზანტიამ ოპოვა წინააღმდეგობის რესურსი...

კონსტანტინოპოლის ტახტზე არანაკლებ თავხედი ავანტიურისტი ავიდა: **ალექსი კომნინი**. პარადოქსულია, მაგრამ მართლმადიდებლობის ბურჯმა მართლაც შეძლო ნორმანთა შეჩერება... რატომაა პარადოქსული? — იმიტომ, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ეს თურქული ჯარის საშუალებით შეძლო. საჭირო სამხედრო დახმარება მას ნიკეის მუსლიმმა მმართველმა მიაწოდა.

ამგვარი სიტუაცია ძალიან ხშირი იყო იმ დროში. მუსლიმები ძალიან ხშირად მსახურობდნენ დაქირავებულ სამხედროებად ქრისტიანი მბრძანებლების კარზე. თურქები ბიზანტიის ანატოლიას ეუფლებიან, მაგრამ ეხმარებიან ნორმანების შეჩერებაში. იგივე დაქირავებული თურქები ნორმანებთან ერთად რომში მიისწრაფიან, რომ გერმანელების ალყაში ჩავარდნილი პაპი იხსნან და თან რომიც გაძარცვონ. რაღა გასაკვირია, რომ პაპის მხსნელთა მიერ გაპარტახებულ და გადამწვარ წმ. პეტრეს ბაზილიკაში ნორმანთა თურქი თანამებრძოლები ნამაზს ასრულებდნენ?!

აი, ასე — გათავისუფლების მოსურნე ესპანეთის მოუთმენლობამ, ესპანურ სიმდიდრეზე პირწყალმორეული ბერ-მონაზვნების სიხარბემ, პაპის გარუკვეველმა შიშებმა, ნორმანთა მოზღვავებულმა ენერგიამ და ევროპის გაზრდილი და, შესაბამისად, მოშიებული მოსახლეობის სიბნელემ ერთობლივად გამოიწვია ავანტიურიზმითა და რომანტიზმით აღსავსე ევროპელთა და აზიელთა მრავალწლიანი თავგადასავალი, რომელიც დღეს ჯვაროსნული ლაშქრობების სახელითაა ცნობილი. ამ თავგადასავლის პირველი ეტაპი, როცა ჯერ კიდევ საკუთრივ ლაშქრობა დაწყებული არ იყო, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რატომ თქვეს ბიზანტიელებმა რამდენიმე საუკუნით გვიან, რომ პაპის ტიარას თურქთა ჩალმა ურჩევნიათ.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# გლეხი, რომელიც სემინარებს ატარებს

მაია კობახიძე
გერმანიიდან

*მარტინ ბაუმგარტის ეზო "გუთ ოსტლერი" არაფრით ჰგავს იმ ცვრიან, ხალიჩასავით რბილ პატარა ეზოებს, რომლითაც თავს აწონებენ ერთმანეთს ბონელები და რომლის მოვლა საკმაოდ ძვირი უჯდებათ. მარტინის ეზო ერთი გლეხური სუნიანი ეზოა, შინაური ფრინველებითა და ცხოველებით გადათხრილ- გადმოთხრილი და წვიმის დროს კარგა გვარიანად ატალახებული. თუმცა, არც მთლად ასე მარტივადაა ყველაფერი, მაგალითად, ქათმებს მოძრავი ვაგონი აქვთ საბუდრად. მათთვის გამოყოფილია გარკვეული ტერიტორია, რომელიც რამდენიმე ადგილას გადატიხრულია. ყოველი სამი დღის შემდეგ, როცა ერთგან მუსრს გაავლებენ ბალახს, სხვა ადგილზე გადაჰყავთ. და კიდევ, "გუთ ოსტლერში" ეკოლოგიურად სუფთა მეურნეობას მისდევენ.*


ფერმა


საქათმე ბორბლებზე

რაც უფრო ცოტა ბაბო და პაპა რჩება ქართულ სოფლებში, მით უფრო მცირდება ჩვენს ქალაქებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების რაოდენობა. ამიტომაც ეძებენ ბაზრებში ქართველი დიასახლისები ისეთ გლეხებს, რომელთაც ოჯახის წევრების ჯანმრთელობას ანდობენ, მაგრამ ეს უფრო ინტუიციური ნდობაა. ევროპაში კი ამ საკითხს მაშინ მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება, როცა "ძროხის ცოფმა" მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. დღეს გერმანიაში სურსათის მაღაზიებში ნახავთ პროდუქტებს, რომლებზეც შავი და მწვანე ფერებით გამოსახულია წარწერა BIO, რაც პროდუქტის ღირსების მაჩვენებელი ნიშანია. გერმანიის მთავრობა ცდილობს, მოსახლეობაში პოპულარული გახდეს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტები და ამისთვის სპეციალური პროგრამაც შეიმუშავა. რა თქმა უნდა, ასეთი პროდუქტები ძვირი ღირს და შეიძლება ისინიც კი ვერ ყიდულობენ, ვინც, ასე თუ ისე, ჩართულები არიან ამ პროგრამაში.

შეიძლება ზოგიერთს თავად ბიოპროდუქტების მწარმოებელი გლეხის პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ არ არის დარწმუნებული, რომ მისი ბიონაკვეთი დაცულია მეზობელი გლეხის ბაღში გამოყენებული ქიმიური სასუქებისგან. ამაზე ხელები გაასავსავა მარტინ ბაუმგარტმა და განმარტა, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდება, პროდუქტს აღარ მიენიჭება შესაბამისი ნიშანი, ხოლო იმ მეზობელს მოუწევს ჯარიმის გადახდაც და სამი წლის ზარალის ანაზღაურება. ზუსტად ამდენი დრო სჭირდება დაბინძურებულ მიწას, რომ კვლავ ვარგისიანი გახდეს ბიოლოგიურად სუფთა მეურნეობისთვის.


ტექნიკა ბიოპროდუქტებისთვის

მარტინ ბაუმგარტი განათლებით აგრონომია. ჰყავს მეუღლე, ასევე აგრონომი და ორი ბიჭი: 4 წლის ლოვისი და 2 წლის მირო. ორსაუკუნოვანი სახლი, სადაც ისინი ცხოვრობენ და 20 ჰექტარი მიწა, სადაც ეწევიან მეურნეობას, ბაუმგარტების ოჯახს, გერმანელი გლეხების 60 პროცენტის მსგავსად, იჯარით აქვს აღებული. მის მეურნეობაში 20 კაცია დასაქმებული, ამათგან მხოლოდ ათს აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი, დანარჩენები კი არიან სეზონური მუშები, სტუდენტები და ალტერნატიულ სამსახურში მყოფი პირები.

მარტინ ბაუმგარტი ცდილობს, არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოსავლის მოყვანით, შეითავსოს სხვადასხვა საქმე და ასე გადაურჩეს რთულ ეკონომიკურ წნეხს. მის ბიო კარ-მიდამოში უვლიან ცხენებს, აწარმოებენ კონსერვებს. მეუღლე ყოველდღე სადილს უმზადებს ერთ-ერთი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. ბაუმგარტებს ეზოში აქვთ პატარა მაღაზია, სადაც ყიდიან არა მარტო საკუთარ მოსავალს, არამედ გერმანიასა და უცხოეთში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, რომელთაც ისინი მსხვილი იმპორტიორისგან იძენენ. მხოლოდ კარტოფილისა და კომბოსტოსათვის მყიდველი არ ივლის ამ მაღაზიაში, მას სჭირდება მდიდარი ასორტიმენტი, აღნიშნავს მარტინი. მის კარ-მიდამოს სტუმარი არ აკლია. მოდიან ჯგუფები სკოლებიდან, ინსტიტუტებიდან, უცხოეთიდან, მათ შორის, საქართველოდანაც. რა თქმა უნდა, სტუმრის გამასპინძლებაც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. მეურნეობაში ხშირად იმართება სემინარები, ხოლო ცოდნის გაღრმავება გარკვეული თანხა ჯდება. მარტინი ფიქრობს, კიდევ როგორ გაამრავალფეროვნოს მომსახურება, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ მრავალი ფუნქციის მქონე, და არა ტრადიციულ გლეხურ მეურნეობებს აქვს მომავალი. კარგი იქნებოდა სასტუმროს გახსნაც, ბჭობს თავისთვის. ორ დღეში მარტინი მიიწვევს ნაცნობ-უცნობებს ღვინის დასაჭაშნიკებლად (ღვინო მან შეიძინა გასაყიდად) და მისი მეუღლე ამ დღისთვის სპეციალურ კერძებს მოამზადებს. ესეც მომსახურების ერთ-ერთი სახეობა და შემოსავლის წყაროა. წელიწადში სამჯერ კი, ბაუმგარტების ოჯახი დასასვენებლად უცხოეთში მიემგზავრება ხოლმე, რათა ცოტათი მაინც განიტვირთოს და მერე მეტი ძალით შეუდგეს საქმეს.

## TV პროგრამა

3 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბალადა ჰუსარზე" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა"-"მილანი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "სპაიდერ მენი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "დეპორტივო"-"ლივერპული" **02.20** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "ხსოვნა" 1-ლი ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ენა" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებანი" **17.25** დოკ. სერიალი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** მხ. ფილმი "ხსოვნა" მე-2ს.

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: მოგზაურობა დიად ბუნებაში. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** სიმწიფის ატესტატი. მხ. ფილმი. რეჟისორი ედვინ ბეილი. 2004. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ჯიჰადის ფულის გამთეთრებლები. დოკ. ფილმი. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდ ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ღვთის ნაბოძები" (15) (რ. რომინ-სტამოსი)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.20, 02.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "პოლონელი ლამაზმანი" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **17.25** საქმე ტ **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" 1-ლი ს. **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** "უცნობი საქართველო" **23.20** მხ. ფილმი "გლობალური მუქარა" (გ) (მ. ენიკი) **00.50** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.20** კომედია "თეფში" **10.55** ისტორიული ფილმი "იაზონი და არგონავტები" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 23.30** საინფორმაციო გამოშვება **12.55** მუსიკა **13.00** ბოევიკი "მაგარი ბიჭები" **14.45** მელოდრამა "ჩრდილოეთის ციალი" **16.10** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** თრილერი "მომკალი მოგვიანებით" **19.40** დოკუმენტური ფილმი **21.00** ვესთერნი "მკვდარი ადამიანი" **23.00** "ზღვარი" **23.15** მუსიკა **00.00** მელოდრამა "ქარწაღებულნი" მე-2 ს.

### 1 ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Док. детектив. "Ограбление под заказ". Дело **2002** г. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"СТИЛЕТ". 17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** "Пан или пропал". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **22.40** Спецназ. "Часы укажут направление удара". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Сканер. "Кировская аномалия". **00.40** "Звезды эфира". Владимир Шнейдеров. **01.10** Рэй Лиотта в боевике **"ПОБЕГ НЕВОЗМОЖЕН". 03.25** Жасмин Близ в боевике **"СМЕРТЬ КОРОЛЕВЫ" 05.05** Неизвестная планета. "Мир богов Гоа".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПАДЕНИЕ"**. Часть 1-я. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.50** "Женский взгляд". Раиса Рязанова. **11.25** Нина Усатова в программе "Растительная жизнь". **12.00** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: АЛИБИ". 14.30** "8 1/2 Евгения Примакова". Фильм из цикла "Новейшая история". **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СЫЩИКИ-3: ЗНАНИЕ УМНОЖАЕТ СКОРБЬ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". 22.00** "Страна и мир" **22.40** "Стресс". Ток-шоу **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Харрисон Форд в боевике **"ИГРЫ ПАТРИОТОВ"**

## სკანვორდი









თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო გაფრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მოძრაობის თანადამფუძნებელი, პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, თბილისის საკრებულოს წევრი, ღირსეული თბილისელი

**ბადრი შოშიტაიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

**სააქციო საზოგადოება "ყაზბეგი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული თბილისელის ბადრი შოშიტაიშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**განცხადება**

შპს "ცაგო" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე : თბილისი, აბაშიძის 8, ტელეფონი 94-25-74 ვლადიმერ გაწერელია.

**საქ.კანონი მეწარმეთა შესახებ 14..2**

**შევიძენ საოფისე ფართს ქალაქის ცენტრალურ უბნებში ან დიღმის ტრასის გასწვრივ.**

**ტელ: 893 102 109 ნიკა**













# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.